# საქართველოს ქალი



ეროვნული ბიბლიოთეკა

645/2
2006

2006
№ 7-8

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მშვიდობა ოჯახიდან იწყება



ცოდვათაგან უდიდესი და უპირველესი ამპარტავნება. სწორედ ამპარტავნებამ დალუპა ანგელოზი და იგი ეშმაკად აქცია. ამპარტავნების გამო იქნენ გამოდევნილნი სამოთხიდან ადამი და ევა. ამ ცოდვისაგან განწმენდა, როგორც წმიდა მამები ამბობენ, მხოლოდ ყოვლადწმიდა სამებას შეუძლია.

თავმდაბლობა ადამიანმა, უპირველეს ყოვლისა, ოჯახში უნდა გამოიჩინოს. უთანხმოება, რომელიც დღევანდელ ოჯახთა საერთო სენს წარმოადგენს, იმ მატერიალური და სულიერი სიღატაკის შედეგია, რომელსაც თანამედროვე ადამიანი განიცდის და მხოლოდ თავმდაბლობით მოისპობა. ერთი მაგალითი წმინდანთა ცხოვრებიდან ცხადყოფს, თუ როგორ იხსნა ღვთისმოსავმა ქალმა თავმდაბლობითა და მორჩილებით მეუღლის სული წარწყმედისაგან: პირველ საუკუნეში ცხოვრობდა ერთი ოჯახი, ცოლი ღვთისმოსავი ქრისტიანი ყოფილა, ხოლოდ ქმარი — წარმართი. ოჯახს მატერიალურადაც უჭირდა, რადგან ცოლ-ქმარს არაფერი ჰქონია ორმოცდაათი ვერცხლის გარდა. როცა ისინი ერთმანეთს ეთათბირებოდნენ, როგორ გამოეყენებინათ ეს მცირეოდენი თანხა, ქმარს წამოუყენებია წინადადება მისი გასესხების შესახებ, რათა უფრო მეტი დაბრუნებოდათ, ხოლო ცოლს ღვთისთვის მიცემა შეუთავაზებია. მართლაც, ცოლ-ქმარი ეკლესიაში წასულა და მთელი თანხა მათხოვრებისთვის დაურიგებიათ. როცა ისე გაჭირვებიათ, რომ ოჯახს სასმელ-საჭმელი შემოკლებია, ქმარს უკითხავს, როდის დაუბრუნებდა მიცემულ თანხას ქრისტიანთა ღმერთი. ცოლს იგი ეკლესიაში გაუგზავნია, ხოლო თვითონ ლოცვა დაუწყია, რომ უფალს მისი ქმრისათვის სასწაული ეჩვენებინა, რათა იგი მოქცეულიყო. ეკლესიაში მისულ კაცს მხოლოდ ერთი ვერცხლის ფული უპოვია იატაკზე დაგდებული და შინ წამოსულა. ცოლ-ქმარს ამ ფულით პური და თევზი უყიდია, მაგრამ თევზის გაჭრისას მუცელში ძვირფასი ქვა უნახავთ, რომელიც შემდეგ გაუყიდიათ და ოჯახიც გაჭირვებიდან სამუდამოდ ამოსულა. ამ სასწაულის შედეგად ქმარი ქრისტიანობაზე მოიქცა და ირწმუნა, რომ ღვთის სახელზე გაცემული მოწყალება ადამიანს ასმაგად დაუბრუნდება.

ოჯახში აუცილებლად უნდა სუფევდეს თანხმობა, რადგან მშვიდობა, უპირველესად, ოჯახიდან იწყება. დედ-მამის პატივისცემით შვილები მადლს მოიპოვებენ და დღეგრძელნი იქნებიან.

ნესტორ ყუბანეიშვილი

84394

ჟურნალი ქალებისათვის

მთავარი რედაქტორი
მარინე ნაკაიძე

სარედაქციო კოლეგია: მარიკა ბარათაშვილი, ნინო ჯავახიშვილი, ნანული ბუკია, ნაზი თარგამაძე, მანანა იმესაშვილი, ლია კაკაბაძე, ცინარა ტერელაძე (მხატვარი რედაქტორი), ირმა ჩოფიკაშვილი.

პაატა მამფორია (კომპიუტერული უზრუნველყოფა)

გარეკანის პირველ გვერდზე მსახიობი ია სუხიტაშვილი
ფოტოხელზე — ქართული მოდის სამყაროში

რედაქციის მისამართი: 0108, ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ.№14. Vსართ. ტელეფონი: 99-98-71

რეგისტრაციის №06/4 – 897 ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ჟურნალის წინა ნომრებში მამა პაისი ათონელის წიგნიდან „ოჯახური ცხოვრება“ დაბეჭდილ ნაწყვეტებში ავტორი მოგვითხრობდა, როგორ უნდა გაერკვია ახალგაზრდას თავისი ცხოვრებისეული გზა, როგორ შედგომოდა მას და მტკიცე ნაბიჯით ევლო არჩეული მიზნის მისაღწევად.

ახლა კი, როდესაც ოჯახი უკვე შექმნილია და ცოლ-ქმარი ცხოვრებისეული სირთულეების წინაშე აღმოჩნდა, ნეტარი მამა ოჯახის შენარჩუნებისთვის საჭირო თვისებებზე გვესაუბრება. გვაძლევს რჩევებს, რომელთა დახმარებითაც არა მარტო ოჯახისა და სულიერი სიმშვიდის შენარჩუნებას, არამედ ამქვეყნიური საქმეებით მარადიული ცხოვრებისთვის საჭირო მადლის მოპოვებასაც შევძლებთ.

# მოთმინება ოჯახს დანგრევისაგან იცავს



**– როგორ არის შენი და? ყველაფერი რიგზე აქვს ქმართან?**

– მამაო, სხვებისგან გავიგე, რომ მაინცდამაინც კარგად არ არის საქმე, მაგრამ ის ითმენს და რაც ძალი და ღონე აქვს, ეწევა უღელს.

– როცა უღელში წყვილი ხარია შებმული, თუ ერთი მათგანი სუსტია ან ზარმაცი, მეორეს მეტი ძალა ადგება, უღელს მარტო ეწევა და თან მეორესაც მიათრევს. ხედავ: ერისკაცები არიან და როგორ მუშაობენ საკუთარ თავზე?! თქვენ კი აქ პრინცესებივით ხართ! წარმოიდგინე, რა მდგომარეობაშია დედა, რომელსაც ოთხი შვილი ჰყავს: ერთი გონებრივად ჩამორჩენილია, მეორე – სულიერად ავადმყოფი, მესამე თალასემიით არის დაავადებული (თალასემია მემკვიდრეობითი ჰემოლიტიური ანემიაა, რომელიც პროგრესირებად სისხლნაკლებობას, ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის და სხვა დაავადებებს იწვევს), მეოთხე შვილი ღამ-ღამობით სადღაც დაბოდიალობს, თანაც ქმარიც ძალიან აწვალებს. რამდენს იტანს! სიმწრით ყვირილამდე მიდის, მაგრამ თავისი სატკივარის შესახებ ვერავის მოუყვება, რადგან ზოგიერთ თემაზე სახლის ზღურბლს იქით ვერ ილაპარაკებ. მაგალითად, იმაზე, რომ ქმარს თავისი ცხოვრება აქვს და ზედაც არ უყურებს ცოლს; რომ საცოდავს ქირის გადასახდელი ფულიც არ აქვს და გამოსახლებას უპირებენ; რომ იძულებულია სამუშაო ეძებოს, რაც სხვადასხვა საფრთხეს უქადის და ითხოვს: „ილოცე, მამაო, რომ ეს საფრთხე ამერიდოს.“

ზოგიერთი ქალის შემთხვევაში ყველაფერი გასაგებია – მათ რაღაც ცოდვები აქვთ და ამგვარი ტანჯვით მათი გამოსყიდვა ხდება. მაგრამ არიან სხვებიც, ვისაც ასეთი ცოდვები არ აქვთ. მათთვის ამ ტანჯვის წილ მიღებული საზღაური მომავალი ცხოვრების საწინდარი იქნება.

## მოთმინება ადამიანს ღვთაებრივი მადლით აღავსებს

**– მამაო, როგორ მოვიქცეთ ადამიანთან, როდესაც ის გაღიზიანებული, აღგზნებულია.**

– მოთმინებით.

**– თუ არ მაქვს ეს მოთმინება?**

– საყიდლად უნდა წახვიდე! სუპერმარკეტებში იყიდება!.. ნახე: თუ ადამიანი მრისხანებისგან დუღს, რაც უნდა უთხრა, შედეგს ვერ მიიღებ. ასეთ დროს სჯობს, იესოს ლოცვა თქვა. ლოცვის შედეგად ის დაცხრება, დამშვიდდება და მერე შეიძლება გაუგოთ ერთმანეთს. ნახე, არც მეთევზეები გადიან ზღვაში, როცა ღელვაა. ისინი მოთმინებით იცდიან ამინდის შეცვლამდე.

**– მამაო, რით ახსნით ადამიანების მოუთმენლობას?**

– იმით, რომ მათში ძალიან ბევრია... სულელი. ღმერთმა ადამიანების ხსნა მათ მოთმინებას დაუკავშირა. „რომელმან დაითმინოს სრულიად, იგი ცხოვნდეს“ (მათე 10, 22), – ამბობს სახარება. ღმერთი ადამიანებს სირთულეებს მოუვლენს, რათა ისინი მოთმინებაში გაიწვრთნენ.

მოთმინება სიყვარულიდან იწყება. ადამიანს რომ მოუთმინო, მასზე გული უნდა შეგტკიოდეს. მოთმინება ოჯახს დანგრევისგან იხსნის. მინახავს, ველური მხეცები კრავებად ქცეულან. თუ ღმერთს მივენდობით, პრობლემები მშვიდად და სულიერად მოგვარდება.

რამდენადაც მივხვდი, ყველაზე დიდი სკანდალები, თანაც არა მარტო ოჯახებში, არამედ სახელმწიფოთა ცხოვრებაშიც, უმნიშვნელო ამბით იწყება. ოჯახში ერთ-ერთი მეუღლე მეორეს მიმართ უნდა ავლენდეს მორჩილებას, არა მარტო ბაძავდეს მის სათნოებებს, არამედ ითმენდეს მის უცნაურობებს. სინამდვილისადმი ასეთი დამოკიდებულების განმტკიცებას ძალიან უწყობს ხელს ფიქრი, რომ ქრისტემ საკუთარი თავი ჩვენი ცოდვების გამოსასყიდად გაიღო მსხვერპლად, ჩვენ კი საკუთარი ცოდვების გამო გვიწევს მწუხარების ატანა. სახიერმა ღმერთმა ისე მოაწყო, რომ ადამიანი, რომელსაც ნიჭი აქვს, დაეხმაროს მეორეს, ხოლო თუ ნაკლი აქვს, მოითმინოს, რადგან თითოეულს თავისი ნიჭი და ნაკლი ახასიათებს და ღვაწლია საჭირო მის მოსაცილებლად.

ერთ კაცს კარგი დღე დავაყარე! უნდა ნახოთ, როგორ ემორჩილება მას ცოლი, რომელიც ბევრი სხვადასხვა ნიჭითაა დაჯილდოებული. ცოლის გვერდით ის პატარა ბავშვივითაა. ეს ქალი თავისი მორჩილების გამო მუდმივად იღებს ღვთაებრივ მადლს, დებს მას თავის სულიერ ანგარიშზე, და ეს მაშინ, როდესაც მისი ქმარი საკუთარი ეგოიზმით მუდმივად განაგდებს ამ მადლს და თანდათან უფრო და უფრო ცარიელდება. საბოლოოდ ვინ არის მოგებული? ხედავ, საიდუმლო მოთმინებაშია, ესაა ყველაფრის საფუძველი. მორჩილება, სიმშვიდე. ამ კაცს რომ ეღიარებინა თავისი სისუსტე და ღმერთისთვის დახმარება ეთხოვა, მასაც მიეცემოდა ღვთაებრივი მადლი.

## ერთგული ცოლი

**– მამაო, ერთი ქალი რჩევას მთხოვს, როგორ მოიქცეს. ქმარმა მიატოვა, წაიყვანა ბავშვი და ორ სხვა ქალს დაუკავშირდა.**

– უთხარი, რამდენადაც შეძლებს, მოთმინება იქონიოს, ილოცოს

ეროვნული ბიბლიოთეკა


და ქმართან კეთილი დამოკიდებულება შეინარჩუნოს. მოიცადოს და თვითონ არ მოითხოვოს განქორწინება. ერთი კაცი საშინლად ექცეოდა ცოლს, სცემდა, ლანძღავდა, ის კი მოთმინებით იტანდა ყველაფერს და სიკეთით პასუხობდა. ეს ქალი ახალგაზრდა გარდაიცვალა. როდესაც რამდენიმე წლის შემდეგ მისი ნეშტი საფლავიდან ამოიღეს (საბერძნეთში არსებობს ასეთი ტრადიცია, რომ გარდაცვალებიდან რამდენიმე წელიწადში ნეშტი საფლავიდან ამოაქვთ, გახრწნილ ძვლებს ასუფთავებენ და სპეციალურ განსასვენებელში ათავსებენ. ხოლო გაუხრწნელ ნეშტს ისევ საფლავში აბრუნებენ და აძლიერებენ მიცვალებულის განსვენებისთვის ლოცვას), საოცარი კეთილსურნელება იგრძნეს.

ასეთი შემთხვევაც მახსოვს. ერთმა საერო ცხოვრების ჭაბუკმა შეიყვარა გოგონა, რომელიც სულიერად ცხოვრობდა. საპასუხო სიყვარულის მოპოვების სურვილმა ეს ყმაწვილიც ეკლესიაში მიიყვანა. დაქორწინდნენ, მაგრამ წლების შემდეგ კაცი ისევ საერო ცხოვრებას დაუბრუნდა. მათ უკვე მოზრდილი შვილები ჰყავდათ: ვაჟი უნივერსიტეტში სწავლობდა, ერთი ქალიშვილი – ლიცეუმში, ხოლო მეორე – გიმნაზიაში. კაცი ბევრ ფულს შოულობდა, მაგრამ თითქმის მთლიანად თავის გარყვნილ ცხოვრებას ახმარდა. რომ არა ცოლის მომჭირნეობა, მათი ოჯახი კრახს ვერ გადაურჩებოდა. დედა შვილებს თავისი რჩევებით სწორ გზაზე დადგომაშიც ეხმარებოდა და ცდილობდა, მამის ცხოვრების შესახებ არაფერი სცოდნოდათ. როცა ქმარი გვიან ბრუნდებოდა, ამას მისი ბევრი საქმით ხსნიდა, მაგრამ ყველაფერი გაცილებით ძნელი იყო, როდესაც კაცი თავის საყვარელთან ერთად სახლში მოინდომებდა სადილობას. ის ცოლს მოსამსახურეზე უარესად ექცეოდა, არაფრით ერიდებოდა და შეურაცხყოფდა კიდეც. წინასწარ შეუკვეთავდა სხვადასხვა კერძებს და კარზე სხვა ქალს მიაყენებდა. შვილების თვალის ასახვევად, ცოლი გულთბილად ხვდებოდა სტუმრებს, ამბობდა, თითქოს ქმრის საყვარელი მისი მეგობარი იყო და ქმარს მისივე თხოვნით მოჰყავდა ისინი სახლში. მაგრამ კაცი იმდენად ხშირად იცვლიდა მეგზურებს, რომ ბავშვებს უკვირდათ, რამდენი მეგობარი გყავს, დედაო. წარმოიდგინეთ, რას განიცდიდა ქალი, როდესაც ეს ორი ცხოველი საშინელი სიბინძურით ავსებდა მის სახლს! ყოველთვის ცდილობდა შვილებისთვის კეთილი გულისსიტყვა ჩაენერგა. განა შეეძლო მას ცოდნოდა, რომ რაიმე შეიცვლებოდა?! ის ითმენდა და ეს კოშმარი რამდენიმე წელი გრძელდებოდა. რადგან ქმარმა ეშმაკს თავისუფლება მისცა, მისი გავლენით საშინლად იქცეოდა, გიჟს დაემსგავსა, კონტროლი დაკარგა საკუთარ თავზე, ყველას და ყველაფერს სდებდა ბრალს. ერთხელაც, ხორციელი ვნებით მთვრალმა საჭე ვერ დაიმორჩილა და გზიდან უფსკრულში გადავარდა. მძიმედ დაშავდა და დახეიბრდა. საყვარლებიდან არცერთს არ მოუნახულებია კაცი, რადგან ფული მას აღარ ჰქონდა, ხეიბარი კი არაფერში სჭირდებოდათ. მაგრამ კეთილი მეუღლე და ოჯახის კეთილი დედა თავგამოდებით უვლიდა გასაჭირში ჩავარდნილ ქმარს. ამან შეძრა და სულიერად გარდასახა კაცი. გულწრფელად მოინანია წარსული, მღვდლის მიყვანა ითხოვა, აღსარება თქვა, რამდენიმე წელი ქრისტიანულად იცხოვრა და განისვენა უფალში. მისი სიკვდილის შემდეგ ბიზნესში უფროსი შვილი ჩაერთო და ის ინახავდა ოჯახს. შვილები მეგობრულად ცხოვრობდნენ, რადგან დედისგან კეთილი ზნე და პრინციპები შეითვისეს. ის გმირი დედა იყო. ოჯახის დანგრევის თავიდან ასაცილებლად და შვილების მწუხარებისგან დასაცავად, თვითონ დაცალა მწუხარების ფიალა, იხსნა ქმარი და თავად ზეციური სასყიდელი დაიმსახურა. ღმერთი ამ ქალს საუკეთესო ადგილს მიუჩენს სამოთხეში.

## ბავშვები დანგრეული ოჯახებიდან

**– მამაო, თუკი ქმარს აქვს რაიმე ვნება, რომელსაც აღიარებს, ინანიებს, მაგრამ იმეორებს და ამბობს: „გტანჯავთ შენც და ჩვენს შვილებსაც, უკეთესია, წავალ და თქვენგან შორს ვიცხოვრებ, გამოგიგზავნით ფულს, რომ არ დაიტანჯოთ“, რა უნდა ქნას ცოლმა ასეთ დროს?**

– თუ ქმარი ამას ამბობს, ეს ნიშნავს, რომ მას ღირსების გრძნობა აქვს და მისმა ცოლმა უნდა მოითმინოს. თუმცა, სჯობს, უპირობოდ არ დაიჯეროს ამ სიტყვების, უფრო კარგად ჩაიხედოს საქმეში. ხანდახან ასეც ხდება, რომ ქმარი თითქოს კეთილშობილების გამო ამბობს, წავალ, რომ არ დაგტანჯოთო, სინამდვილეში კი სხვასთან ერთად უნდა ცხოვრება და იმიტომ მიდის.

ქორწინება დღევანდელ დღეს ისეთ მდგომარეობამდეა მისული, რომ აზრს კარგავს. ოჯახები ფაქტობრივად უმიზეზოდ ინგრევა. რამდენიმე დღის წინ ერთი თავგზააბნეული კაცი მოვიდა მონასტერში. თავიდან მას საყვარელთან ორი შვილი ჰყავდა. შემდეგ სხვა ქალთან წავიდა, მან შვილი გაუჩინა, მაგრამ ერთმანეთს დაცილდნენ. ამის შემდეგ მესამე ცოლი ითხოვა. მისი მესამეც ცოლიც ქმართან იყო გაცილებული და სამი შვილი ჰყავდა: ორი პირველი ქორწინებიდან და ერთი ქორწინების გარეშე. ამ ქალისგან კიდევ ორი შვილი შეეძინა. ამას რომ მიყვებოდა, შევაჩერე: „მოიცა, მოიცა, რამდენი დედისა და რამდენი მამისგან იყვნენ ეს ბავშვები?“

ასე იღუპებიან უბედური ბავშვები. ისინი, ვინც განსაკუთრებით მგრძნობიარეა და უჭირთ საკუთარ უბედურებასთან გამკლავება, სასოწარკვეთას ეძლევიან, ხოლო ზოგიერთი თვითმკვლელობასაც არ ერიდება. სხვები გამოსავალს სასმელში ეძებენ, ზოგი ნარკოტიკს ეძალება. სად შოულობენ საამისო ფულს, ჰეროინის მცირე დოზაც კი ძალიან ძვირია!

ასე ემართებათ თავისუფლად მიშვებულ ბავშვებს. რა ელით სხვებს, რომელთა მშობლებიც ავტომატური განქორწინების კანონით დაცილდნენ ერთმანეთს? რამდენმა ნარკომანმა გაიარა ჩვენს ხელში მარტო ამ წელს! მათი უმრავლესობა დანგრეული ოჯახებიდანაა. ეს ახალგაზრდა 27 წლისაა, ის სასოწარკვეთილია და დახმარებას ითხოვს! იცით, რომ დანგრეული ოჯახებიდან გამოსულ ბავშვებს თავისი ოჯახის ამბავი შორიდან ეტყობათ?! ჩემს კელიასთან სკამზე ლუკუმით სავსე ქილა დგას. ასეთი ბავშვები რომ მოდიან, ქილიდან ლუხუმს იღებენ და ჭამენ. როცა დამინახავენ, გამორბიან საკოცნელად. ხელები შაქრის პუდრით აქვთ დასვრილი და მეც მსვრიან. ამ ბავშვებს სიყვარული და სითბო აკლიათ. მათთვის არ აქვს მნიშვნელობა, ჰყავთ თუ არა მშობლები, მიდის თუ არა დედა ან მამა სახლში, მათთან ცხოვრობს თუ არა, – ამით არაფერი იცვლება.

## „მართალი“ და „დამნაშავე“ ოჯახურ ცხოვრებაში

ყურადღება მივაქციე, რომ ზოგიერთი მოძღვარი უთანხმოებაში მცხოვრებ ქმარს ეუბნება: „მოითმინე, ასეთია შენი ჯვარი. რას იზამ? მოთმინებისთვის ღმერთი სასყიდელს მოგიზღავს“. შემდეგ ამ მოძღვართან ცოლი მოდის და მასაც იმავეს უმეორებს: „მოითმინე, მოითმინე და ღმერთი გადაგიხდის“. ორივე შეიძლება იყოს დამნაშავე, ორივეს მოძღვარი მოთმინებას ურჩევს, ან ერთ-ერთია დამნაშავე, მაინც მოითმინეო, ეუბნება. ასეთ დროს მეუღლე, რომელიც ოჯახურ უთანხმოებაშია დამნაშავე, თავს იმით იმშვიდებს, თითქოს მეორე ნახევარს უთმენს და ეს მაშინ, როდესაც თვითონაა დამნაშავე.

ერთხელ ჩემთან ერთი კაცი მოვიდა, წუხდა, რომ ცოლთან ჰქონდა უთანხმოება. განქორწინების საფრთხე არსებობდა. არცერთს არ უნდოდა ერთმანეთის ნახვა. ორივე მასწავლებელი იყო და ორი შვილი ჰყავდათ. სახლში არასოდეს ჭამდნენ: გაკვეთილების შემდეგ ქმარი ერთ რესტორანში მიდიოდა, ცოლი – მეორეში. შვილებისთვის სენდვიჩებს ყიდულობდნენ და უბედური ბავშვებიც მშობლების დაბრუნებისთანავე ჯიბეებში და ჩანთებში უძქრებოდნენ საჭმლის მოსაძებნად. ბავშვები დიდ დრამას განიცდიდნენ! ქმარი ეკლესიაში გალობდა, ცოლიც დადიოდა ეკლესიაში, მაგრამ არა იმ ტაძარში, სადაც ქმარი გალობდა. ერთმანეთის მიმართ საშინელი სიძულვილი დაუუფლებოდათ.

**– რა ვქნა, მამაო, საშინელი ჯვარი მაქვს – ყოველდღე ვჩხუბობთ.**

– მოძღვართან იყავი? – ვკითხე.

**– ვიყავი და მითხრა: მოითმინე, მოითმინე, მძიმე ჯვარი გაქვსო.**

– მაშინ ვუთხარი, მოდი, ყველაფერი თავიდან მომიყევი და მერე გავარკვიოთ, ვინ ზიდავს დიდ ჯვარს-მეთქი. აღმოჩნდა, რომ თავიდან, რვა წლის მანძილზე, მეგობრულად ცხოვრობდნენ.

**– ძალიან მიყვარდა ჩემი ცოლი. მას ღმერთზე მეტად ვეთაყვანებოდი, მაგრამ შემდეგ შეიცვალა. სულ ბუზღუნებდა, უკმაყოფილო იყო.**

ღმერთზე მეტად ეთაყვანებოდა!

– აი, ჩემო კარგო! მას ღმერთზე მეტად ეთაყვანებოდი? ეს შენს გამო მოაშორა უფალმა თავისი მადლი შენს ცოლს, შენ ხარ დამნაშავე, ასეთ მდგომარეობაში რომ აღმოჩნდით. ახლა რას აპირებთ? – ვკითხე.

**– ალბათ, დავცილდებით.**

– იქნებ, ვინმე გყავს?

**– დიახ, ერთ ქალთან ვფიქრობ ცხოვრებას.**

– გონს მოდი! ნუთუ არ გესმის, რომ ყველაფერში შენ ხარ დამნაშავე? უპირველეს ყოვლისა, ღმერთს უნდა სთხოვო პატიება, რომ ცოლს უფრო მეტად ეთაყვანებოდი, ვიდრე მას. შემდეგ ცოლთან წადი


საქართველოს პარლამენტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მასაც მოუხადე ბოდიში, უთხარი: „მაპატიე, მე ვარ დამნაშავე ჩვენი ურთიერთობის გაუარესებაში, იმაშიც, რომ ჩვენი შვილები ასე იტანჯებიან.“ შემდეგ კი აღსარება თქვი და ეთაყვანე ღმერთს, როგორც ღმერთს და გიყვარდეს ცოლი, როგორც ცოლი! ნახავ, ყველაფერი მოგვარდება-მეთქი. ჩემი საყვედური და დარიგება სასიკეთოდ წაადგა, დამიჯერა და მალე გახარებული მოვიდა: „გმადლობ, მამაო, ჩვენი ოჯახის გადარჩენისთვის, ყველაფერი კარგადაა.“ ხედავ? თვითონ იყო დამნაშავე, თან ეგონა, რომ ის ატარებდა მძიმე ჯვარს.

თქვენც ნურასოდეს გაამართლებთ ცოლებს, რომლებიც ქმრის საყვედურს ამბობენ. მე ასეთ შემთხვევებში მეუღლეებიდან არცერთს არ ვამართლებ, პირიქით, ვცდილობ, ორივე დავაფიქრო.

მაგრამ არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ცოლიც მართალია და ქმარიც. მე მათ მოვუყვევი მარკიანისის ღვთისმოსაობის შესახებ (მარკიანისი ელადის ეროვნული გმირია, რომელიც თავდადებით იბრძოდა თურქების წინააღმდეგ საბერძნეთის რევოლუციის (1821-1830 წ.წ.) დროს. მისი ცხოვრება ღმერთის, მოყვასისა და სამშობლოს ქრისტიანული სიყვარულის კარგი მაგალითია. ამ ამბის მოსმენისას ერთ-ერთმა მსმენელმა წამოიძახა: „შეუძლებელია მარკიანისი წმინდანად წარმოადგინოთ, რადგან ის თავის ცოლს სცემდა.“ ვეუბნები, ახლავე აგიხსნი, რა ხდებოდა მათ შორის. თუ მარკიანისს ჯიბეში ორიოდე გროში გაუჩნდებოდა, მასთან ვინმე ქვრივი მივიდოდა, ეტყოდა, რომ ძალიან უჭირდა, შვილები ჰყავდა და დახმარებას თხოვდა, ისიც აიღებდა და რაც ჰქონდა, აძლევდა. მისი საცოდავი ცოლი აყვედრიდა და საყვედურებით ავსებდა, შენც ხომ გყავს შვილები, ფული სხვას რატომ მიეციო. მაშინ ის წაუთაქუნებდა ცოლს და ეტყოდა: შენ გყავს ქმარი, რომელიც გარჩენს, ხოლო ამ უბედურ ქალს ქმარი არ ჰყავს. ვინ იზრუნებს მასზე? ამ დროს მარკიანისიც მართალი იყო და მისი ცოლიც.

როდესაც მეუღლეებიდან ერთ-ერთი სულიერად ცხოვრობს, მართალიც რომ იყოს, „არ აქვს უფლება“ იყოს მართალი. რადგან თუკი სულიერი ადამიანია, უსამართლობას სულიერად უნდა შეხვდეს ანუ ყველაფერს ისე უნდა მიუდგეს, როგორც ამას ღვთაებრივი სამართლიანობა მოითხოვს. უნდა ეცადოს სხვასაც სიმშვიდე მოუტანოს, რადგან თუკი ვინმე სისუსტის მიზეზით ჩადის შეცდომას, მას დანაშაულის შემამსუბუქებელი გარემოება აქვს, – სისუსტე. ხოლო ის, ვინც სულიერად უკეთეს მდგომარეობაშია და მეორეს გაგებით არ ეპყრობა, არ ეხმარება, – გაცილებით მეტად სცოდავს. თუკი სასულიერო პირები ყველაფერს ამქვეყნიურად, ადამიანური სამართლიანობის პოზიციიდან უყურებენ, რა სიკეთეს მოგვიტანს ეს? არაფერს, ისინი მუდმივად ამქვეყნიური სამართლის ძებნაში იქნებიან. სწორედ ეს ტანჯავს ადამიანებს.

თარგმნა
ქეთევან ლოლობერიძემ

# დაიფიცეთ,



საყოველთაოდ ცნობილია, რომ უსულგულობა, უმეცრება აბსოლუტურად საწინააღმდეგო ჩვენებაა საექიმო მოღვაწეობისათვის და რომ ნებისმიერი ექიმი უნდა დაისაჯოს ამის გამო (ამისათვის უამრავი კანონია დაწერილიც და გამოქვეყნებულიც). ყველა სხვა შემთხვევაში უნდა ვეცადოთ, ექიმსაც, მხოლოდ იმიტომ, რომ ის ექიმია („რაკი ექიმია – ვალდებულია“) არ ვავნოთ. არანაკლები საცოდაობაა, როცა საზოგადოება უსულგულოდ, უმეცრად, ერთგვარი თვითკმაყოფილებითაც კი სჯის იმას, ვინც ობიექტურ მიზეზთა გამო ვერ მოერია ავადმყოფობას, მხოლოდ იმიტომ, რომ ყოვლისშემძლე არ არის და მისი ადამიანური შესაძლებლობები შეზღუდულია.

„არ ავნო!“ – ორი ათასი წლის წინათ მოუწოდებდა მკურნალთ „სამედიცინო ეთიკის“ ფუძემდებელი ძველბერძენი ექიმი ჰიპოკრატე. იქ, კუნძულ კოსზე შექმნილმა „ჰიპოკრატეს ფიცმა“ საუკუნეებს გაუძლო. ნეტავ გაეთვალისწინებინა და ავადმყოფთათვის და მათი პატრონებისთვისაც მოეწოდებინა – „არ ავნოთ!“ მკურნალსო. ავადმყოფთა ამგვარი ფიციც ხომ მოაღწევდა ჩვენამდე.

ექიმის შეცდომა საშინელებაა, მას სავალალო შედეგი მოსდევს, ის თვალსაჩინოა, ტრაგიკულია და შემზარავი. მაგრამ ცილისწამებაც ხომ დაშნაზე საშიში იარაღია, დაუნდობელია და ვერაგი. ყოველი დროის ცილისმწამებელმა იცოდა, რომ ადამიანის უსასტიკესი დასჯა მხოლოდ მაშინ ხდება, როცა მას სწორედ იმაში დასდებენ ბრალს, რის წინააღმდეგაც თავად იბრძოდა. ისიც ფაქტია, რომ ვისაც მზაკვრულად ენანება მადლობის სიტყვა, მისთვის სიცრუე უცხო არ არის. ამდენად, ცილისწამება უზნეობაა და, როგორც სხვა ნებისმიერ უზნეობას, მასაც საფუძვლად უდევს:

– ულმერთობა, უმადურობა, ანგარება და ა. შ.

რასაკვირველია, ადამიანმა პროტესტის საშუალებით მაინც უნდა დაიცვას თავი და თუკი შესაძლებელია, თავისი ხალხიც სახელმწიფოს მარწუხებისაგან (გადასახადებს ვგულისხმობ), მაგრამ უზნეობაა, როცა კანონმდებელთა უსულგულობით გაბოროტებული ადამიანი სხვა, მისნაირად დაუცველ, უდანაშაულო ადამიანზე (მით უფრო მკურნალზე) გადმოანთხევს ხშირ შემთხვევაში გაუცნობიერებელ ბოღმას იმის გამო, რომ მედიცინა ყოვლისშემძლე არ არის, ხოლო სახელმწიფო აპარატი უსამართლოა. კიდევ უფრო საზარელია, როცა ამას ანგარების გამო ჩადიან – ფული მართლაც იშვიათი საპოხია, დანაკარგის ტკივილსაც აამებს...

ექიმისა და პაციენტის ურთიერთობა ისევე ძველია, როგორც ავადმყოფობა. ქრისტიანული მოძღვრების თანახმად, ავადმყოფობა ნაცვალგებაა ჩადენილი ცოდვისათვის. ნებისმიერი ცოდვა კი ადამიანის პირველშეცოდებიდან იღებს სათავეს. ვნებაში მყოფი ადამიანისათვის დახმარების ხელის გაწოდება, მისი ხსნა ტანჯვისაგან საფუძვლად დაედო ყველა დროის საექიმო მოღვაწეობას. თუმცა უძველესი მედიცინა ემპირიული ხასიათისა და ნაკლებად ეფექტური იყო, მოყვასის გადასარჩენად გარჯა თავისთავად იწვევდა პატივისცემას და მოწიწებას. ჰომეროსიც ამასვე ამბობდა: – „გამოცდილი ექიმი ბევრ სხვა ადამიანზე ძვირფასიაო“.

უფრო მეტიც, ძველ დროში ექიმებს აღმერთებდნენ კიდეც. არსებობს მოსაზრება, რომ ძველბერძნული ღვთაება ასკლეპიოსი რეალური პიროვნება იყო, მაგრამ განსაცვიფრებელი და იმ დროისათვის მიუწვდომელი საექიმო ხელოვნებისათვის ის ზეადამიანად, ღვთაებად შერაცხეს და მერე, დროთა განმავლობაში ახალ-ახალი მითიური თვისებები მიაწერეს.

იქნებ წარმართი ქართველების მზის ღვთაება ბარბალე, რომელიც მიჩნეული იყო მძიმე ავადმყოფთა და დასტაქრების შემწედ, რომელიმე „დედა მანიას“, „მრქმელის“, „ტატბერის“ ან „დედათა მოურავის“ რეალური წინაპარი იყო.

ოდინდელი ექიმები ღვთისმსახურები იყვნენ და ერთნაირად ზრუნავდნენ ადამიანის როგორც სულიერ, ისე ხორციელ სიჯანსაღეზე. დროთა განმავლობაში მათ ადამიანის ხორციელი სფერო პროფესიონალ ექიმებს დაუთმეს, თავად კი მხოლოდ სულიერი ცხოვრების გამგებლებად დარჩნენ.

ალბათ ეს იყო მიზეზი, რომ ადამიანები ძალიან დიდხანს ისეთივე მოწიწებით და სასოებით იყვნენ განმსჭვალულნი მკურნალისადმი, როგორც წმინდანისადმი.

რელიგიური ელემენტებიც და სიწმინდის შარავანდედიც მედიცინას ბერძენმა ექიმებმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რომ არ ავნებთ!

ჩამოაცილეს. პირველად მათ შექმნეს მეცნიერული მედიცინა. მართალია, სწავლული მედიკოსები დროდადრო ალქიმიის, ასტროლოგიის, მისტიციზმის ტყვეობაში ექცეოდნენ, მაგრამ მთავარი – ექიმის პროფესიისათვის დამახასიათებელი ზოგადსაკაცობრიო პრინციპი, რომელიც მისი თავდაპირველი ჰუმანურობიდან გამომდინარეობდა, უცვლელი რჩებოდა.

„ვიყო პირმართალი, მისანდობელი, უხარბო, გულმოწყალე და მიმტევებელი", – VII ს-ში შექმნილ „უსწორო კარაბადინიდან" მოისმის ქართველ მკურნალთა წინაპრის ხმა და რა გასაკვირია, რომ ექიმებს შორიდანვე ქუდის მოხდით ესალმებოდნენ ძველ საქართველოში.

ზნეობრივი მოთხოვნები იმათ მიმართ, ვინც მკურნალობდა, პირველად შეიძლება მაშინ ჩამოყალიბებულიყო, როცა ექიმობა პროფესიად იქცა. ასე რომ, გაჩნდნენ ეთიკურად და პროფესიულად კარგი და ცუდი ექიმები... და ხალხიც უკვე ამის მიხედვით მიაგებდა მისაგებელს. ჩვ.წ.აღ.-მდე I ს-ში ერთ ბერძენ პოეტს აქვს ასეთი ეპიგრამა ვინმე ექიმ მარკზე:

– „ზევსის ქვის ქანდაკს შეეხო გუშინ ექიმი მარკი, ზევსი ქვის იყო და მაინც მოკვდა, დამარხეს იგი". არც XIV ს.-ის პოეტი პეტრარკა და მოგვიანებით, არც მოლიერი აკლებდნენ გესლიან სიტყვას თავისი დროის ცუდ ექიმებს. მოლიერი აღნიშნავდა: „ავადმყოფს კარგი ჯანმრთელობა უნდა ჰქონდეს, რომ გაუძლოს ავადმყოფობას და მკურნალობასო".

მიუხედავად იმისა, რომ ყოველ პროფესიას საკუთარი მყარი მორალი აქვს, მაინც ძალაუნებურად, საექიმო ეთიკაც დროდადრო გაბატონებული მორალის შესაბამისი ხდებოდა... ყველას ახსოვს ალბათ ყბადაღებული ფრაზა: "Советский больной, самый здоровый больной в мире" ჰოდა, ამის შესაბამისად იცვლებოდა ავადმყოფის დამოკიდებულებაც ექიმისადმი. საბედნიეროდ, ჩვენი ზნეობრივი ვალდებულებების წრე გაცილებით სჭარბობს იმას, რასაც კანონი ან იდეოლოგია მოითხოვს. ამიტომაც იყო, რომ, როცა XVIIს-ის ცნობილ ექიმს სიდენჰემს ერთმა ახალგაზრდა ექიმმა ჰკითხა, რა უნდა წავიკითხო, დახელოვნებული ექიმი რომ გავხდეო, მან უპასუხა: „წაიკითხე, მეგობარო, „დონ-კიხოტიო", რადგან მედიცინა, მწუხარე სახის რაინდის მსგავსად, ებრძვის სნეულებებს, რომელთა არსს ბოლომდე ვერ სწვდება და თან ისეთი საშუალებებით, რომელთა ეფექტურობა უმრავლეს შემთხვევაში არასაკმარისია...

სანამ იარსებებს სიკვდილი, იარსებებს ექიმისადმი უკმაყოფილებაც და ეს სავსებით ბუნებრივია. თუმცა არსებობს აზრი, რომ მედიცინაში, ისევე როგორც სიყვარულში, არ ამბობენ – „მუდამ" და „არასდროს". ყველაფერი შეიძლება მოხდეს ღვთის ნებითა და მკურნალის ძალისხმევით. ექიმმა პირველ რიგში მედიცინა რომ უნდა იცოდეს, ეს აქსიომაა და თუკი შებრალებისა და ახლობლის სიყვარულის გრძნობა, რომელიც ყოველ ნორმალურ ადამიანს უნდა ახასიათებდეს, ექიმს გაათკეცებული არა აქვს, ჭეშმარიტ ექიმად არ ჩაითვლება. იყო ექიმი – ნიშნავს ფლობდე უზარმაზარ ძალაუფლებას ადამიანზე. ეს ძალაუფლება მან მხოლოდ ადამიანის გადასარჩენად უნდა გამოიყენოს. ამ გზაზე ექიმმა პიროვნული თვისებებიდან ბევრი რამ უნდა დათმოს, დაივიწყოს, რადგან ადამიანის კეთილდღეობა დამოკიდებულია მის ისეთ თვისებებზე, როგორიცაა – პატივმოყვარეობა, პესიმიზმისაკენ ან ოპტიმიზმისაკენ გადაჭარბებული მიდრეკილება.

მართლაც, თუ თავს მოვუყრით ყველა იმ მოთხოვნას, რაც შეიძლება ექიმს წავუყენოთ, მისი პროფესია შეიძლება შეფასდეს, როგორც უძნელესი ყველა არსებულ პროფესიათა შორის. ვერც ერთი სხვა პროფესიის ადამიანი ისე სრულად ვერ შეიგრძნობს წინააღმდეგობებითა და დრამატიზმით აღსავსე ცხოვრებას, როგორც ექიმი. ამიტომაც ამბობენ: „მედიცინა ცხოვრების ენციკლოპედიააო". ვინ, თუ არა ექიმი, ხედავს – დაბადებას, ცხოვრებას, ავადმყოფობას, ტკივილს, ტანჯვას, სიხარულსა და სიკვდილს – ადამიანის სულის სიდიადესა და არარაობას და ყოველივე ამას – ახალ-ახალ ფორმებსა და გამოვლინებებში.

მორუა ამბობდა: „ექიმსა და მწერალს ბევრი საერთო აქვთ. ორივე ისწრაფვის გამოიცნოს ის, რაც მატყუარა გარეგნობის მიღმა იმალებაო". გამოჩენილ მწერალ ექიმებს ფრანსუა რაბლესა და ფრიდრიხ შილერს, ჩეხოვსა და ვერესაევს, კონან-დოილსა და მოემს, კრონინსა და ბულგაკოვს, კობო აბეს, სტანისლავ ლემს და სხვებს, სწორედ ექიმობა დაეხმარა, შეეღწიათ ცხოვრების იმ კუნჭულებში, რომლის დანახვა მხოლოდ ექიმის თვალს თუ შეუძლია.

დრომ სიწმინდის შარავანდედი შემოაცალა შემოქმედების ბევრ სახეობას. მათ შორის პოეტსაც და ექიმსაც. ის, ვინც გუშინ უდიდესი მოწიწების გრძნობას აღძრავდა, უბრალოდ „ფასიან მუშაკად" იქცა...

დღეს კი მითუმეტეს, როცა მედიცინის ჰუმანიზმი მედიცინის რაციონალიზმმა შეცვალა, როცა ანალიზებმა და გრაფიკებმა დაჩრდილა ავადმყოფისა და ექიმის უშუალო ურთიერთობა; როცა მათ შორის ჩადგა ტექნიკა (–„ექიმი – აპარატი – ავადმყოფი") და ექიმი აპარატის დამატებად იქცა – საექიმო რეპუტაციამ დეგრადაცია განიცადა. მედიცინაში პროგრესი, იცოცხლეთ, კარგია, – ასე რომ არ იყოს, მხოლოდ თერმომეტრითა და ფონენდოსკოპით შეიარაღებული სიმპათიური და კეთილი ექიმი აიბოლიტიც გადაჭრიდა ყველა პრობლემას. თუმცა „კომპიუტერს" ვერავინ უბოძებს აიბოლიტის „გულს", რომლის გარეშეც ვერ იარსებებს ჭეშმარიტი ექიმი, ვერც იმ კეთილ და „აზრიან" გამოხედვას, რომელსაც ბევრი ავადმყოფი „გაულღვია"... ცოდვა გამხელილი სჯობს: ავადმყოფთან საუბრის უნარი, მისი მოსმენა და გასინჯვა, ისე როგორც ამას აკეთებენ ტექნიკისაგან შეუბოჭავი ძველი დასტაქრები, თანამედროვე ექიმებს ნამდვილად აკლიათ, მაგრამ მათ ხომ ის სიკეთეც აკლიათ, რაც ავადმყოფებისაგან უზომოდ პატივცემულ ექიმებს ჰქონდათ. სენტ ეგზიუპერი ამბობდა: – „მჯერა, დადგება დღე, როცა გაურკვეველი სენით დაავადებული ადამიანი ფიზიკოსის ხელში მოხვდება. მას არაფერს ჰკითხავენ, მხოლოდ სისხლს აუღებენ, გამოიყვანენ ციფრებს, შეუდარებენ ცხრილს და განკურნავენ მხოლოდ ერთი აბით... მე კი, თუ ავად გავხდები, უსათუოდ მივაკითხავ მოხუც ექიმს, ის შემომხედავს მოჭუტული თვალებით, გამისინჯავს პულსს, მუცელს, ფილტვებს, მოუსმენს გულს... მერე ჩაახველებს, ჩიბუხს გააბოლებს, ნიკაპს მოისრესს, გამიღიმებს და ტკივილები დამიყუჩდება"... რა შესაშური რწმენაა.

ჩვენს არასიმპათიურ, ნევროტულ დროში, სადაც ორპირობა, ანგარება, სიცრუე ლამის „ნორმალურ პათოლოგიად" იქცა, რამდენი გულდასაწყვეტი სიტყვა მოუსმენია ექიმსაც. უფრო მეტიც, დღეს თითქოს მიზანდასახული კამპანია ხორციელდება ექიმთა წინააღმდეგ შეურაცხმყოფელი საგაზეთო, სატელევიზიო პუბლიკაციებით, პასუხისმგებელ პირთათვის მიჩენილ ე. წ. მაღალანაზღაურებად „ლეიბ-მედიკოსთა" უჩვეულო ყოფით, სადაც სულ უფრო და უფრო ხშირად გაისმის ბრძანება: – „ამა და ამ რიცხვისთვის ჯანმრთელი უნდა ვიყო!" ან ავადმყოფის ახლობლების ქცევა რად ღირს. ტკბებიან რა თავიანთი მზრუნველობით, თავადვე „ხელმძღვანელობენ" მის მკურნალობას... არადა, არათუ უსაფუძვლო უნდობლობა და წყენა, უსაფუძვლო ქებაც კი მიუღებელია.

ყველა ცივილიზებულმა ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ ექიმის ავტორიტეტი მთელი საზოგადოების საზრუნავი უნდა გახდეს, ასე აჯობებს ჩვენივე კეთილდღეობისათვის. სანამ იქნება ლტოლვა სიცოცხლისადმი, სურვილი მისი გაგრძელებისა – იქნება ურთიერთობა ექიმსა და პაციენტს შორის... ღმერთმა ინებოს, ისე მოეწყოს ჩვენი ცხოვრება, დაცული იქნეს არა მარტო ავადმყოფი, ექიმიც, რათა მან დაიბრუნოს ოდინდელი „ქურუმის ღირსება" და ამას განკურნებით გალაღებულმა და მადლიერმა ადამიანმა შეუწყოს ხელი.

მანანა კეიდია

ბიბლიოთეკა

# „ორბელიანების ქალო, მართლა

უამრავი ასეთი სტრიქონი ინახება კინორეჟისორ მანანა ორბელიანის პირად არქივში. პოეტები (და არა მარტო) ლექსად იღვრებოდნენ მისი ქალური მომხიბვლელობის, ნიჭიერებისა და ბუნებრივი უშუალობის წინაშე. დღეს უკვე სამი შვილისა (თამუნა, გივი, ლიკა) და ორი შვილიშვილის (ორი წლის ნიკოლოზი და ცხრა თვის მანანიკო) ბებია ამ ყველაფერს სიამოვნებით, მაგრამ ჩვეული თავდაჯერებულობით იხსენებს. საყვარელ საქმეზე საუბარი უსასრულოა. საუბრისას თითქოს რაღაც განსაკუთრებული აურა იქმნება მის გარშემო და მიუხედავად იმისა, რომ ძალზედ პრინციპულია, საკუთარ აზრს თავზე არავის არასოდეს ახვევს, პირიქით, ყოველთვის ცდილობს, რომ ობიექტური იყოს და ურთიერთობებში ჰარმონია შეინარჩუნოს.

„საქართველოს ქალი“ სიამოვნებით კისრულობს მეგზურის როლს ქალბატონ მანანა ორბელიანთან შესახვედრად.

„იცოდე, მე შენთვისა ვგალობ,
გულში მწვავს თვალები შენი,
ორბელიანების ქალო,
მართლა ქალი ხარ თუ შველი?“



**– ქალბატონო მანანა, რას ნიშნავს თქვენთვის ის ფაქტი, რომ ულამაზესი ქართველი ქალის სახელსა და გვარს ატარებთ?**

– პირველად, როცა უკვე დამოუკიდებლად დავიწყე აზროვნება და გავიგე, საერთოდ ვინ იყო მანანა ორბელიანი, სასწრაფოდ მოვიძიე ლიტერატურა და ყველაფერი წავიკითხე მის შესახებ. ლადო ასათიანის ლექსმა გამაგიჟა – ეს ვინ ყოფილა-მეთქი... მართლა ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა, ატარებდე ისეთ სახელსა და გვარს, რომელსაც მთელი საქართველო მუხლმოდრეკით ხვდება. არასოდეს დამავიწყდება მისალებ გამოცდებზე ვახტანგ კოტეტიშვილის რეაქცია, როდესაც მან ჩემი საბუთები ნახა: მანანა ორბელიანი? დედა, ეს რა გოგო გვყოლიაო? (იმედია, ამ ფრაზას თავის ქებაში არ ჩამომართმევთ)... მინდა გითხრათ, რომ თითქმის ყველგან გზა ხსნილი მაქვს ამ სახელისა და გვარის გამო და ეს ერთგვარ ვალდებულებასაც მაკისრებს... სხვათა შორის, ბავშვობიდან ვბაძავდი: მისებურად ვიპრანჭებოდი, მასავით მიყვარდა და მიყვარს პოეზია, ლიტერატურა... ლიტერატურულ სალონზე დღემდე ვოცნებობ... იმითაც კი მივბაძე, რომ მასავით სამი შვილი გავაჩინე (იცინის)...

**– ისე, რაიმე ნათესაური კავშირი ხომ არ გაქვთ მასთან?**

– ნათესაური კავშირი არა, მაგრამ, როგორც გითხარით, სახელი და გვარიც კი ყველაგან ძალიან მეხმარება. მახსოვს, ერთხელ სომეხი კომპოზიტორი კონსტანტინე ორბელიანი იყო საქართველოში ჩამოსული, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში მართავდა კონცერტს. ბილეთი ვერ ვიშოვე და გადავწყვიტე, როგორმე უბილეთოდ შევსულიყავი. ვისარგებლე ჩემი გვარით და ვთქვი, ამ კაცის ძმისშვილი ვარ-მეთქი. უპრობლემოდ გამატარეს... მოგეხსენებათ, ორბელიანთა შტო ერთი პერიოდი როგორ იდევნებოდა საქართველოში. ამის გამო ორბელიანები გახდნენ: კერვალიშვილები, ყაფლანიშვილები, ჩომახაშვილები... გარკვეული ნაწილი სომხეთში გაიქცა, იქ დარჩა და იქაური ქუდი დაიხურა. იმ პერიოდში მე საკურსო თემას ვამუშავებდი ეტიმოლოგიაზე და ძალიან კარგად ვიცოდი ამის შესახებ... კონსტანტინე ორბელიანიც საქართველოდან დევნილი ორბელიანების შთამომავალი გახლდათ – მისი წინაპარი ძირძველი ქართველი იყო – თავად მომიყვა ამის შესახებ.

**– პროფესიით რეჟისორს, ორბელიანებზე ფილმის გადაღების სურვილი არასოდეს გაგჩენიათ?**

– სიამოვნებით გადავიღებდი მეცხრამეტე საუკუნის თუნდაც ერთ-ერთ ლიტერატურულ სალონს. ინტერიერიც ვიცი, სად უნდა გადავიღო – წინანდალში, ალექსანდრე ჭავჭავაძის მუზეუმში, მაგრამ ძალიან რთულია ამის გაკეთება. წარმოიდგინეთ, ერთი საუკუნით უკან უნდა გადახვიდე და მოიპოვო დოკუმენტური მასალები. ამას გარდა, დამოუკიდებლად ფილმის გადაღებას ვერ მოვკიდებ ხელს, რადგან ძალიან მეშინია. მეშინია იმიტომ, რომ უზომოდ მიყვარს ჩემი პროფესია... არ შეიძლება, ყველამ გადაიღოს ფილმი!..

მართალია, ჩემი დამდგმელი რეჟისორი ზაზა ბუაძე, რომელთან ერთადაც უკვე საკმაო ხანია ვმუშაობ, ზოგჯერ რაღაც პატარა ეპიზოდების გადაღების უფლებას მაძლევს და მერე, ეს ჩემი გადაღებული სცენები ფილმში რომ შეაქვთ, ამით ძალიან ვამაყობ, მაგრამ მთელ პასუხისმგებლობას ჩემს თავზე მაინც ვერ ავიღებ. კასტინგი, მსახიობების მომზადება, ტექსტი, კოსტიუმები, მხატვარი – ყველაფერს მე ვაკონტროლებ და გადაღებების დროსაც ძალიან ლაღად და თავისუფლად ვგრძნობ თავს, მაგრამ...

სხვათა შორის, მანანა ორბელიანის მსგავსად, მეც ფილოლოგიური მაქვს დამთავრებული (მოგეხსენებათ, იგი იყო ქართველი ფილოლოგი ქალი, რომელიც აქტიურად იყო ჩაბმული საგანმანათლებლო მოღვაწეობაში). მართალია, თავიდანვე ძალიან მინდოდა, რომ თეატრალურ ინსტიტუტში სამსახიობო ფაკულტეტზე ჩამებარებინა, მაგრამ ოჯახში ძმის მხრიდან ძალიან დიდ წინააღმდეგობას წავაწყდი. თეატრალურის გარდა, სადაც გინდა, იქ ჩააბარეო, – მითხრა. ჩააბარებ, ხომ კარგი, თუ ვერ ჩააბარებ, მე გამეცადინებ და სამედიცინო ინსტიტუტში ჩაგაბარებინებო. ჩემთვის მიუღებელი იყო ეს წინადადება, ამიტომ, მის ჯიბრზე კარგად ვიმეცადინე, სპორტულ „ზბორებზე“ არ წავედი მეგობრებთან: ქეთინო კობერიძესთან, როზა ბერიკაშვილთან, ლიზიკო მარიხაშვილთან, მზია მონიავასთან და სხვებთან ერთად. ისინი იქ თან ზღვაზე ისვენებდნენ, თან მეცადინეობდნენ. მე თბილისში დავრჩი და დამიფასდა კიდეც – ფილოლოგიურზე ჩავირიცხე და შემდეგ უკვე თავს ძალა დავატანე, რომ არ შევრცხვენილიყავი მეგობრების, თანაკურსელებისა და პედაგოგების წინაშე...

**– სპორტული „ზბორები“ ახსენეთ... რომელ სპორტს მისდევდით?**

– ტანვარჯიშს... სპორტულ დარბაზზე ბავშვობიდან ვიყავი შეყვარებული... მომწონდა, პიანისტი რომ იჯდა ინსტრუმენტთან, ბავშვები კი ცეკვავდნენ და თამაშობდნენ. მაშინ ეს ცეკვა იყო ჩემთვის. ფანჯარასთან ვიჯექი და ჩუმად ვუყურებდი ხოლმე ამ ბავშვებს. მერე გავბედე და მეც მივედი სავარჯიშოდ. რადგან კარგი მონაცემები მქონდა, მალე ცენტრალურ სპორტულ სკოლაში გადამიყვანეს და ნაკრების წევრიც გავხდი. საქართველოს რამდენიმეგზის ჩემპიონი ვარ სპორტულ ტანვარჯიშში... არაჩვეულებრივი პედაგოგი მყავდა – თინათინ ქოიავა, რომელიც მარტო პედაგოგი და მწვრთნელი კი არა, ჩვენი მეგობარი იყო. ძალიან ბევრი რამ გვასწავლა ამ ქალმა: კერვა, ქსოვა, სადილის კეთება, რეცხვა... „ზბორებზე“ რომ მივდიოდით, მორიგეობით გვაკეთებინებდა ყველაფერს.. არ ვიცი, კიდევ თუ იბადებიან ასეთი არაჩვეულებრივი ადამიანები, გადაყოლილი იყო ჩვენზე, შვილებივით გვექცეოდა... ერთი ოჯახივით ვიყავით... სკოლისა და ინსტიტუტის მეგობრებს ენაცვალოთ ჩემი თავი, მაგრამ სპორტის მეგობრობა სულ სხვაა, რაღაც უფრო მეტს ნიშნავს... დღემდე ერთად ვართ, – ერთი ტკივილით და ერთი სიხარულით მიგვაქვს ცხოვრება...

**– კინოხელოვნებაში როგორ აღმოჩნდით, როგორ გადალახეთ ოჯახის წინააღმდეგობა?**

– მეორე კურსზე ვიყავი, როცა ვცადე თეატრალურ ინსტიტუტში გადავსულიყავი. ჩემმა ძმამ ეს რომ გაიგო, იმ წუთას მოვიდა დეკანატში და დეკანი (ოთარ ბაქანიძე იყო ჩვენი დეკანი) გააფრთხილა, ბავშვია, ნება არ მისცეთ სისულელე ჩაიდინოსო. შემდეგ წელს უკვე თავად უნივერსიტეტში გაიხსნა მეორადი ფაკულტეტი – ხელოვნებათმცოდნეობა და ძალიან გავი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქალი ხარ თუ შველი?“

ხარე. აქ უკვე ველარ გამიწიეს წინააღმდეგობა – კინოხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტზე შევიტანე საბუთები და ბატონი რეზო ჩხეიძის ჯგუფში ჩავირიცხე. წარჩინებული სტუდენტი ვიყავი. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, დიპლომი ავიღე თუ არა, გადავწყვიტე, პირდაპირ ბატონ რეზოსთან მივსულიყავი. ლაღად შევაბიჯე მის კაბინეტში და ვუთხარი: ბატონო რეზო, თქვენთან მინდა მუშაობის დაწყება, ძალიან მიყვარს კინო და იქნებ, ჩემი პროფესიით გამოგადგეთ-მეთქი. ფილოლოგიის განხრით მინდოდა რედაქტორად მუშაობა. რაღაცას მოვიფიქრებ, რადგან ამ წუთას ასეთი ადგილი არ მაქვსო – მითხრა. ერთი კვირის შემდეგ რეჟისორის ასისტენტად შემიშვა ბატონ გიგა ლორთქიფანიძესთან „დათა თუთაშხიაზე“. გაეცანი, ნახე იქაური სიტუაცია და მერე, როგორც კი შესაფერი ადგილი გამოჩნდება, გადაგიყვანო. შევედი ბატონ გიგასთან გადამღებ ჯგუფში და საოცარ გარემოში აღმოვჩნდი: ერთი დღე მეორეს არ გავდა, თან არაჩვეულებრივ მსახიობებთან მიწევდა მუშაობდა და ისე მომეწონა ეს ყველაფერი, რომ საერთოდ აღარ გამჩენია რედაქტორად გადასვლის სურვილი... თანდათან ავითვისე ეს პროფესია და მეორე რეჟისორი გავხდი. მეორე რეჟისორის პროფესიაშიც არის კატეგორიები და ამ კატეგორიების გავლის შემდეგ რეჟისორები დამოუკიდებლად იღებდნენ ფილმებს, მაგრამ მე ამას ველარ მოვესწარი, რადგან მოგეხსენებათ, 90-იანი წლებიდან კინო დაღმავალი გზით წავიდა – თითქმის ყველაფერი გაჩერდა. სწორედ ამ პერიოდში დედა გამიხდა ცუდად და გადავწყვიტე, თავი დამენებებინა მუშაობისთვის, მინდოდა, დედას მოვფერებოდი, უფრო ხშირად ვყოფილიყავი მასთან ახლოს. თან მესამე ბავშვის გაჩენაც გადავწყვიტე და მინდა გითხრათ, რომ საუკეთესო „ფილმი“ გამომივიდა ჩემი ლიკას სახით (იცინის)...

**– ქალბატონო მანანა, საუბარმაც მოიტანა და ვფიქრობ, დროა ოჯახზეც ვისაუბროთ. ვინ არის თქვენი მეუღლე და როგორ იპოვეთ ერთმანეთი?**

– ჩვენი გაცნობაც კინოსთან არის დაკავშირებული. დავამთავრე თუ არა უნივერსიტეტი, მაშინვე მივიღე მოწვევა რეჟისორ ნოდარ მანაგაძისგან ფილმში „გაცოცხლებული ლეგენდები“. იმ პერიოდში ჯერ კიდევ არ ვმუშაობდი „დათა თუთაშხიაზე“. ისევ დიდი ამბავი ატყდა ჩემს ოჯახში ამის გამო, მაგრამ მაინც ჩემი გავიტანე და ამ ფილმში ეპიზოდური როლი შევასრულე – ხევსურ გოგოს ვთამაშობდი. ფილმის დირექტორი გიას (რეჟისორი გია კაჭარავა) მამა იყო. ერთ-ერთ გადაღებაზე გიაც იყო მოსული. მაშინ გავიცანით ერთმანეთი და შემდეგ გარკვეული პერიოდი ვმეგობრობდით კიდეც. სიყვარულში არ გამომტყდომია, თუმცა, რაღაც პატარა ნიუანსები არსებობდა. მოხდა ისე, რომ მალე ერთმანეთს დავშორდით – გია ჯარში წავიდა, მე – გავთხოვდი და ბავშვიც შემეძინა. ჯარიდან რომ დაბრუნდა, უკვე მარტო ვიყავი ჩემს პატარა თამუნასთან ერთად. ჩვეულებრივ შევხვდით ერთმანეთს და გავაგრძელეთ ურთიერთობა. ერთ მშვენიერ დღეს წასაკითხად დამიტოვა თავისი პირველი კინოსცენარი „დედის დაბადების დღე“. წავიკითხე და გაოცებული დავრჩი, ისე აკადემიურად ჰქონდა დაწერილი. სცენარს ძალიან თბილი სურვილები დავურთე თან და დავუბრუნე. როგორც ჩანს, ამ ფურცელმა და სითბოს ასეთმა გამოხატვამ ჩემი მხრიდან, რაღაც სხვანაირად დაანახა ჩემი თავი, თან ბავშვიც ძალიან შეიყვარა, მეც მომხიბლა მისმა მრავალმხრივმა ნიჭმა (მუსიკას წერდა, უკრავდა)... მას შემდეგ ერთად ვართ. სულ ვჩხუბობთ, მაგრამ მაინც ერთად მოვდივართ ერთმანეთის სიყვარულით და ურთიერთპატივისცემით...

**– რომელიც, ალბათ, უმთავრესია ოჯახური ურთიერთობების შესანარჩუნებლად...**

– რა თქმა უნდა... სამწუხაროდ, გია უკვე მეორე წელია საზღვარგარეთაა წასული და იქ მოღვაწეობს. ძალიან მიჭირს ამის თქმა, მაგრამ საქართველოში ვერ დააფასეს და სათანადოდ ვერ გამოიყენეს მისი ნიჭი.

**– გამოდის, რომ ოჯახის გაძღოლაც თქვენ გიწევთ...**

– კი და ძალიან ვწუხვარ ამაზე... ოჯახის მთელი ტვირთი გიაზე იყო დამოკიდებული და ამას განსაკუთრებით მას შემდეგ მივხვდი, რაც რეალობის წინაშე დავდექი. გიას ვეუბნებოდი: გაზიც შენ ყოფილხარ, შუქიც, ტელეფონის გადასახადიც, ბაზარიც და საერთოდ, ყველაფერი-მეთქი... კი, როგორ არა, შეძლებისდაგვარად ვუძღვები ოჯახს, მაგრამ ეს მაინც დიდი ტვირთია ნებისმიერი ქალისთვის. მიუხედავად ამისა, ბედნიერი ვარ, რომ მაქვს ჩემი საქმე, რომელზეც არანორმალურად ვარ შეყვარებული...

**– ანუ, დღეს თამამად შეგიძლიათ თქვათ, რომ რეჟისურა აღმოჩნდა ის პროფესია, რომელიც ნამდვილად თქვენია?**

– რა თქმა უნდა... ნამდვილად გულწრფელად შემიძლია გითხრათ, რომ სხვაგან არსად ძალმიძს ყოფნა. მიხარია, რომ დღეს ტელეკომპანია „იმედის“ ერთ-ერთ ტელესერიალზე („ყავა და ლუდი“) ვმუშაობ და მადლობა იმ ხალხს, ვინც მსახიობებს, სხვა თუ არაფერი, თავიანთი პროფესიის გახსენების საშუალება მისცა. „ყავა და ლუდი-2“-ის ოცდაოთხი სერია



უკვე მზად გვაქვს. პირველი ნაწილი ნანახი აქვს მაყურებელს. ამ მეორე ნაწილს სექტემბრიდან იხილავს, რომელიც პირველზე გაცილებით უკეთესია, მესამე – კიდევ უფრო უკეთესი.

**– თუ არ ვცდები, „ყავა და ლუდში“ თქვენი უმცროსი ქალიშვილი – ლიკაც არის გადაღებული... მსახიობობას ხომ არ აპირებს?**

– მსახიობია უკვე (იცინის)... ეს ისე, ხუმრობით, თუმცა გადაღებულია სამ-ოთხ ფილმში. „დაიკარგა ხუჭუჭაში“ მთავარ როლს თამაშობს. მამამისმა მეორე საბავშვო ფილმშიც გადაიღო. რეჟისორმა ლევან ზაქარეიშვილმაც გადაიღო „თბილისი, თბილისი, თბილისში“ და „ყავა და ლუდშიც“ აქვს ერთი პატარა ეპიზოდი, რომელიც საკმაოდ კარგად ითამაშა... ვფიქრობ, ათი წლის გოგონასთვის ცუდი შედეგი არ უნდა იყოს, მაგრამ თავად რეჟისორობაზე უფრო ფიქრობს, ვიდრე მსახიობობაზე. ვნახოთ, წინ დიდი გზა აქვს გასავლელი...

**– გადაღებები, ალბათ, ძალიან დამღლელია... დიასახლისობისთვის თუ გრჩებათ დრო?**

– მაგისთვის ყოველთვის მცალია... მართალია, ხშირად ღამე ვაკეთებ ყველაფერს, მაგრამ თუ სახლში ან სამსახურში უწესრიგობაა, შეიძლება გავგიჟდე. უდისციპლინობას ვერ ვიტან და სულ ამაზე მაქვს ჩხუბი... ჩემთვის დისციპლინა უპირველესი და აუცილებელია ყველგან და ყველაფერში.

**– დაბოლოს, თქვენი სურვილი...**

– მინდა, მეც და ჩემმა შვილებმაც ნორმალურ, აყვავებულ საქართველოში ვიცხოვროთ, ქვეყანაში, სადაც ყველა თავის საყვარელ საქმეს გააკეთებს.

თამარ ოთიაშვილი

**P.S. სექტემბერში ქალბატონი მანანას რეჟისორული მოღვაწეობა 30 წლისწადს მიითვლის. გულწრფელად ვულოცავთ და წარმატებებს ვუსურვებთ პირად და შემოქმედებით ცხოვრებაში.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიყვარულის ახსნა არ სჭირდება

ჯულიეტას როლი რეჟისორ გოგი მარგველაშვილის სპექტაკლში „რომეო და ჯულიეტა“ მსახიობ ია სუხიტაშვილის ერთგვარი სავიზიტო ბარათია. თანამედროვე ინტერპრეტაციით დადგმულ წარმოდგენაში მისმა ჯულიეტამ თავისი სიდიადითა და სილაღით მაყურებელს თავი მაშინვე შეაყვარა, ოფელიას როლმა კი რუსთაველის თეატრში რეჟისორ რობერტ სტურუას მიერ დადგმულ შექსპირის „ჰამლეტში“, ეს სიყვარული კიდევ უფრო გაამძაფრა. მომხიბვლელი და ნიჭიერი გოგონა ტელესერიალ „ცხელ ძაღლში“ მონაწილეობამ გაცილებით პოპულარული გახადა. აღარაფერს ვამბობთ გადაცემა „ჰოლივუდზე“, რომელიც კარგა ხნის განმავლობაში გადიოდა ტელეიმედის ეთერით და რომლის წამყვანიც ია სუხიტაშვილი გახლდათ. აგრეთვე, სარეკლამო კლიპზე, სადაც მაყურებელმა საყვარელი მსახიობი შეყვარებულთან ერთად იხილა.

თუ ვინ და როგორ დაიპყრო ჩვენი მომხიბვლელი და საოცარი შინაგანი შარმის მქონე რესპონდენტის გული, ამას თავად იასთან საუბრიდან შევიტყობთ. წინასწარ მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ ია სუხიტაშვილს საყვარელი ადამიანის გარეშე ცხოვრება ვეღარ წარმოუდგენია.

**– ია, თქვენს მიერ შესრულებულ ქალის როლებზე ბევრი მსახიობი ოცნებობს, თქვენ კი, მგონი, ამ როლებზე ოცნებაც ვერ მოასწარით... ამის გამო ირგვლივმყოფები იღბლიან მსახიობად გთვლიან, თავად რას ფიქრობთ, გაგიმართლათ?**

– რასაკვირველია. ცოდვა იქნება რომ ვთქვა, იღბლიანი არა ვარ-მეთქი. ზოგჯერ თვითონაც ვამბობ ხოლმე ხუმრობით, რომ ოცნების საშუალებაც არ მომეცა – უცებ დაიდგა თეატრალურ ინსტიტუტში „რომეო და ჯულიეტა“, სადაც ჯულიეტას როლი ვითამაშე, ორი თვის შემდეგ კი ბატონმა რობერტ სტურუამ ოფელიას როლზე დამამტკიცა. დავამთავრე თუ არა თეატრალური ინსტიტუტი, სულ რაღაც ერთ კვირაში მივედი რუსთაველის თეატრში... თუნდაც ვინმემ მეტიჩრობაში და თავის ქებაში ჩამომართვას, მაინც ვიტყვი, რომ ცუდად არ მითამაშია ეს როლები. შეიძლება ხმამაღლა არ ლაპარაკობდეს და საკუთარ თავსაც არ უტყდებოდეს, მაგრამ მსახიობი ყოველთვის ყველაზე უკეთესად გრძნობს, გამოუვიდა თუ არა ესა თუ ის როლი... დღეს თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჯულიეტას და ოფელიას როლები გამომივიდა. ბოლოს და ბოლოს, ორჯერ ავიღე საუკეთესო ახალგაზრდა მსახიობის ჯილდო ჯულიეტას როლის შესრულებისთვის... მსგავსი როლები საერთოდ რომ აღარ ვითამაშო (ყოველთვის ისე არ ხდება, როგორც მსახიობს უნდა), გული არ დამწყდება და დეპრესიაში ნამდვილად არ ჩავვარდები. სტატისტიკურად, ევროპაში ჩატარებული გამოკვლევის შედეგად, ქალის საუკეთესო როლებად შექსპირის ოფელია, ჯულიეტა და დეზდემონა დასახელდა, ორი მათგანი მე უკვე ვითამაშე და საწუწუნო არაფერი მაქვს.

**– დეზდემონას როლი დაგრჩათ სათამაშო...**

– ძალიან საინტერესოდ შეიძლება ამ როლის გაკეთება, მაგრამ დეზდემონაზე მაინცდამაინც არ ვგიჟდები. რომც არ ვითამაშო, და ვიცი, რომ არ ვითამაშებ, გული ნამდვილად არ დამწყდება.

**– ისე, რა როლის თამაში გინდათ?**

– ძალიან მინდა დოსტოევსკის „დანაშაული და სასჯელიდან“ სონიჩკას როლის შესრულება. ამ პიროვნებაში ჩემს თავს ვხედავ, ოღონდ ფიზიკურად. ის უფრო რბილი ხასიათისაა, მე კი ისეთი რბილი ხასიათი არ მაქვს. გული მწყდება, რომ ვერ ვითამაშე ჩეხოვის „ალუბლის ბაღში“, რომელიც თუმანიშვილის თეატრში დაიდგა. ანას როლი უნდა განმესახიერებინა, მაგრამ იმ პერიოდში მოსკოვში მქონდა გადაღებები და რეჟისორს საფრთხეში ვერ ჩავაგდებდი. სრულმეტრაჟიან ფილმს იღებდა ალექსეი გერმანი და ერთ-ერთ მთავარ როლზე ვყავდი მიწვეული. მართალია, ძალიან საინტერესო პერსონაჟი (სერბი გოგონა ვიყავი და სერბული ენის სწავლაც მომიწია) ვითამაშე, მაგრამ, ალბათ, ყოველთვის ვინანებ, რომ უარი ვთქვი ანას როლზე ჩეხოვის ერთ-ერთ ყველაზე კარგ პიესაში.

**– ისე, ამ ბოლო დროს რაღაც ძალიან ხშირად ამბობთ უარს როლებზე...**

– ვისწავლე უარის თქმა (იცინის)... აღარ მინდა ენთუზიაზმზე მუშაობა... ამას წინათ ერთმა რეჟისორმა დამირეკა და მითხრა, გერმანიიდან ვარ ჩამოსული, ფილმს ვიღებ, სადღაც გნახე, მომეწონე და მინდა, მთავარ როლში გადაგიღოო. ნორმალური სცენარი იყო, მაგრამ რამდენს გადამიხდით-მეთქი რომ ვკითხე, იცით, რა მიპასუხა? ადრეც ვიყავი ჩამოსული საქართველოში, ერთი გოგონა გადავიღე და უსაჩუქროდ არ დამიტოვებია – სუფთა ფრანგული



სცენა სპექტაკლიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა



სუნამო ვაჩუქეო. გამოდის, რომ უსაჩუქროდ არც მე დამტოვებდა... მწყინს რეჟისორების ასეთი დამოკიდებულება მსახიობების მიმართ. მინდა, ცოტა უფრო მეტად დაფასდეს ეს პროფესია.. რეჟისორმა დიტო ცინცაძემ დამირეკა ორჯერ, ორჯერვე უარი ვუთხარი, ისევ ფულის გამო და თან რაღაცეები არ მომეწონა სცენარში. არის ისეთი რამ, რასაც არასოდეს გავაკეთებ. ამისთვის არც ფსიქოლოგიურად ვარ მზად და არც სურვილი მაქვს... საერთოდ, მინდა გითხრათ, რომ ჩემი თაობა საოცრად დიდ უგემოვნობას შეეჯახა ყველა სფეროში. ძალიან პასიურ მდგომარეობაში ვართ. ერთადერთი, რითაც პირადად მე თავს ვინუგეშებ, ეს არის რუსთაველის თეატრი, სადაც შემიძლია გემოვნებით ვაკეთო ჩემი საქმე, გემოვნებით ვითამაშო, გემოვნებით ჩავიცვა და კარგ არტისტებთან ერთად ვიდგე სცენაზე და ა. შ. ნურავინ მიწყენს, მაგრამ რუსთაველის თეატრის მსახიობები სხვა თეატრების მსახიობებისაგან ნამდვილად განსხვავდებიან... ჩემი გმირები მეხმარებიან იმაში, რომ სამი-ოთხი საათი გამოვეთიშო ამ სამყაროს და არ ვიფიქრო არაფერზე. მატერიალურს არ ვგულისხმობ – საერთოდ, ქვეყანაში არსებული სიტუაცია მაწუხებს, ყველაფერი ის, რაც ჩვენს გარშემო ხდება.

**– ამ ფონზე, დღევანდელი გადასახედიდან რას ფიქრობ, სწორად აირჩიეთ პროფესია?**

– კი, სწორად ავირჩიე... მართალია, უსისტემო პროფესია გვაქვს, ზოგჯერ დილის ექვს საათზეც კი შევსულვარ სახლში, ვიღლები არა მარტო გონებრივად, არამედ ფიზიკურადაც, მაგრამ, როგორც გითხარით, ეს არის ერთდერთი რამ, რაც ამ სამყაროდან მთიშავს. ხელახლა რომ დამაყენონ არჩევანის წინაშე, ისევ ამ პროფესიას ავირჩევდი.

**– ია, ვიცი, რომ შეყვარებული ხართ... საინტერესოა, რითი ჰგავს შეყვარებული ია სუხიტაშვილი თავისსავე გმირს – ჯულიეტას?**

– ვერაფრით ვერ ვამსგავსებ... ვერცერთ ჩემს პერსონაჟში ვერ ვგრძნობ საკუთარ თავს და საერთოდ, ვცდილობ, რომ ჩემი პერსონაჟები საკუთარ თავთან არ გავაიგივო. ჯულიეტას სულ სხვანაირად უყვარდა, მე აბსოლუტურად სხვანაირად მიყვარს. ვერ აგხსნი, როგორ... ალბათ, არც უნდა ახსნა და ამაზე არ უნდა ილაპარაკო... რაღაცნაირად სადღაც, რომელიღაც კუნთში თუ ტვინის რომელიღაც უჯრედში გრძნობ, რომ გიყვარს და მორჩა...

**– ვინაა შენი შეყვარებული?**

– კახა ახვლედიანი, რომელმაც წელს დაამთავრა თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი. ძალიან ნიჭიერი ადამიანია, ყველაფერი წინ აქვს და მჯერა, რომ ნამდვილად იტყვის თავის სათქმელს... ყველას ჰგონია, რომ ჩემზე პატარაა, მაგრამ ასე არ არის, ჯერ ტექნიკური უნივერსიტეტი დაამთავრა და შემდეგ ჩააბარა თეატრალურ ინსტიტუტში.

**– ამბობენ, რომ ქალი ქმნის მამაკაცს და პირიქით, მამაკაცი – ქალს. ადამიანების ქცევა და მოქმედება ამ ორი სქესის ერთმანეთისადმი თავის მოწონების დაუსრულებელი წადილია. საინტერესოა, გარდა ნიჭისა, რით დაიპყრო კახამ თქვენი გული, რით მოგაწონათ თავი?**



● ია და კახა

– ჯერ ერთი, ფიზიკურად არის ძალიან კარგი. თავდაპირველად, როცა გავიცანი, სწორედ ფიზიკურად მომეწონა. ხომ არიან ადამიანები, რომელთა გარეგნობაზეც ვერავინ იტყვის, ასეთი ტიპები არ მომწონსო. სწორედ ასეთი ტიპია კახა. სულ მეკითხებიან, ეჭვიანი თუ ხარო? არ ვარ და არც მიყვარს ეჭვიანი ადამიანები. ვცდილობ, არ ვიეჭვიანო, თუმცა საეჭვიანო მაქვს, იმიტომ, რომ თუნდაც ქუჩაში რომ მივდივართ ერთად, ძალიან დიდ ყურადღებას იპყრობს... საერთოდ, ფანტასტიკური ადამიანია, აქვს იუმორის საოცარი გრძნობა, კეთილია, ყურადღებიანი... ბევრი ქართველი მამაკაცი არ გამოგყვება სამი-ოთხი საათით მაღაზიებში, მოგცემს ფულს და გეტყვის, წადი და იყიდე, რაც გინდაო. კახას შეუძლია საათობით გამომყვეს შოპინგზე და ჩემთან ერთად იაროს. თან ძალიან კარგი გემოვნება აქვს და უკვე ბრმად ვენდობი მის გემოვნებას. თვითონაც ყოველთვის გემოვნებით ჩაცმული დადის... მოკლედ, ძალიან კარგად ვუგებთ ერთმანეთს, დღე ისე არ გავა, ერთმანეთი არ ვნახოთ. უკვე მესამე წელია ერთმანეთს ვიცნობთ და სულ მინდა, მასთან ვიყო.

**– რა გიშლით ხელს, საკმაოდ დიდხანს გაგრძელებიათ შეყვარებულობის პერიოდი...**

– კი, მაგრამ, ალბათ, მალე დაესმება ამ ყველაფერს წერტილი – ბინას ვიშენებთ და როგორ კი ამ ბინაში გადავალთ, ოჯახზეც ვიზრუნებთ.

**– ამდენს ვსაუბრობთ და არ მკითხავს, ერთმანეთი როგორ გაიცანით?**

– საერთო მეგობრები გვყავდა. კახას ძალიან კარგად იცნობდა ჩემი ძმაც, რადგან ერთად მოუწიათ თეატრალურ ინსტიტუტში ჩაბარება. მოხდა ისე, რომ რეკლამაში გადაგვიღეს ერთად, თუმცა, მაშინ ასე ახლოს არ ვყოფილვარ, მხოლოდ გამარჯობით ვიცნობდით ერთმანეთს. ამის შემდეგ დამირეკა, მომაკითხა, გადავწყვიტეთ ერთად წავსულიყავით კინოში და იმ დღიდან მოყოლებული ყოველდღე ერთად ვართ.

**– რადგან თქვენივე პროფესიის ადამიანია, ალბათ, ეს საფრთხე არ გემუქრებათ, მაგრამ მომავალმა მეუღლემ კარიერის დათმობა რომ მოგთხოვოთ, როგორ მოიქცევით – დათმობთ საყვარელ საქმეს?**

– ვერც საყვარელ საქმეს დავთმობ და ვერც საყვარელ ადამიანს. სხვათა შორის, მე და კახას გვქონდა ამაზე საუბარი. მეგობრებთან ერთად ვიყავით და მაშინ კახამ ასეთი რაღაც თქვა: მე შემიყვარდა ია სუხიტაშვილი, რომელიც უკვე მსახიობი იყო და როგორ უნდა მოვთხოვო მსახიობობას თავი დავანებოსო. ძალიან მესიამოვნა მისგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთი პასუხი... გარკვეული პერიოდი შეიძლება ჩამოვშორდე ჩემს პროფესიას, როცა ბავშვს გავაჩენ, რადგან ვთვლი, რომ შვილი დედამ უნდა გაზარდოს, ერთ წლამდე მაინც, მაგრამ მსახიობობას თავს ნამდვილად ვერ დავანებებ. რაღაც სხვა საქმის გაკეთება რომ შემეძლოს, თუ ეს პრეტენზია წამოიჭრებოდა, ალბათ, გავაკეთებდი, მაგრამ გულახდილად ვამბობ, ამ საქმის გარდა არაფერში ვვარგივარ. საშინლად არ მიყვარს სამზარეულოში ტრიალი. მომიწევს, მაგრამ არ მიყვარს, ცუდად ვკერავ, ყველანაირი ქსოვა ვიცი, მაგრამ არც ეს მიყვარს... მოკლედ, ნურავინ დამაყენებს არჩევანის წინაშე, თორემ შეიძლება დეპრესიაში ჩავვარდე და ორივეს ერთად დავანებო თავი... ადამიანზეა დამოკიდებული, თორემ შეიძლება ბანკში მუშაობდე და მაინც მოგთხოვოს, თუნდაც ეჭვიანობის ნიადაგზე შენი საქმისთვის თავის დანებება... ძალიან მაღიზიანებს ასეთი რაღაცეები...

**— ეჭვიანობა დიდი სიყვარულის ნიშანიაო...**

— ჩემთვის არასრულყოფილების ნიშანია... რას ჰქვია ეჭვიანობ? რატომ, არ ხარ დარწმუნებული შენს თავში და მის გრძნობებში? თუ ასეა, შენში ყოფილა პრობლემა... პატარა ეჭვიანობა ხანდახან გსიამოვნებს კიდეც ადამიანს, მაგრამ ყველაფერში ზომიერებაა საჭირო — ეჭვიანობაშიც... იმის თქმა, რომ მე ვეჭვიანობ და შენ შენს საქმეს თავი დაანებო, უზნეობის მიმანიშნებელია, მეტი არაფერი...

**— ია, სილამაზე მსხვერპლს მოითხოვსო, ამბობენ — შეცვლიდი რაიმეს შენს გარეგნობაში?**

— ვგიჟდები ჩემს თავზე და გარეგნობაზე-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ ჩემს გარეგნობაში მნიშვნელოვანს ნამდვილად არაფერს შევცვლიდი. ერთადერთი, სიამოვნებით მოვიმატებდი შვიდ კილოს მაინც... სილამაზე კი, არანაირ მსხვერპლს არ მოითხოვს, მე თუ მკითხავთ. უამრავი საშუალება არსებობს იმისთვის, რომ თუნდაც სახის კანს მოუარო. ნუ იყიდი ძვირადღირებულ კრემებს, თავისუფლად შეიძლება პროდუქტების საშუალებით მოიგვარო პრობლემა. არანაირ მსხვერპლს და არც დიდ დროს ეს არ მოითხოვს. შეიძლება თან საქმე აკეთო და თან თავი მოიწესრიგო. მთავარი მონდომებაა. მე ახლა ყველანაირად მოვინდომებ და ვეცდები იმ წონას მივაღწიო, რაც მინდა. ვფიქრობ, ძალიან მომიხდება...

**— ნამდვილად მოგიხდებათ...**

— მთავარი პრობლემა ისაა, რომ დღის რეჟიმი მაქვს დარღვეული. მითხრეს, რეჟიმში უნდა იკვებოო, მე კი ამ რეჟიმს, ალბათ, ვერასოდეს დავიცავ. მაშინ მართლა უნდა დავანებო ჩემს პროფესიას თავი. რობერტ სტურუას ხომ ვერ ვეტყვი, ბატონო რობერტ, ახლა ორი საათია, უნდა ვჭამო-მეთქი და სცენიდან გავიდე. ვერაფრით ვერ ვეტყვი ამას, ამიტომ არ ვიცი, დავიცავ თუ არა ამ რეჟიმს ოდესმე ცხოვრებაში. მუშაობა ყველაფერს მირჩევნია, დეპრესიაში ვვარდები, როცა უსაქმოდ ვარ...

**— რუსთაველის თეატრს ისეთი ტემპი აქვს აღებული, მგონი, დასვენება მოგენატრათ... „ვანილის მოტკბო, სევდიანი სურნელი" მეოთხე სპექტაკლია, რომელსაც თეატრი ამ სეზონზე გამოუშვებს. მსგავსი რამ ბოლო 15 წლის განმავლობაში თეატრში არ მომხდარა... რა როლში გიხილავთ მაყურებელი ამ სპექტაკლში?**

— ექსცენტრიკული გოგონას როლს ვთამაშობ, რომელიც იგებს, რომ მისმა შეყვარებულმა ცოლი მოიყვანა და მიდის მასთან სახლში შურის საძიებლად, თუმცა იცის, რომ სახლში არიან ამ ბიჭის სიდედრიც, სიმამრიც, ცოლიც, ნათესავებიც... ბევრს არ შეუძლია მსგავსი რამის გაკეთება, თუმცა ჩვენს გვერდით არიან ასეთი ადამიანები — ისე არ წავლენ იმ პიროვნების ცხოვრებიდან, სიცოცხლე არ გაუმწარონ... საკმაოდ ძლიერი ქალის თამაში მიწევს...

**— დაბოლოს, კიდევ ხომ არაფერი გექნებათ სათქმელი?**

— რა უნდა ვთქვა? ჩემთვის წყნარად ვმუშაობ, ვიღლები, მაგრამ ეს დაღლაც ძალიან სასიამოვნოა, რადგან იმდენი უმუშევარი ადამიანია ჩვენს გარშემო, სჯობს, საქმე აკეთო და მუშაობით დაიღალო, ვიდრე სამუშაო არ გქონდეს.

თამარ ოთიაშვილი

**P. S. „საქართველოს ქალი" წარმატებას უსურვებს ია სუხიტაშვილს შემოქმედებით და პირად ცხოვრებაში და სიამოვნებით მიულოცავს ქორწინების დღეს, თუ, რა თქმა უნდა, წინასწარ შეგვატყობინებს.**

---

თარგმანი

## სომერსეტ მოემი



# გაქცევა

ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, თუკი ქალი გადაწყვეტდა, ცოლად გაჰყოლოდა მამაკაცს, ვერაფერი, გარდა უეცარი გაქცევისა, მას ვერ იხსნიდა. თუმცა ყოველთვის ასე როდი ყოფილა... ერთხელაც ჩემი მეგობარი, რომელმაც დაინახა რა, თუ როგორი საშიშროების წინაშე აღმოჩნდა, ერთ-ერთი ნავსადგურიდან გემით გაემგზავრა (სხვათა შორის, მთელ მის ბარგს მხოლოდ კბილის ჯაგრისი შეადგენდა, იმდენად კარგად ჰქონდა შეგნებული, თუ რამხელა საფრთხის წინაშე იმყოფებოდა), ერთი წელი მსოფლიოს გარშემო იმოგზაურა, მაგრამ როდესაც თავს უკვე უვნებლად თვლიდა (ქალები ცვალებადნი არიან, ასე ფიქრობდა, და თორმეტ თვეში, ალბათ, ჩემს დავიწყებას შეძლებდაო), იმავე ნავსადგურში დაბრუნდა და პირველი, ვინც კი დაინახა და რომელიც მხიარულად უქნევდა მას ხელს ნაპირიდან, სწორედ ის პატარა ქალბატონი აღმოჩნდა, რომელსაც თავქუდმოგლეჯილი გაექცა.

მხოლოდ ერთადერთ მამაკაცს ვიცნობდი, რომელმაც მსგავსი შემთხვევიდან მოახერხა თავის დაღწევა — როჯერ ჩეარინგს ახა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლგაზრდა აღარ ეთქმოდა, როდესაც რუთი ბარლოუ შეუყვარდა. საკმარისი გამოცდილებაც ჰქონდა, რომ ფრთხილად მოქცეულიყო, მაგრამ რუთი ბარლოუ ისეთი ნიჭით იყო დაჯილდოებული, რაც მამაკაცთა უმრავლესობას უმწეოს ხდიდა. ეს პათოსის ნიჭი იყო, რაც როჯერსაც ართმევდა საღ აზრს, წინდახედულებასა და ამქვეყნიურ სიბრძნეს. მისის ბარლოუს (იგი ორჯერ დაქვრივებული გახლდათ) ჰქონდა საუცხოო მუქი თვალები, ყველაზე უფრო მოძრავნი, რაც კი ოდესმე მინახავს; ისეთი შთაბეჭდილება დაგრჩებოდათ, თითქოს ეს-ეს არის ცრემლებით უნდა აივსონო; მის თვალებში ამოიკითხავდით, რომ მართალია სამყარო ძვირფასია მისთვის, მაგრამ იგივე სამყარო მეტად სასტიკია საბრალო ქალისადმი. როჯერ ჩეარინგივით თქვენც რომ ძლიერი, ზორბა, მდიდარი მამაკაცი ყოფილიყავით, გარდაუვალი იქნებოდა, რომ თქვენც გეფიქრათ: მე უნდა ჩავდგე ცხოვრების ხიფათებსა და ამ პატარა უმწეო არსებას შორის, რათა როგორმე გამოვდევნო სევდა იმ დიდი და საყვარელი თვალებიდან!

როჯერისაგან გავიგე, რომ მისის ბარლოუს ყველა ცუდად ექცეოდა. იგი აშკარად იმ უიღბლო ადამიანთაგანი იყო, ვისაც არასოდეს უმართლებდა. თუ გათხოვდებოდა, ქმარი სცემდა, თუ მაკლერს დაიქირავებდა, იგი აუცილებლად მოატყუებდა, თუ მზარეულს აიყვანდა, ხელში ჭირვეული მსახური შერჩებოდა. მას არასოდეს გააჩნდა ისეთი ძვირფასი რამ, რისი დაკარგვის შიშიც ექნებოდა.

როდესაც როჯერმა მითხრა, რომ როგორც იქნა დაიყოლია მისის ბერლოუ, ცოლად გაჰყოლოდა, დიდი სიხარული ვუსურვე.

„იმედი მაქვს, დამეგობრდებით, – თქვა მან, – მას ცოტათი ეშინია შენი. დარწმუნებულია, რომ შენ უგულო ხარ“.

„ნამდვილად ვერ ვხვდები, რატომ უნდა იფიქროს ჩემზე ასე“.

„შენ მოგწონს იგი?“

„ძალიან“.

„მას მძიმე ცხოვრება ჰქონდა; საბრალო, საყვარელი არსება. საშინლად მეცოდება“.

„ჰო“, – ვთქვი მე.

ვიცოდი, რომ ეს ქალი სულელი იყო და ვფიქრობდი, რომ იგი ხრიკებს უწყობდა როჯერს. ჩემი აზრით, ის გამობრძმედილი იყო ასეთ ამბებში.

პირველად, როცა შევხვდით ერთმანეთს, ბრიჯი ვითამაშეთ. იგი ჩემი პარტნიორი იყო და მან ორჯერ გამიჭრა კოზირით ჩემი საუკეთესო კარტი. ანგელოზივით ვიქცეოდი, მაგრამ ვაღიარებ, რომ ვფიქრობდი, თუკი ვისიმე თვალებში უნდა ამოეხეთქა ცრემლებს, ეს უფრო ჩემი თვალები უნდა ყოფილიყო, ვიდრე მისი. როდესაც დღის ბოლოსათვის საკმაოდ დიდი თანხა წავაგე ჩემთან, იგი დამპირდა, რომ ქვითარს გამომიგზავნიდა, მაგრამ არ შეუსრულებია დანაპირები. ამდენად, სწორედ მე უნდა მქონოდა აღელვებული გამომეტყველება ჩვენი მორიგი შეხვედრის დროს.

როჯერმა იგი თავის მეგობრებს წარუდგინა. ძვირფასი სამკაულები აჩუქა. ყველგან დაჰყავდა. ქორწინება უახლოესი მომავლისთვის გადაწყვიტეს; როჯერი ძალიან ბედნიერი იყო. დარწმუნებული იყო, რომ რაღაც კარგს აკეთებდა და ამავე დროს აკეთებდა იმას, რისი გაკეთებაც ძალიან სურდა. ეს იშვიათი შემთხვევაა და გასაკვირიც არაა, რომ იგი ცოტა არ იყოს, ამაყობდა კიდეც საკუთარი თავით.

შემდეგ კი, სრულიად მოულოდნელად, როჯერმა გადაიყვარა. მიზეზი დღემდე არ ვიცი. ნაკლებად შესაძლებელია, რომ მისი ლაპარაკით გადაღლილიყო, რადგანაც რუთი მიჯნურს საუბარს არასოდეს უბამდა. შესაძლოა, რომ თვალები აეხილა და ძველებურად გამჭრიახი კაცი გახდა. მან მკვეთრად შეიგრძნო, რომ რუთი ბარლოუ მალე მის გვერდით დაიდებდა ბინას. ამის გაფიქრებამ იმდენად შეზარა, ფიციც კი დადო, რომ ვერაფერი აიძულებდა ამ ქალის ცოლად შერთვას. ერთი სიტყვით, როჯერი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. როცა აზრზე მოვიდა, აშკარად დაინახა, თუ როგორი ტიპის ქალთან ჰქონდა ურთიერთობა და შეიგნო, რომ თუ იგი მას დაშორდებოდა, აუცილებლად გადაუხდიდა სამაგიეროს.

როჯერმა საკუთარი განზრახვა საიდუმლოდ შეინახა. არც სიტყვითა და არც რაიმე ჟესტით არ ამჟღავნებდა, რომ რუთი ბარლოუსადმი მისი გრძნობები გაცივდა. კვლავინდებურად დაჰყავდა რესტორნებში და თეატრებში, უგზავნიდა ყვავილებს, როჯერი თანაგრძნობით აღსავსე და მშვენიერი იყო. ისიც კი გადაწყვიტეს, რომ მაშინვე ექორწინათ, როგორც კი შესაფერის სახლს იშოვნიდნენ. სასურველი ბინის ძებნაც წამოიწყეს. თუმცა დიდ სიძნელეს წარმოადგენდა ეპოვნათ ბინა, რომელიც სრულიად დამაკმაყოფილებელი იქნებოდა ორივესთვის. როჯერი სულ უფრო მეტ აგენტს მიმართავდა თხოვნით. ისინი დადიოდნენ სახლიდან სახლში. კიდით კიდემდე ათვალიერებდნენ, საძირკვლიდან დაწყებული სხვენით დამთავრებული. მოსაწონ ბინას მაინც ვერ მიაგნეს, ზოგი ზედმეტად დიდი იყო, ზოგი კი ძალიან პატარა. ხან ძალიან დაშორებული იყო ცენტრიდან, ხანაც – ძალიან ახლოს; ზოგჯერ ძალიან ძვირი იყო, ზოგჯერ კი ძალიან ბევრ შეკეთებას მოითხოვდა; ზოგი ძალიან დახუთული იყო, ზოგი კი ზედმეტად ჰაეროვანი. როჯერი ყოველთვის აღმოაჩენდა რაღაც ნაკლს, რითაც სახლს იწუნებდა. რადგან, როგორც თავად ამბობდა, ვერ შეეგუებოდა, რომ მის ძვირფას რუთს სრულყოფილ სახლში არ ეცხოვრა. სახლის ძებნა დამქანცავი და მოსაბეზრებელი საქმიანობაა და მალე რუთმაც ბუზღუნი დაიწყო. როჯერი თხოვდა მას, რომ მოთმინება არ დაეკარგა, რადგან სადღაც აუცილებლად იყო სწორედ ისეთი სახლი, როგორსაც ისინი ეძებდნენ. საჭირო იყო მხოლოდ მოთმინება და ისინი აუცილებლად აღმოაჩენდნენ მას. ასობით სახლი დაათვალიერეს, ათასობით საფეხური აიარეს; შეამოწმეს უთვალავი სამზარეულო, რუთი ღონეგამოცლილი, გაწამებული იყო; ერთხელ კი მოთმინებიდან გამოვიდა.

„თუ მალე არ მოძებნი სახლს, – თქვა მან, – ჩემს პოზიციებს გადავესინჯავ. ასე თუ გააგრძელე, ჩვენ წლების განმავლობაში ვერ დავქორწინდებით“.

„დამაცადე, – უპასუხა როჯერმა, – გეხვეწები, მოთმინება იქონიე. ახლახან მივიღე ახალი მისამართები აგენტებისაგან, ამ სიებში სულ ცოტა სამოცი სახლი უნდა იყოს“.

მათ კვლავ განაგრძეს ბინებზე ნადირობა. ორი წლის მანძილზე ათვალიერებდნენ ისინი სახლებს. რუთი ჩუმი და დამცინავი გახდა: მისმა ამაღელვებელმა, ლამაზმა თვალებმა დაღვრემილი გამომეტყველება მიიღო. ადამიანის ამტანობას თავისი საზღვარი აქვს. მართალია, მისის ბარლოუს ანგელოზის მოთმინება ჰქონდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ისიც გამოვიდა წყობიდან.

„გინდა შემირთო ცოლად, თუ არა?“ – ჰკითხა მან.

მის ხმაში რაღაც უჩვეულო სიმტკიცე იგრძნობოდა, მაგრამ ამას არავითარი ზეგავლენა არ მოუხდენია როჯერის სიმშვიდეზე.

„რა თქმა უნდა, მინდა. ჩვენ მაშინვე დავქორწინდებით, როგორც კი სახლს ვიპოვნით. სხვათა შორის, მე ახლახანს გავიგე ერთი სახლის შესახებ, რაც შესაძლოა კიდეც გამოგვადგეს“.

„მე თავს არ ვგრძნობ საკმაოდ კარგად, რომ ვათვალიერო სახლები“.

„საბრალო, ძვირფასო არსებავ, შენ საკმაოდ დაღლილი გამოიყურები“.

რუთი ბარლოუ ავად გახდა. მას არ სურდა როჯერის ნახვა, რომელიც, როგორც ყოველთვის, გულმოდგინე და თავაზიანი იყო. ყოველდღე წერდა და აცნობებდა მას, რომ კიდევ ერთი სახლი ნახა. ერთი კვირის შემდეგ რუთისგან შემდეგი შინაარსის წერილი მიიღო:

„როჯერ, ვფიქრობ, რომ არ გიყვარვარ, ახლახანს შევხვდი ერთ პიროვნებას, რომელიც მპირდება, რომ ჩემზე იზრუნებს და მეც ვაპირებ ცოლად გავყვე დღესვე“.

როჯერმა პასუხი სპეციალური შიკრიკის ხელით გაუგზავნა.

„რუთ! შენი ცნობა იმედს მიკარგავს, ვერასოდეს გადავიტან ამ დარტყმას, მაგრამ, რა თქმა უნდა, შენი ბედნიერება ჩემთვის უპირველესია; ამასთანავე გიგზავნი შვიდი ბინის მისამართს, რომელიც დღეს ფოსტით მივიღე და სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ ბოლოს და ბოლოს აღმოაჩენ სახლს, რომელიც ზუსტად შენი შესაფერისი იქნება“.

ინგლისურიდან თარგმნა **მეგი აბესაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მზით ავსებული დღეები

(დასასრული. დასაწყისი იხ. № 5–6)

იმ დღეებიდან ახლა ორმოცი წელი გვაშორებს, მაგრამ იშვიათი სიცხადით ვხედავ: საუბრისას, გიორგი ლეონიძე დროდადრო, წიგნს გადაშლის და კითხულობს გალაკტიონის ლექსებს: „შენი სადღეგრძელო“, „მე მოვალ“, „წარწერა წიგნზე „მანონ ლესკო“, „თოვლი“, „ყვითელი ფოთოლი“, „მარმარილო“, ნაწყვეტებს – „მშვიდობის წიგნიდან“...

– მახსოვს, ერთ საღამოს ქუჩაში შევხვდი გალაკტიონს, – გაიხსენა იმ დღეს პოეტმა, – ვაჟა-ფშაველას ქუჩით შევედით ლურჯ მონასტერში. გალაკტიონი ლურჯი მონასტრის კარებთან შეჩერდა და დიდხანს აკვირდებოდა კარზე ამოკვეთილ ჩუქურთმას. გალაკტიონს განსაკუთრებით უყვარდა ჩუქურთმა.

– ეს იყო 1918 წელს. გრიბოედოვის თეატრის უკან, ეზოში იყო საზაფხულო ბაღი, აქ იმართებოდა საღამოს სეირნობა. ვისაც საშუალება ჰქონდა მართავდა ვახშამს.

ერთ გვიან საღამოს ბაღიდან გამოვდიოდით მე, პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე. უცებ, დავინახე, მოდის შესანიშნავ კოსტიუმში საგანგებოდ გამოწყობილი უცნობი. ერთმანეთს გადაეხვივნენ, მეც გამაცნეს. გალაკტიონი იყო.

ეს იყო ჩემი პირველი შეხვედრა გალაკტიონთან. ონეგინივით ეცვა „ლაქიანი ტუფლები“. მაშინ ახალდაბრუნებული იყო რუსეთიდან.

იმავე ხანებში პოეტმა გამაცნო თავისი ფსევდონიმები: „ალა ნორიოელი“, „გალლი“, „გ-ძე“, „გ.ლ.“, „გ. ივრისხეველი“, „გ. ივრისპირელი“, „გ. სოფოშვილი“. შემდეგში ამ ფსევდონიმებით მოძიებული წერილები, რომლებიც გამოქვეყნებულია გაზეთებში: /„სინათლე“, 1910, №11, 1911, №12/ „თემი“ /1912, №77/ „სახალხო ფურცელი“ სურათებიანი დამატება 1915, №83/ შევიტანე პოეტისადმი მიძღვნილ ჩემს წიგნში „საჭურველი ნათლისაი“ /მერანი, 1983/. მინდა, ერთ-ერთი მათგანი მკითხველსაც გავაცნო, რამეთუ მასში იშვიათი სიმკვეთრით გამოსჩანს, რაოდენი გულისხმიერით უსმენდა იგი, ჯერ კიდევ ყმაწვილი, თავისი ქვეყნის მაჯისცემას:

„საშინელია ჩვენი მდგომარეობა. ჩვენმა გლეხმა ოჯახის მარჩენალი ვაჟკაცები ომში გაგზავნა მოთხოვნილებისამებრ. სოფელში დარჩნენ დედაკაცები და ხანში შესულნი, ზოგნი დაუძლურებულნი. უბედურება მიადგა ბეჩავ გლეხს, მაგრამ ამ ვაი-ვაგლახსაც გაუძლებდა, რომ სხვა უბედურებაც არ დასტყდომოდა. ზოგიერთ ჩვენს კუთხეებში და სოფლებში, როგორც ჩვენი გაზეთები გვაცნობენ, შიმშილს უკვე უჩენია თავი და თუ მომავალმა გაზაფხულმაც არა მოგვიტანა რა, მაშინ იგი გაძლიერდება და შავი სხივებით დაახნელებს ჩვენს ვარდისფერ სამშობლოს...“

ერთხელ, ნივთიერად შევიწროებულმა როსტომაშვილმა, – მიამბობდა პოეტი, – გამოაცხადა, ვისაც სურს რაიმე დაბეჭდოს „სინათლეში“, თითო სტრიქონში გადაიხადოს თითო კაპიკი. მაშინ საქართველოში გამოდიოდა იუმორისტული ჟურნალი „ეშმაკის მათრახი“, ჟურნალში გამოქვეყნდა კარიკატურა – გაზეთ „სინათლის“ რედაქტორი – ივ. როსტომაშვილი ყმაწვილ პოეტებს ართმევს ლექსებს და შავ ფულს. ამ ყმაწვილებში ნაგულისხმევი ვარ მეც.“ „სოფლის სუნი მიყვარს, ბალახის სუნი მიყვარსო“, – გამიგონია პოეტისაგან. რაოდენ ნიშნეულია მგოსნის სიტყვები, როცა მის მშვენიერ მოთხრობას „მეტლე იაგორას“ ვკითხულობთ: „... იაგორა ხარობდა, იცინოდა, გამოიცვალა, თითქოს სიბერის ქურქი გადასძვრაო, თითქოს ფენიქსივით განახლდაო, აღტაცებული ეხვეოდა მწვანე ბალახში...“ ასევე ნიშნეულია პოეტის სტრიქონები, რომლითაც მიმართავს ფიროსმანს: „ცისარტყელაზე ჩამოეშვა შენი ბავშვობა, გულში ბულბული დაიბუდებს, სულში ბადახში, აქ რას შეგმატებს კინტოების ტოლუმბაშობა, ფოთოლს აკოცე, გაეხვიე სოფლის ბალახში...“ სიძველეთა ვნებიან ტრფიალს სოფელშივე, სიყმაწვილიდანვე დაუფლებია განსაკუთრებული ინტერესი გარდასული ხანის ნაშთებისადმი. როგორი დაუვიწყარი სიხარულით იგონებდა უკვე ხანდაზმული პოეტი თანამესოფლე ციციკორეს მიწურს: „ჩვენში თითქმის აღარავის ედგა მიწური სახლი, ციციკორე კი ისევ ძველებურ, ბნელ დარბაზში ცხოვრობდა. ეს დარბაზი თითქმის ერთადერთიღა შემორჩენილიყო მთელ სოფელში! მეამაყება, რომ მოვესწარი ძველებურ ქართულ დარბაზს და დარბაზის გვირგვინში მერცხლის ბუდეს! მეამაყება, რომ საკუთარი თვალით მინახავს მოხარატებული დედაბოძი მზე-მთვარისა და რტომრავალი ხის გამოსახულებით...“ როცა მომავალი პოეტის, ყმაწვილის თვალით დანახულ ამ დარბაზის შესახებ კითხულობ, აღარ გიკვირს პოეტი-აკადემიკოსი რატომ წერდა ასეთი გულდადებით და სიყვარულით, ღრმა ცოდნით თავის ხელხვავრიელ გამოკვლევებს: „შაჰნავაზიანი“, „იოსებ თბილელი და მისი დიდმოურავიანი“, „სულხან-საბა ორბელიანი“, „ვეფხისტყაოსნის ახალი ხელნაწერი“, „ვახტანგ მეექვსე“, „ცხოვრება დავით გურამიშვილისა“, „ქართველი გმირები: შალვა-შავლეგო“, „ზეზვა გაფრინდაული“... განსაკუთრებითაც აღნიშნავენ მასზე არამხოლოდ როგორც დიდ პოეტზე, აგრეთვე, როგორც მეცნიერსა და დიდ ეროვნულ მოღვაწეზე.



მაგონდება, რა დიდი სიყვარულით ჰყვებოდა თავის რუს და ქართველ მეგობრებზე და საუბარში ვგრძნობდი, როგორ ივსებოდა სევდით მთელი მისი არსება. ამ წუთებში არ შეიძლებოდა, ლირიკოსის შთაგონებული მონათხრობის გამო, ამ ტკივილის მონაწილე არ გამხდარიყავი. ამას თვითონვე ხვდებოდა და არაერთხელ უთქვამს: „სევდა მუდამ მახლავს, მაგრამ ჩემი სევდა ნათელიაო.“

რუსი პოეტებიდან განსაკუთრებით მინდა გავიხსენო პოეტის მეგობრობა ცნობილ რუს პოეტთან და მთარგმნელთან ბენედიქტ ლიფშიცთან. ფრანგი პოეტების უბადლო მთარგმნელს გიორგი ლეონიძე ერთგან მას არტურ რემბოსა და ტრისტან კორბიერის მოწაფეს უწოდებს:

„ბენედიქტ ლიფშიცი, რომელიც მე მოვნათლე ქართული სახელით „ბენო“, თავისი საოცარი გულით დაუახლოვდა საქართველოს, შეიყვარა იგი, გახდა მისი მეგობარი და ცნობისმოყვარე ინტერესით სწავლობდა მას. 1930 წელს გავიცანი თბილისში. ჩვენ გაცნობის პირველი დღიდანვე დავმეგობრდით. ჯერ კიდევ ახალგაზრდები ვიყავით, ენერგიით აღსავსენი: შევეძლო დილამდე გვეხეტიალა თბილისის ქუჩებში, გვესაუბრა, გვეკამათა პოეზიაზე, გვეკითხა ერთმანეთისთვის ლექსები...

ბენედიქტ ლიფშიცი დასწრებია პოეტის დედის დაკრძალვას პატარძეულში და ლექსიც დაუწერია: „სიკვდილი პატარძეულში“, ასევე – ვაჟა-ფშაველას ნეშტის გადასვენებას დიდუბის პანთეონიდან მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, რასაც გამოხმაურებია ლექსით: „1935 წლის 16 ოქტომბერს“,

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლექსს ახლავს მისივე შენიშვნა: „1935 წლის 16 ოქტომბერს თბილისში, ღამის პირველ საათზე, მოხდა დიდი ქართველი პოეტის ვაჟა-ფშაველას ნეშტის გადასვენება დიდუბიდან მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში". ეს ლექსი ბენედიქტ ლიფშიცს ჩაუწერია ტიციან ტაბიძის ქალიშვილის ტანიტ ტაბიძის ალბომში.

რუს პოეტს არამარტო შეყვარებია საქართველო, დაინტერესებულა მისი ენის შესწავლითაც, რომლის შესახებაც წერდა ბარათში გიორგი ლეონიძეს: „ჩემო ძვირფასო გოგლა! როგორც ხედავ, მე უკვე მალე მოგწერ მთლიანად ქართულად. მაგრამ გეხვევით, ჩემო ძვირფასო, და ძალიან ენანობ, რომ მთელი შენი დიდებით ვერ განახე მოსკოვში. უკვე სამი კვირაა პროფესორ დონდუას ხელმძღვანელობით ვმეცადინეობ ქართულ ენაში. გადავწყვიტე, რაც არ უნდა მოხდეს, დავეუფლო მას... გარდა ამისა, სასაუბრო მეტყველებაში ვიღებ გაკვეთილებს ახალგაზრდა ფილოსოფოს, შალვა ნუცუბიძის მოწაფე, პეტრე კობიძესთან. ვთარგმნი ტიციანს და შენს ლექსებს. უკვე ტიციანი ვთარგმნე არა ტრანსკრიფციის, არამედ ტიციანის „რჩეული ლექსების" მიხედვით. როგორც ხედავ, პროგრესი არის!

შენ პირველმა შემასწავლე სიყვარული შენი ქვეყნის დიდებული წარსულისა... იყავი ჯანმრთელად, საყვარელო ძმაო! 1937 წლის 27 აპრილი, შენი ბენო."

„პოეზიად აკინძული დღეები" – ეს ერთი საინტერესო თემაა „ცისფერყანწელ" დიდ მოკალმეთა ლიტერატურულ მემკვიდრეობაში და ეს საკმაოდ ფართო თემაც გახლავთ, მაგრამ მე ამჯერად ამ მხრივ გიორგი ლეონიძის ერთ მშვენიერ ლექსს გამოვარჩევ განსაკუთრებით – „1925 წლის ერთი დილის სახსოვარი", რომელიც 1929 წლითაა დათარიღებული და ეძღვნება პაოლო იაშვილს და ტიციან ტაბიძეს. როგორც ჩანს, ეს ლექსი მგოსანს ვანო სარაჯიშვილის გარდაცვალებიდან 5 წლის გამო დაუწერია.

1924 წლის თექვსმეტი ნოემბრის დილის 5 საათსა და 30 წუთზე შეწყდა ჰანგების მეფის, „ქართული ჰანგის უფლისწულის", აბესალომის – ვანო სარაჯიშვილის მაჯისცემა. თითქმის საქართველოს ყველა კუთხეს ახსოვს მისი ხმის მადლი, მათ შორის, ბორჯომის ულამაზეს ხეობასაც მოუსმენია მისი უბადლოდ შესრულებული „ო, მარი", „სიჩუმე", „მშვენიერთა ხელმწიფევ", „გენაცვალე", რომლითაც სხვებთან ერთად დაუტკბია 1920 წლის ზაფხულში იქ სტუმრად მყოფნი ნ.ნ. ხოდოტოვი /ვ. კომისარჟევსკაიას ყოფილი მეუღლე/ – ბოშური სიმღერის ცნობილი შემსრულებელი ანა ორლოვა, პოეტი ვასილ კამენსკი". უეჭველია, პოეტებმა – გიორგი ლეონიძემ, პაოლო იაშვილმა, ტიციან ტაბიძემ 1925 წელს ამიტომ გადაწყვიტეს სწორედ ბორჯომის ხეობაში გატარებული ერთი დღე მიეძღვნათ დიდი მომღერლის ხსოვნისათვის მისი გარდაცვალების წლისთავზე: –„ბორჯომიდან გზა ხვეული მიჰყვებოდა მტკვარზე ჭადრებს... უცბად ფეხით მომავალი, როგორც ქართლის ჯიოკონდა, გამობრძანდა ეთერ-ქალი, საქართველო თან მოჰქონდა... ავადმყოფი აბესალომ ჩვენ მოგვყავდა ნატკივარი, მხოლოდ მოხუც მებადურსა იმედად-ღა ჰქონდა მტკვარი." მათ ხომ არცთუ დიდი ხნის წინათ განიცადეს „აბესალომ და ეთერის" დადგმით გამოწვეული დიდი სიხარული, რის შესახებაც წერდა კიდეც ტიციან ტაბიძე: „როცა პირველად დაიდგა სცენაზე ეს ოპერა („აბესალომ და ეთერი – ც.ხ.), ღამის 3 საათზე გათავდა – და წარმოდგენა ღამის თევას ჰგავდაო."

მახსოვს, პოეტთან შეხვედრებიდან, ერთხელ ინსტიტუტში მასთან ახალგაზრდა ქალი შემობრძანდა გაბრწყინებული სახით, იმხანად ნინოწმინდის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ქალბატონი ანჟელა მღებრიშვილი. ბატონმა გიორგიმ კითხვას თავი დაანება და სწრაფად წამოდგა, ქალბატონს ჩემი თავიც გააცნო და უთხრა:

– აბა, შენ იცი, როგორ დაეხმარები ჩემზე მასალების მოძიებაში, პატარძეულში, ნინოწმინდაში რომ ჩამოვაო და ქალბატონ ანჟელას თორმეტფურცლიანი რვეულები გამოართვა, რომელიც დაპირებისამებრ ჩამოეტანა პოეტისათვის. ეს იყო რამდენიმე დღის წინათ პოეტთან შეხვედრის მონაწილე უმცროსკლასელთა სიტყვები, რომელიც მგოსანს მოსწონებოდა და ახლაც სიამოვნებით დასცქეროდა პატარების ხელნაწერებს.

ბატონი გიორგის სიტყვები უსიამოვნოდ მოხვდა ჩემს ყურს: მე ხომ გარდასულ მოღვაწეთა შესახებ უნდა შემეგროვებინა მასალები, მაგრამ ამის შესახებ იმ დღეს იქით არაფერი უთქვამს. ვინ უწყოდა მაშინ, რომ სულ მალე, კახეთში ჩავიდოდი ამ მიზნით და, მართლაც, ჩემი პირველი მეგზური ქალბატონი ანჟელა იქნებოდა.

რამდენიმე დღე დავყავი ახალი წლის წინა დღეებში, 1966 წლის დეკემბრის მიწურულს, პოეტის სოფელში და მოწმე ვიყავი იმისა, როგორ გლოვობდა თავის სასახელო კარის მეკვლეს პატარძეული. ვისმენდი ტკბილ კახურ საუბრებს, მისივე ლექსებით შთაგონებულ კახური სიდინჯით და სიდარბაისლით შეფერილ სადღეგრძელოებს, პოეტის სახელის სადიდებელს. მაგრამ ერთი მათგანი სამუდამოდ ჩამრჩა ხსოვნაში: მგოსნის თანამესოფლე მასთან ბავშვობიდანვე თანშეზრდილი პატარძეულელი იოსებ ზუკაკიშვილი.

სიტყვა რომ არავისა და არაფრისთვის ეთმობოდა, სუფრის თავკაცმა ყველა სადღეგრძელო გიორგი ლეონიძეს, მის მარადიულ ხსოვნას მიუძღვნა. და ეს ყველაფერი წიგნად აკინძული 1978 წელს სათაურით „საჭურველი ნათლისაი" /მოგონებები გიორგი ლეონიძეზე/ დასასტამბად მივიტანე გამომცემლობა „მერანში" /გამოიცა 1983 წელს/, ხოლო მხატვრულ-პუბლიცისტური ნარკვევების კრებული „ცისფერყანწელებზე" გადავეცი ამავე, 1978 წელს, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" /გამოიცა 1986 წელს/.

ერთ-ერთი მისვლისას ინსტიტუტში ბატონმა გიორგიმ ბინის მისამართი მომცა, ზედ ტელეფონის ნომერიც იყო მიწერილი და მითხრა:

– მე უკვე დავრეკე და შევუთანხმდი კიდეც, ეგ ვალერიან გაფრინდაშვილის სიძის, დის ქმრის, ალექსანდრე კანდელაკის ბინის მისამართია. ვალერიანის დისშვილიც, დაც, ნინო გაფრინდაშვილი, იქ ცხოვრობენ. მათგან საინტერესო მოგონებებს ჩაიწერ,




პატარა მგოსანი. აი ძია, დამიბეჭდე ეს ლექსი. ოცი სტილიქონია და ცხლამეტი კაპიკი მოგიტანე.
ივ. როსტომაშვილი. ძლიერ კარგი პატარავ, მაგრამ კაპიკი რომ აკლია? ჩემთვის ხომ არ მინდა. საქველმოქმედო საქმეა!!;

ეგ საქმე არ გადადოო და დასძინა:

– ვალერიანი მივიწყებული პოეტია, შენ იცი, როგორ მოუვლიო.

იმ წელს წვიმიანი, სუსხიანი გაზაფხული იყო. გვიან გაზაფხულზე უცბად ჩამოცხა.

– ქალო, ამ სიცხეში ხალხს სული ვერ მოუთქვამს, რა დროს მოგონებებია, რაკი ვანში უნდა წახვიდე ზაფხულში, ჩადი ჭყვიშში, იქ ორ კურდღელს ერთად დაიჭერ, ჩაიწერე მასალები ტიციანზე და გალაკტიონზე. თან საკითხები, რაზედაც უნდა გამემახვილებინა ყურადღება, თავისი ხელით ჩამომიწერა. ჩანაწერები საგულდაგულოდ გადამანომრინა წითელი ფანქრით და თავფურცელიც თავისი ხელით გაუკეთა. კარადიდან გადმოიღო მწვანე საქაღალდე, ჩაალაგა შიგ მთელი ეს გადანომრილი მასალა და კარადაში შეინახა. თან დაუმატა: 17 სექტემბერს დავბრუნდები და განვაახლოთ მუშაობაო. შემდეგ, ცხადია, ინსტიტუტში არ მივსულვარ და პოეტის ავადმყოფობის შესახებ არაფერი ვიცოდი. ივლისში გარდაიცვალა ვალერიან გაფრინდაშვილის სიძე ალექსანდრე კანდელაკი, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი, რომლისგანაც სულ რამდენიმე დღის წინ ვისმენდი საუბრებს ვალერიან გაფრინდაშვილის სტუდენტობის წლებზე. რაღაცნაირად ჩამრჩა გულში პოეტის მიმართ ბატონი ალექსანდრეს ნათქვამი:

– ეს ქალი ამ საქმისათვის რატომ გაიმეტეო. მისი დაკრძალვის დღეს გავიგე ბატონი გიორგის მძიმე ავადმყოფობის ამბავი. თუმცა მანამდეც ვიცოდი, რომ საავადმყოფოში იწვა. თურმე, ბატონი ალექსანდრეც კი წაუყვანიათ პოეტის სანახავად, როგორც გამოცდილი ექიმი და თავის დარგის შესანიშნავი სპეციალისტი, მაგრამ ბატონი გიორგის უიმედო მდგომარეობის შესახებ ჩემთვის არაფერი უთქვამთ.

ვალერიან გაფრინდაშვილის დამ, ქალბატონმა ნინომ, მოინდომა ბატონი გიორგის ნახვა, რომელიც უკვე საავადმყოფოდან წყნეთში აეყვანათ. მე, დედაჩემი და ქალბატონი ნინო ავედით წყნეთში, მაგრამ იქ მყოფმა ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომელმა ეზოშივე გვითხრა, რომ მასთან არავის უშვებენ, იქ შესვლა არ შეიძლებაო.

– მე ვალერიან გაფრინდაშვილის და ვარ, არ შემიძლია გიორგი არ ვნახო, მის უნახავად ვერ წავალო.

– დამელოდეთ, მოვახსენებო. ცოტა ხნის შემდეგ გამოვიდა და უთხრა ქალბატონ ნინოს, მობრძანდითო.

ბატონი გიორგი გვერდზე იწვა. იქვე სკამზე სპილენძის წყლიანი ჯამი ედგა, შიგ ხელები ჰქონდა ჩაყოფილი. დანახვისთანავე ვიგრძენი, რომ მისი დღეები დათვლილი იყო.

თითქმის 40 წელი გვაშორებს იმ უმძიმეს წუთებს, მაგრამ იმ საშინელი ტკივილის განცდა დღესაც არ გამნელებია.

ახლაც მიკვირს, იმ უმძიმეს მომენტში როგორ ყოჩაღად ვაჩვენე ჩემი ჩაწერილი მასალა, რომელიც ხელში მეჭირა. ასეთ დღეში თუ იყო არ ველოდი, ან ვინ ელოდა.

წყნეთიდან რომ ჩამოვედით, დედას ვუთხარი:

– დედა, რადიო გამორთოთ, არ შემიძლია, გავიგონო მისი გარდაცვალების ცნობა-მეთქი.

ეს აგვისტოს დასაწყისი იყო. მე და დედა მთაწმინდაზე ახლობლების სანახავად წავედით. სწორედ იქ გავიგე ბატონი გიორგის გარდაცვალება. ეს ამბავი ელდასავით მომხვდა გულზე, თუმცა არ გამკვირვებია, ამის გარდუვალობა ხომ უკვე ვიცოდი.

მოგვიანებით სტრიქონებად აიკინძა ჩემთვის მარადსახსოვარი დღეები და დიდი პოეტისა და პიროვნების დაკარგვით გამოწვეული გულისტკივილი. მინდა, მგოსნის ხსოვნისადმი მიძღვნილი ეს წერილიც გიორგი ლეონიძისადმი მიძღვნილი ჩემივე ლექსის ბოლო სტრიქონით დავასრულო: „სავსე ქვევრით ისევ გელის ნინოწმინდა, მტევანდიდი კვლავ მწიფდება, განა გახმა, ადრეც უთქვამთ, შემოგვბედო ახლაც მინდა, მთაწმინდიდან გადმომდგარი ლაშარს ჰგავხარ!"

**ციური ხეთერელი**

2006 წელი, მაისი

# გაფერადებული



ეკა ხაბურზანიას და თეა დურმიშიძის მეგობრობა ბავშვობიდან დაიწყო. ერთად დადიოდნენ სუხიშვილების სტუდიაში და მუსიკის თანხლებით პირველ გაუბედავ ნაბიჯებს დგამდნენ, მაგრამ ცეკვაზე სერიოზულად არცერთი არ ფიქრობდა, რადგან ხატვით იყვნენ გატაცებულები... ეს წლების წინათ იყო. მას შემდეგ, რომ იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა. ხატვის სიყვარული პროფესიად ჩამოყალიბდა, უფრო სწორად, ცხოვრების წესად იქცა, რომელიც არც დროს ემორჩილება და არც სივრცეს.

სამხატვრო აკადემიაშიც ერთად სწავლობდნენ, კურსელები იყვნენ. ეკა მოდელირებას ეუფლებოდა, თეა – ფერწერას. თუმცა სწავლა აკადემიის დამთავრების შემდეგაც არ შეუწყვეტიათ, ჯერ ბატიკის ურთულეს ხელოვნებას ეზიარნენ, რომელიც თავისთავად უამრავ სხვადასხვა ტექნოლოგიას მოიცავს, მოგვიანებით ტიხრულ მინანქარზე მუშაობაც აითვისეს. მათმა უფროსმა მეგობარმა ნუგზარ ბეროშვილმა წლების წინათ მიაგნო და აღადგინა მინანქარზე მუშაობის უძველესი ქართული მეთოდი და ეკას და თეასაც შეასწავლა.

წუთით არ ისვენებენ. დღე და ღამე მუშაობენ, მაშინაც კი, როცა სულ არ არიან რაიმეს გაკეთების ხასიათზე. სხვაგვარად ღირებულს ვერაფერს შექმნი, შთაგონებაც აუცილებელია, მაგრამ თუ საჭიროა, თავად უნდა შექმნა განწყობაო, ამბობენ.

ფუნჯს ხელს მოკიდებენ თუ არა, საოცრება ხდება. ტილოზე მხიარული ფერები აელვარდება და უგუნებობა და სევდა სადღაც უკვალოდ ქრება.

ერთი სიტყვით, ცხოვრებას იფერადებენ და გარშემო მყოფთაც ულამაზებენ ნაცრისფერ, შავ-თეთრ რეალობას.

ნაყოფიერი და წარმატებული გამოდგა ეკა ხაბურზანიასა და თეა დურმიშიძის ტანდემი, რამაც ცოტა ხნის წინათ ოფიციალური სახეც მიიღო, შექმნეს შ.პ.ს „ფიბრონი". სისტემატურად მონაწილეობენ ჯგუფურ გამოფენებში. ახლახან კი პერსონალური ჩვენება მოაწყვეს, სადაც სრულად გამოჩნდა ახალგაზრდა ხელოვნების მრავალმხრივი შესაძლებლობები. წარმოადგინეს ქართულ აბრეშუმზე ხელით მოხატული (ბატიკა) 42 მოდელი და ძველი ქართული ტექნოლოგიით დამზადებული ტიხრული მინანქრის 25 სამკაული.

ეს ჩვენება იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ საქართველოში პირველად შეიქმნა ხელით მოხატული აბრეშუმისაგან ასეთი დიდი კოლექცია. ამას გარდა, ქსოვილების, კოსტიუმებისა და სამკაულების დიზაინიც ეკას და თეას ეკუთვნით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შავ-თეთრი რეალობა



ჩვენება ნამდვილ ზეიმად იქცა. მაყურებელი აღფრთოვანებას ვერ ფარავდა. იმ საღამოს მშვენიერი მოდელები კიდევ უფრო მომხიბვლელად გამოიყურებოდნენ ულამაზეს ჰაეროვან კაბებში.

აბრეშუმი საკმაოდ პრეტენზიული ქსოვილია, ამდენად, ის თავად მოითხოვს გარკვეულ სპეციფიკურ სტილს. თითოეული ნამუშევრიდან ნათლად ირეკლება დიზაინერების ფაქიზი, დახვეწილი გემოვნება და ხელწერა.

ჩვენების ორგანიზატორი იყო დათო ცუცქირიძე. ამას გარდა, ეკას და თეას დიდი დახმარება გაუწია მენეჯერმა ხათუნა კობერიძემ.

ამჟამად დიზაინერები ახალ კოლექციაზე მუშაობენ. ჩაფიქრებული აქვთ საშემოდგომო კოსტიუმების, სამკაულებისა და აქსესუარების შექმნა. იმედია, მოდის მოყვარულებს წინ ახალი დღესასწაული ელოდება.

და კიდევ, თეას გვერდით ერთგულად დგას მისი მეუღლე გია ჩეჩელაშვილი, პროფესიით ექიმი, ხელოვნებაზე უზომოდ შეყვარებული.

ეკასაც ვუსურვოთ მომავალში ღირსეული ცხოვრების მეგზურის პოვნა.

მარინე ნაკაიძე

ეს საინტერესოა

# „კლასიკური" აზროვნება

არავისთვის წარმოადგენს საიდუმლოს, რომ მუსიკა ადამიანს ნებისმიერ წამოწყებაში დიდ დახმარებას უწევს. მთავარი საჭირო მელოდიის შერჩევაა, მაგრამ როგორ? იმის გასარკვევად, თუ რომელი მუსიკა იწვევს შემოქმედებით აღმასვლას, და რომელი, პირიქით, „პარალიზებას", მკვლევარებმა შემდეგი მანიპულაციები ჩაატარეს. მათ „საცდელი ბოცვერების" სახით ჩვეულებრივი სტუდენტები შეარჩიეს, რომლებსაც სივრცობრივ აზროვნებაზე პატარა ტესტი უნდა გაევლოთ. მონაწილეები ორ ჯგუფად დაყვეს. ერთ ჯგუფს ტესტის დაწყების წინ მოცარტის ნაწარმოებები მოასმენინეს, მეორეს – რაღაც თანამედროვე და მოდური. სტუდენტებმა, რომლებიც კლასიკას უსმენდნენ, თავიანთ „ოპონენტებზე" ბევრად უკეთ გაართვეს დავალებას თავი.



როგორც გაირკვა, მათი წარმატების მთელი საიდუმლო იმაში მდგომარეობდა, რომ მოცარტის მუსიკაში დიდი რაოდენობითაა მაღალი სიხშირის ბგერები, რომლებიც ადამიანის თავის ტვინის ქერქში ძლიერ რეზონანსს იწვევს, რაც აუმჯობესებს მეხსიერებას და აზროვნების სტიმულირებას ახდენს.

ასე რომ, თუ გსურთ, წარმატებული ადამიანი ბრძანდებოდეთ, ხშირად უსმინეთ მოცარტს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დაჰდებით შუბლზე მადლი



● ბიჭიკო ასკურავა პაციენტთან

„ქართული ხალხური მედიცინის შესახებ ძვ.წ. III-II საუკუნის ათასწლეულებიდან არსებობს ეთნოგრაფიული, ფოლკლორული და არქეოლოგიური მასალები... ამირანსა და მედეაზე არსებულ თქმულებებში, თრიალეთის კულტურისა და სხვა არქეოლოგიურ მასალებში, ბერძნულ-რომაულ ისტორიულ წყაროებში ჩანს ქართული ხალხური მედიცინის განვითარების მაღალი დონე. ჯერ კიდევ ძვ.წ. II ათასწლეულში საქართველოში სცოდნიათ სამკურნალო მცენარეებისა და მინერალური წყლების გამოყენება“, – ვკითხულობთ ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში, რომელშიც ბევრი უბადლო წამალთმცოდნისა და ხალხური მედიცინის მკურნალის გვარი, მათ შორის ასკურავა, უბრალოდ ნახსენებიც კი არაა. გასაკვირი ამაში არაფერია, ვინაიდან მაშინ დრო იყო ასეთი, ბევრი სახალხო მკურნალს „შარლატანსაც“ კი არქმევდა. მადლობა უფალს, ყველაფერი სასიკეთოდ შეიცვალა, გზა გაეხსნა ხალხურ მედიცინას. მკურნალების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მათი სია გრძელია. ამჯერად, მოტეხილობის უთაბაშიროდ მკურნალობის დიდოსტატს ბიჭიკო ასკურავას წარმოგიდგენთ.

საგვარეულო საიდუმლოს ანალოგი არ მოეპოვება მთელ მსოფლიოში. დღეს ფირმას ხელმძღვანელობს საქართველოს ღირსების ორდენის კავალერი, საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, რუსეთის საგამოფენო ცენტრის ლაურეატი, ჩინეთ-ისრაელ-ამერიკის სახალხო მედიცინის აკადემიის წევრი, პროფესორი ბიჭიკო (ვლადიმერ) ასკურავა.

ასკურავას მეთოდის ეფექტურობა უკვე მრავალ ქვეყანაშია ცნობილი. მსოფლიოს ორთოპედთა უმეტესობა აღიარებს ამ მეთოდის ეფექტურობას და თვლის, რომ სხვადასხვა სახის მოტეხილობის დროს იგი უფრო ეფექტურია ქირურგიულ ჩარევასთან შედარებით.

...ბატონმა ბიჭიკომ დაამთავრა მოსე თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელი, შემდეგ – ფიზკულტურის ინსტიტუტი, არის სპორტის (ველოსპორტის) დამსახურებული ოსტატი, მეორე კატეგორიის მსაჯი და მწვრთნელი. ჰობი – ისევ სპორტი და ნადირობაა. ჰყავს მეუღლე, ქალ-ვაჟი, ოთხი შვილიშვილი და უამრავი მეგობარი.

**– ბატონო ბიჭიკო, თქვენი გვარი მოტეხილობასთან ასოცირდება, მერამდენე თაობა ემსახურება ამ საქმეს?**

– უთაბაშიროდ მკურნალობა საქართველოში მეოთხე საუკუნიდანაა ცნობილი. ჩვენი გვარი ორსაუკუნენახევარია იყენებს მას. მე მეხუთე თაობის წარმომადგენელი ვარ. ჩემი საქმის გამგრძელებელია ჩემი ვაჟი ირაკლი, შემდეგი იქნება შვილიშვილი დავითი და ა.შ.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია: ბიძაჩემი თავად კოჭლი იყო, სხვათა მოტეხილობების სამკურნალოდ კი სად არ დაჰყავდათ! ცხოველ-ფრინველსაც შველოდა. ასე იყო მამაჩემიც, ეს ჩვენი საგვარეულო ვალი და მოწოდებაა.

**– წლების მანძილზე თქვენ „წნეხის“ ქვეშ იყავით – ცალკე მთავრობა გდევნიდათ, ცალკე მედიცინა გებრძოდათ, თუმცა ბევრი ექიმიც უნახავთ თქვენს კარზე მოსული...**

– მძიმე დღეები გადავიტანე. ერთხელ ერთ პაციენტს ჩემს ხარჯზე ფულის გაკეთება მოუნდა, გამომძიებელს შეეკრა. პროკურატურამ ბევრი მაწვალა, კომუნისტების ზეობის პერიოდი იყო. ჩემმა გაუტეხელმა, მართალმა ბუნებამ გადამარჩინა და ჩემს მიერ განკურნებულმა უამრავმა პაციენტმა მიხსნა. მათი წყალობით, ლესელიძის ქუჩაზე გაიხსნა საქართველოში პირველი კერძო კლინიკა.

**– რას მივაწეროთ, რომ მიუხედავად ასეთი მძიმე პირობებისა, ემიგრანტად არ იქეცით, ნებისმიერი ქვეყანა სიამოვნებით მიგიღებდათ.**

– რაც გავაკეთე, ჩემი მშობლების, ოჯახური ტრადიციების, ქართველობის დამსახურებაა, სამშობლოს სიყვარულია, გაჭირვებულის თანადგომის სურვილია. თუმცა სამკურნალო კაბინეტები არ დამკლებია ისრაელში, რუსეთში, მაღალ ანაზღაურებას მთავაზობდნენ იტალიაში, უნგრეთში, სომხეთში. ფული ხომ არაა ყველაფრის საზომი. სხვადასხვა ქვეყანაში მიწევს ჩასვლა, ათი დღის შემდეგ გაძლებაზე ვარ, ნოსტალგია ქართველი კაცის გენეტიკურ კოდში ძევს.

**– დაახლოებით თუ გაქვთ აღრიცხული, რამდენი ადამიანი გყავთ განკურნებული და კიდევ: მოტეხილობის გარდა სხვა ავადობასაც თუ შველით?**

– ჩემი წამალი კარგად მოქმედებს ბავშვებში გავრცელებულ პერტესზე (მენჯ-ბარძაყის თანდაყოლილი ამოვარდნილობა), ოსტეოქონდროზზე, ძვლის ანთებებზე, ძვალ-სახსრების დაავადებებზე, პოდაგრაზე...

რაც შეეხება ავადმყოფთა ზუსტ აღრიცხვას, კარგა ხანია ათასებს გადააჭარბა, შეუძლებელია ზუსტი ციფრის დადგენა...

**– რა შემთხვევაში ეუბნებით უარს პაციენტს?**

– თუ გადაუდებელ ოპერაციას საჭიროებს, ხელს არ ვკიდებ, თუმცა გამონაკლისი არსებობს. როცა ოპერაცია გამორიცხულია (ავადმყოფი ვერ იტანს ნარკოზს, აქვს დიაბეტი და ა.შ.), ვეხმარები, წამლით შელავათს მაინც ნახულობს. ჩემს კარზე მოსულს მაშინაც ვერ ვეუბნებოდი უარს, როცა მილიციაში მიბარებდნენ, ხელწერილს მაწერინებდნენ, ავადმყოფს არ გაეკაროო, მაფრთხილებდნენ. იქიდან წამოსული ავადმყოფთან მივიჩქაროდი.

**– ბატონო ბიჭიკო, გულახდილად მითხარით: სად უფრო დაფასებული ხართ, სამშობლოში თუ საზღვარგარეთ?**

– გული არაფერზე მწყდება. დაათვალიერეთ კლინიკაში განთავსებული ზღვა მასალა: აფიშები, პლაკატები, ფოტოები, პრესა, ჯილდოები, სქელტანიანი შთაბეჭდილებათა წიგნები და დასკვნა თავად გამოიტანეთ. ვინ არ ყოფილა ჩემი პაციენტი: იური ლუჟკოვი და მისი ოჯახის წევრები, ზურაბ წერეთელი, ევგენი ხარაძე, გურამ დოჩანაშვილი, ოთარ იოსელიანი, რობერტ სტურუა, ომარ ფხაკაძე, ნიკოლოზ დერიუგინი, დავით ყიფიანი, ჭაბუა ამირეჯიბი, რეზო ჩხეიძე, ელენე ობრაზცოვა, ვერიკო ანჯაფარიძე, სოფიკო ჭიაურელი, დოდო ჭიჭინაძე...

ჩემს ვაჟთან ერთად მიწვევები მაქვს სხვადასხვა ქვეყანაში, ორივეს გვაქვს კანონით მონიჭებული უფლება, ვიმუშაოთ ჩვენი სპეციალობით სხვადასხვა კლინიკაში. ორივემ ისრაელში დავამთავრეთ კოლეჯი, რის საფუძველზეც ჩინეთ-ისრაელ-ამერიკის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიამ ხალხურ მედიცინაში დამსახურებისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა



● ბიჭიკო და გოგი თოფაძე



● ბიჭიკო თავის კლინიკაში სპორტსმენებთან (უკანა რიგში ჯარჯი ზვიადაური)



● მადონა ჩიტაია შვილიშვილებთან

24394

პროფესორის წოდება მომანიჭა.

**– რომელია თქვენთვის ყველაზე დასამახსოვრებელი დღე?**

– გავიხსენებ ერთ-ერთს – სიცივე, უშუქობა, არ მუშაობს მეტრო, აუტანელი პირობებია. რკინიგზელთა სახლში შეხვედრა მომიწყვეს. დარბაზი ხალხით გადაიჭედა, პაციენტთა მადლიერებისგან სულშეძრულს ცრემლი მომერია, იმ დღეს მეორედ დავიბადე, ასეთი დაუვიწყარი დღეები უთვალავი მქონია, გადაცემები ტელევიზიით, პირადი შეხვედრები ცნობილ ადამიანებთან. ერთ ასეთ შემთხვევაზე მინდა გიამბოთ – ამერიკის მოქალაქეს ნინო მიმინოშვილს ნიუ-იორკში მანქანა დაეჯახა. მიიღო მრავალი მოტეხილობა. ყველა ტრავმა განკურნეს ამერიკის ცნობილ კლინიკებში, მარცხენა ხელს კი ვერაფერი მოუხერხეს, უკვე ამპუტაციაზე იყო ლაპარაკი. ჩემთან ჩამოვიდა და სასწაული მოხდა – გაამართლა ჩემი მკურნალობის მეთოდმა.

იური ლუჟკოვისა და საქვეყნოდ ცნობილი მოქანდაკის ზურაბ წერეთლის ძალისხმევით უნდა ბ-ნ ბიჭიკოს ქართული ხალხური მედიცინის ცენტრის გახსნა მოსკოვში, სადაც პაციენტებს ასკურავას, თურმანიძის, ქარჩაულისა და სხვათა წამლებით უმკურნალებენ. მსგავსი ცენტრის გახსნაზე ზრუნავს ნინო მიმინოშვილი ამერიკაშიც.

**– ეს ძვირფასი სამკურნალო კლინიკა თქვენი სახსრებით ააშენეთ თუ ვინმე დაგეხმარათ? სპონსორი ხომ არ გყოლიათ?**

– არავითარი სპონსორი – უფლის წყალობით, პირადი დანაზოგით, ხალხის შემწეობით შევძელი ამის გაკეთება. მოუსვენარი ბუნება კი ნამდვილად მაქვს, დრო ძილისთვისაც მენანება. ვერ ვიტან, კაცს უსაქმოდ რომ ვხედავ. ამ სახლის მშენებლობაში ფიზიკურადაც ვმუშაობდი.

**– ბატონო ბიჭიკო, ბევრს ყვებიან თქვენს პიროვნულ ღირსებებზე, ქველმოქმედებაზე. ახლა უსაშველოდ გაძვირდა ყველაფერი, განსაკუთრებით მკურნალობა, საგადასახადო თავისას ითხოვს, როგორ შეძელით სახელის შენარჩუნება?**

– სრული პასუხისმგებლობით გეტყვით, ის თანხა, რასაც ავადმყოფებისგან ვიღებ, ტრავმატოლოგიურ საავადმყოფოში ოფიციალურ გადასახადთან შედარებით გაცილებით ნაკლებია. უფასოდ ვმკურნალობ ლტოლვილებს, სპორტსმენებს, უსახსროდ დარჩენილ ჩვენს ინტელიგენციას. ერთ დღეს რეკორდი მოვხსენი, 196 პაციენტი მივიღე, აქედან ასი მაინც იყო უფასო. გურული იუმორი მშველის ადამიანებთან ურთიერთობაში – ბავშვებსა და მოხუცებს ერთნაირად ვეფერები. ქათინაურებს არც ისინი მაკლებენ, უკვირთ, სულ კარგ ხასიათზე როგორ ხართო – ფულს შენ მიხდი, ფეხი შენ გაქვს მოტეხილი, ტკივილისგან შენ იტანჯები და მე რატომ უნდა ვიყო ცუდ ხასიათზე-მეთქი, – ვპასუხობ.

**– რამდენიმე წლის წინ თქვენზე, ვრცელი წერილი გამოვაქვეყნე ერთ-ერთ გაზეთში, მას შემდეგ რა შეიცვალა თქვენს ცხოვრებაში?**

– გავმრავლდით. მაშინ ორი შვილიშვილი მყავდა, ახლა ოთხნი არიან. ოჯახის იმედი და გვარის გამგრძელებელია შვილიშვილი დავით ასკურავა, მეშვიდე თაობა. სამაგალითო მიღწევები აქვს ველოსპორტში, აბსოლუტური ჩემპიონის წოდება მოიპოვა. მეორე შვილიშვილი, ქალიშვილის მხრიდან, ანა მჭედლიანი ჩოგბურთის აკადემიაში სწავლობს, მონაწილეობს მსოფლიო დონის შეჯიბრებებში, მანაც დიდ წარმატებას მიაღწია ამერიკასა და საბერძნეთში. მომდევნონი პატარები არიან, კარგად სწავლობენ. ოჯახი მრავალრიცხოვანია, ყველანი ერთად ვცხოვრობთ, მეუღლე, შვილები, რძალი, სიძე, შვილიშვილები, სრული ჰარმონია სუფევს ჩვენს ჭერქვეშ.

ბევრი რამ დამოკიდებულია მეუღლეზე მადონა ჩიტაიაზე. მას მუსიკალური განათლება აქვს მიღებული, მუშაობას ვერ ახერხებს. თუ რაიმეს მივაღწიე ცხოვრებაში, ეს მისი დამსახურებაა.

**– მორწმუნე ხართ, ეკლესიურად ცხოვრობთ?**

– ჩემი მშობლები ჭეშმარიტი მორწმუნენი იყვნენ. წამლის საიდუმლოებასთან ერთად დედისგან ერთი შეგონება მომყვება – „არასოდეს არ გაასწრო სახელს, ეცადე სახელმა გაგასწროსო.“ მამა მთხოვდა – წელიწადში ორი-სამი სიკეთე მაინც გააკეთე, მომდევნო წელს კიდევ მეტი და მეტი შესძელი, თუ გინდა სიკეთის ქმნას შეეჩვიოო. ეცადე, ვალი არასოდეს აიღო, შეჩვევა იცის და ველარ მოიშლიო... ასეთი სულისკვეთებით ვიცხოვრე დღემდე.

ვეთაყვანები სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II. მისგან ბევრი მადლობა მაქვს მიღებული. რამდენიმე ბიბლია მისახსოვრა.

* * *

წამოსვლისას კიდევ ერთხელ გადავათვალიერე სქელტანიანი შთაბეჭდილებათა წიგნები. რა შინაარსის ჩანაწერებს არ წავაწყდი მასში, მაგრამ ერთი განსაკუთრებით დამამახსოვრდა: „დავდგეთ შურზე მაღლა. ვაღიაროთ ბიჭიკო ასკურავა.“

**ნანული ბუკია**

საქართველოს პარლამენტის ეროვნული

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეკლიანი გზა



1927 წლის 26 ივნისს მეოთხე საეკლესიო კრებაზე ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ქრისტეფორე ციცქიშვილი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აირჩიეს, რომელსაც მეტად მძიმე პერიოდში მოუწია ეკლესიის მართვა. კომუნისტები ავიწროებდნენ სასულიერო პირებს, დევნიდნენ მრევლს. ამდენად საჭირო იყო ბრძნული გადაწყვეტილების მიღება, რათა ოდნავ მაინც შესუსტებულიყო საბჭოთა ხელისუფლების სასტიკი ზეწოლა.

თუ პატრიარქი ამბროსი (ხელაია) ზოგჯერ სრულიად აშკარად ამხელდა საბჭოთა ხელისუფლების ძალმომრეობას ხალხის და ეკლესიის მიმართ, ქრისტეფორე III უფრო ფრთხილი და გაწონასწორებული პოზიციის მომხრე იყო. ორივე მოღვაწე სჭირდებოდა მაშინ ეკლესიას. კომუნისტებთან ბრძოლის ერთ-ერთი საშუალება, რომელიც დრომ მოიტანა, იყო მოთხოვნა იმისა, რომ ხელისუფლებას დაეცვა და შეესრულებინა მის მიერვე მიღებული კანონები და დეკრეტები ეკლესიის შესახებ. ამ დადგენილებების ცხოვრებაში გატარება უხეშად ირღვეოდა. საეკლესიო ხელისუფლებას საკუთარი მოთხოვნების წამოყენებისას მოჰყავდა საბჭოთა კანონმდებლობის ის პუნქტები, რომლებიც ამ მხრივადაც აშკარას ხდიდნენ მათ სამართლიან ხასიათს. მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტები, როცა დასჭირდებოდათ, გვერდს უვლიდნენ თავიანთ მიღებულ კანონებს, ასეთმა საქმიანობამ შედეგი მაინც გამოიღო. ხელისუფლების ზეწოლა ეკლესიაზე ერთგვარად შესუსტდა. პატრიარქი ქრისტეფორე ხედავდა, რომ კაცობრიობას მძლავრი სატანური ძალა მოევლინა, მასთან აშკარა დაპირისპირება კი ეკლესიის შესაძლებლობას აღემატებოდა; ეს ტაძრების კიდევ უფრო მეტ ნგრევასა და საეკლესიო ქონების განიავებას გამოიწვევდა. აუცილებელი იყო ხელისუფლების მიმართ ბრძნული ხაზის გატარება, რაც არცთუ ისე ადვილი აღმოჩნდა. ეკლიანი იყო პატრიარქის გზა, მაგრამ დრომ დაამტკიცა მისი გეზის სისწორე.

კათოლიკოს-პატრიარქ ქრისტეფორეს დროს ეკლესია კალენდრის ძველი სტილიდან ახალზე გადავიდა. ამით ის ცამეტდღიანი განსხვავება, რომელიც მაშინ იყო და დღესაც გრძელდება, მოისპო. 1923 წელს კათოლიკოს ამბროსის ნებართვითაც შემოიღეს ეკლესიაში ახალი სტილის კალენდარი, მაგრამ 1925 წლის მარტიდან, მისი პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ, ეკლესია კალენდრის ძველ სტილს დაუბრუნდა. დღეს გაბატონებული აზრის თანახმად, უფრო სწორია კალენდრის ძველი, რომაელი იმპერატორის იულიუს კეისრის მიერ შემოღებული სტილი და არა ახალი, რომელიც რომის პაპ გრიგოლ XIII-ის ხელშეწყობით დამკვიდრდა. კალენდრის ახალ სტილზე გადასვლის მომხრეებს საკუთარი პოზიციის სასარგებლოდ დამაჯერებელი არგუმენტები მოჰყავთ. პატრიარქი ქრისტეფორე დროის ათვლის სწორი სისტემის შერჩევისას ცდილობდა, ნაკლებად გაეკეთებინა აქცენტი სარწმუნოებრივ მომენტზე. იგი აღნიშნავდა: „ძველი სტილის კალენდარს შეიძლება წარმართული ვუწოდოთ, რადგან იგი კერპთაყვანისმცემელ იულიუს კეისრის მიერ არის შემოღებული, მაგრამ ნამდვილი კალენდარი არც წარმართულია, არც ბურჟუაზიული და არც სოციალისტური, იგი საზომია დროის“.

ქრისტეფორე ციცქიშვილი მართლაც გამორჩეული, ძლიერი პიროვნება იყო. იგი 1873 წლის 28 მარტს დაიბადა შორაპნის მაზრის სოფელ ვერტყვიჭალაში. მისი წინაპარ ციცქიშვილთა შტო სასულიერო გვარს მიეკუთვნებოდა. მღვდელი იყო მომავალი პატრიარქის ერთ-ერთი ძმაც. ქრისტეფორე ციცქიშვილმა დაამთავრა სასულიერო სემინარია, შემდეგ – თბილისის უნივერსიტეტის უმაღლესი პედაგოგიური კურსები; 1895 წლიდან მღვდელი იყო კასპიის ზღვის იქითა მხარეში, ამის შემდეგ – სურამის ერთ-ერთ უბან იტრიაში, გორის მაზრის სოფლებში – ხიდისთავსა და ნაბასტევში, თბილისის ვერის წმიდა ნიკოლოზის ეკლესიაში; იგი პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა, ქართულ ენასა და საღვთო სჯულს ასწავლიდა იტრიაში, თბილისის მეხუთე გიმნაზიაში. 1904-05 წლებში იყო გორის სამრევლო სკოლის მეთვალყურე. ქრისტეფორე გახლდათ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენისთვის ბრძოლის ერთ-ერთი პირველი მოთავე. 1905 წელს მეთაურობდა ქართლ-კახეთის ეპარქიის სამღვდელო პირთა კრებას, რომელმაც შეიმუშავა და მინისტრთა კაბინეტში გაგზავნა მოთხოვნა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის თაობაზე. ეს იმ დროისთვის საკმაოდ გაბედული ნაბიჯი იყო. კრების მონაწილეები დაუსჯელნი არ დარჩენილან. მაშინდელი ეგზარქოსის ალექსისა და სასულიერო სემინარიის რექტორის ნიკანდროს წაქეზებით, კაზაკებმა ქართველი სამღვდელოება სასტიკად დაარბიეს. საქართველოს ეკლესიის გათავისუფლებისათვის ბრძოლის ჟინი მამა ქრისტეფორეს არც შემდეგ განელებია. იგი 1917 წელს, ჩვენი ეკლესიის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომაც, აგრძელებდა მოღვაწეობას ამ მიმართულებით. მამა ქრისტეფორე იყო ერთ-ერთი დამაარსებელი და რედაქტორი ჟურნალ „ახალი სიტყვისა“. იგი წერდა: „ას წელიწადზე მეტ ხანს იყო ჩვენი ეკლესია შებოჭილი, ის იმ ზღაპრული ხელმწიფის ასული ხომ არ არის, სამასი წლის ძილის შემდეგ ისევ ისეთი რომ აღდგა, როგორიც ადრე იყო?! ერთ წერტილზე შეჩერება სიკვდილია ყოველისა და ყველაფრისათვის. არ კმარა ჩვენი საეგზარქოსოს საქართველოს საკათალიკოსო შესამოსლების გამომზეურება, საჭიროა ფხიანობა, შემოქმედებითი მუშაობის გაჩაღება, უნარი მოქმედ ძალთა შემჩნევისა, დაფასებისა, მათი შეთანხმებულად დარაზმვისა. ნაკლები „მეობა“ და მეტი „ჩვენობა“.

1922 წლის 18 მარტს დეკანოზი ქრისტეფორე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას მიერ ხელდასმულ იქნა ჯერ მანგლისის, ხოლო შემდეგ ურბნისის ეპისკოპოსად. 1922 წლის 28 მაისს ეკურთხა კათოლიკოს-პატრიარქის ეპისკოპოსად, 1923 წლის 12 იანვრიდან 1925 წლის 8 მარტამდე ასრულებდა პატრიარქის მოსაყდრის მოვალეობას. როცა პატრიარქი ამბროსი კომუნისტებს ციხეში ჰყავდათ გამომწყვდეული, ეკლესიის მართვა-გამგეობა ქრისტეფორეს ხელში გადავიდა. მან საკმაოდ იბრძოლა პატრიარქის გასათავისუფლებლად.

ქრისტეფორე III მეცნიერულ მუშაობასაც ეწეოდა. მას ეკუთვნის არაერთი ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის წერილი თუ გამოკვლევა. მისი ხელშეწყობით აშენდა სურამის სკოლა, ხიდი, ეკლესია. მან ბევრი ტაძარი გადაარჩინა და დაიფარა კომუნისტური ტერორისაგან. იყო უაღრესად განსწავლული, თავმდაბალი და ზომიერი ადამიანი, გამოირჩეოდა შინაგანი და გარეგნული ხიბლით. კომუნისტების მიმართ უარყოფითად იყო განწყობილი, მაგრამ მათთან ურთიერთობაში ზოგჯერ თავშეკავებას ამჯობინებდა ისევ და ისევ დიპლომატიური მიზნებიდან გამომდინარე. სინამდვილეს შეულამაზებლად აღიქვამდა. ყველა საშუალებას იყენებდა ეკლესიის კეთილდღეობისთვის ბრძოლაში, ზომიერების ფარგლებში უტევდა ხელისუფლებას, მაგრამ თუ თავს ზევით ძალა არ იყო, რას გააწყობდა?!

ქრისტეფორეს ხუთი შვილი ჰყავდა – ნინო, გობრონი, ვასილი, ელენე და მარიამი, მისი მეუღლე ანა ჩუბინიძე, მეტად სათნო ქალბატონი, ადრე გარდაიცვალა (დაკრძალეს სურამში). შვილები შემდეგ ცნობილი პიროვნებები გახდნენ და უამრავი ღირსებით გამოირჩეოდნენ, ასევე შვილიშვილებიც – გივი და გიორგი ციცქიშვილები, ნიკოლოზ და კონსტანტინე ცხაკაიები, ვასილ ჩიხლაძე.

რთულმა დრომ ნაადრევად გატეხა კათოლიკოს-პატრიარქის ჯანმრთელობა. ის 57 წლის აღესრულა, 1932 წლის 10 იანვარს. დაკრძალულია სიონის საკათედრო ტაძარში. ისე მოკრძალებულად წავიდა, როგორც იცხოვრა. გაზეთში მხოლოდ პატარა განცხადება იყო გამოქვეყნებული: გარდაიცვალა ქრისტეფორე ციცქიშვილი.

მანანა ციცქიშვილი

# კინო მორევივით არის

## – თუ ჩაგითრია, თავს ვეღარ დააღწევ...



● რუსუდან გლურჯიძე



მსახიობმა ზურა მაღალაშვილმა ეკრანზე გამოჩენისთანავე მიიპყრო მაყურებლის ყურადღება. მისი გარეგნობისა და ნიჭის შემყურე ძნელია, გულგრილი დარჩე და დიდხანს არ გაგყვეს მიღებული შთაბეჭდილება. ზურამ ცოტა ხნით მიივიწყა მსახიობის პროფესია და პროდიუსერობა დაიწყო. შედეგმაც არ დააყოვნა და მეუღლესთან, რეჟისორ რუსუდან გლურჯიძესთან ერთად კანის ფესტივალზე მიიწვიეს.

**– ზურა, რატომ გაცვალეთ მსახიობობა პროდიუსერობაზე?**

– პროდიუსერობა ჩვენთან ახალი ხილივით იყო. საბჭოთა კავშირის დროს პროდიუსერი იყო სახელმწიფო. როცა ფილმში მიღებდნენ, როგორც მსახიობს, ძალიან კარგი ურთიერთობები მქონდა ხოლმე ჯგუფებში, განსაკუთრებით ოპერატორებთან. როცა დაინგრა ეს ქვეყანა, ჩემი მეგობრები, რეჟისორები მთხოვდნენ დახმარებას ხან ფირის გამჟღავნებაში, ხანაც განათებაში და ა.შ. მეც სიამოვნებით ვეხმარებოდი. ასე რომ, პირველი ფილმი ისე გაკეთდა დახმარება-დახმარებაში და ისე „აღმოვჩნდი" მისი პროდიუსერი, რომ აზრზე ვერ მოვედი. შემდეგ თანხები მოვიძიეთ რუსეთში და წავიდა ეს პროცესი... კინო მორევივით არის, თუ ერთხელ შეხვედი, ჩაგითრევს, იქიდან გამოსვლა უკვე შეუძლებელია.

**– და არც გინდათ, ალბათ.**

– ნამდვილად არ მინდა. ვისაც ერთხელ მაინც უთამაშია კინოში, თუნდაც 5 წლის ასაკში, ის აუცილებლად გადაწყვეტს მსახიობობას. თეატრი სხვაა, კინოში ხანმოკლე ურთიერთობებია, მთელი ცხოვრება ერთ ადამიანს არ უყურებ, 4-5 თვე გიწევს მასთან მუშაობა და ამდენად ვერ ასწრებ ურთიერთობის გაფუჭებას. კინოში ქალაქგარეთ გასვლას ექსპედიციას ეძახიან, ისევე როგორც გეოლოგები და მთამსვლელები, რაც შემთხვევითი არ არის. ეს ტერმინი უკვე განსაზღვრავს განსაკუთრებულ ურთიერთობებს.

**– რამდენ ფილმში ითამაშეთ?**

– 12 ფილმში.

**– რომელი უფრო დაგამახსოვრდათ?**

– სულ პირველი, ომარ გვასალიას „ალყა" და ნანა ხატისკაცის „სიბრძნე სიცრუისა"...

**– კანის ფესტივალზე როგორ მოხვდით თქვენ და თქვენი მეუღლე?**

– სპეციალური მიწვევით, არ ვიცოდით, რა გველოდა იქ. შოკისმომგვრელი იყო ჩემთვის, როცა აღმოვჩნდით უზარმაზარ დარბაზში, სადაც შეკრებილი იყო მსოფლიოში სახელგანთქმული 500-მდე პროდიუსერი. 8 დღის მანძილზე დღეში რამდენჯერმე გვქონდა ისეთი საინტერესო შეხვედრები, რასაც, ალბათ ყველა რეჟისორი და პროდიუსერი ინატრებდა.

**– ვინ გაიცანით?**

– ვინც მაინტერესებდა, ყველა. იქ გამარჯობა-გაგიმარჯოს, მოკლედ, ჩვენში რომ არის მიღებული, ისეთი ურთიერთობები არ არის. უნდა წარადგინო პროექტი, უნდა მოძებნო დაინტერესებული მხარე, შეარჩიო, ზუსტად გათვალო, ვის მიმართო, ვის შეხვდე. ყველაფერი წუთებში ხდება, დროში შეზღუდული ხარ. 3 საათზე ერთთან გაქვს შეხვედრა, 4-ს რომ წუთები აკლია, მეორესთან.

**– რა პროექტები წაიღეთ ფესტივალზე?**

– ერთი პროექტი პოლ ნადარზეა, ფრანგ ფოტოგრაფზე, რომელმაც ფოტორეპორტაჟი გააკეთა აბრეშუმის გზაზე. მან ფოტოების სახით დიდი საგანძური დაუტოვა კაცობრიობას. ეს ექსპედიცია მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს შედგა; დოკუმენტური ფილმივითაა. აქ ჩანს ხალხების კულტურა, წესჩვეულებები. მეორე პროექტია „ალი და ნინო", რომელიც, ვფიქრობთ, განხორციელდება, რადგან გამოჩნდა დაინტერესებული მხარე. რვა ადამიანმა წაიკითხა ეს პროექტი და სამმა გამოთქვა თანამშრომლობის სურვილი; უკვე ჩვენი ასარჩე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვია, ვისთან ჯობია ურთიერთობა. გადაღებები ირანში უნდა იყოს. ირანის მხარე თანახმაა, მონაწილეობა მიიღოს ამ პროექტში, თუმცა დამფინანსებლები ფრთხილობენ, რადგან ხშირია შემთხვევები, როცა იწყებენ ფილმს და ვერ ამთავრებენ; მათ სჭირდებათ გარანტია, რომ ბოლომდე მიიყვანენ ფილმს. ირანთან დაკავშირებით ეს ყველაფერი ძალიან დასალაგებელია. ბევრი დეტალია, რომელიც განაპირობებს დაფინანსებას. კანის ფესტივალზე ჩავიტანეთ· აგრეთვე, გიორგი შენგელაიას ფილმი „მიდიოდა მატარებელი“, რომელიც გავიდა ბაზრობაზე. ეს იყო კარგად ორგანიზებული ბაზრობა, მყიდველები მოიყვანეს დარბაზში და აჩვენეს სურათი. ასეთი რამ იშვიათად ხდება. ერთი ამერიკელი გავიცანით, რომელიც დღემდე ტვინს გვიბურღავს, თრილერი გავაკეთოთ ერთად, ერთი მილიონი ჩამომაქვსო. ამერიკისთვის მილიონი სასაცილო თანხაა, მაგრამ ამ თანხით სერიოზული სურათის გაკეთება შეიძლება საქართველოში.

**– თქვენ, როგორც პროდიუსერს, საქმიანი ურთიერთობა გაქვთ თქვენს მეუღლესთან, როგორც რეჟისორთან. ცუდია ეს თუ კარგი?**

– ჩვენთან, საქართველოში დღეს პროდიუსერს დიდი ავტორიტეტი არ აქვს. ის უფრო დამთმობია და უფრო ეფერება რეჟისორს, ისე მკაცრად არ ექცევა მას, როგორც საზღვარგარეთ. მე და ჩემს მეუღლეს ნახევარი სიტყვით გვესმის ერთმანეთის, არ გვჭირდება ერთმანეთის დარწმუნება და ამით არის ჩვენი საქმიანი ურთიერთობა წარმატებული. კინოს წარმოება ძალიან რთული ორგანიზმია; ფილმის დაწყება დიდი პრობლემაა, დამთავრება – უარესი.

**– თავისუფალი დრო გრჩებათ?**

– როგორც მინდა, ისე ვგეგმავ დღეს. სულ ვმუშაობ, ვფუსფუსებ, ვფიქრობ, ოჯახს ვუვლი...

**– რითი ერთობით?**

– საქმით, ახლა ფეხბურთს ვუყურებ.

**– ვის გულშემატკივრობთ?**

– გერმანიას და პორტუგალიას.

**– ტოტალიზატორში თამაშობთ?**

– არა. ცხოვრებაში ერთი-ორჯერ თუ მითამაშია. კანში ვითამაშე, კაზინოში. უბრალოდ, იქ რომ არ შევსულიყავი, არ შეიძლებოდა.

**– მოიგეთ?**

– არა, წავაგე, ეგრე სად მოიგებ. მე ყველაფერს შრომით ვიგებ, თამაშით არასდროს მომიგია. კანში კაზინოში სათამაშოდ კი არ შევსულვარ, სალვადორ დალის დიზაინის ნახვა მსურდა.

**– დაუვიწყარი რა იყო თქვენთვის კანის ფესტივალზე?**

– ძალიან თბილი ქალაქია, ეგეთი ქალაქი არ მინახავს. ყველაზე დაუვიწყარი ის იყო, ფესტივალზე, ტელევიზორში რომ აჩვენებენ, თითქოს გართობაა, არადა რამხელა შრომაა ჩადებული, ღმერთო ჩემო! შეიძლება გული წაგივიდეს...

**– ამ ზაფხულში რა გეგმები გაქვთ?**

– ერთი საქმე მაქვს ასაწყობი და წავალ მერე დასასვენებლად.

**– სად?**

– სად და ჩემი მეგობრის, გენო ცაავას „აღმოჩენილ“ კურორტზე – გონიოში.

მანანა ციცქიშვილი

ლექსების წერა სიყვარულმა და სილამაზემ დააწყებინა. ამაზე მისი სიტყვებიც მეტყველებს: „ვუმღერი ზეცას, მზეს, დღეს, განთიადს. საოცრად მიყვარს მამული, გაზაფხული, ბავშვები. ჩემი ოცნებაა საქართველოს მთლიანობა, მხიბლავს იისფერი“... მაგრამ მზე მანამ მზეობდა და ყოჩივარდებიც მანამდე მღეროდნენ, ვიდრე ქ-ნი იამზეს უმშვენიერესი ქალიშვილი ქრისტინე მარადისობაში არ გადასახლდა.

მას შემდეგ ცრემლი მეგობრობს მასთან და თითოეული სიტყვაც, გულის მსგავსად, ლოდივით დამძიმდა...

ორივენი თბილისის ილია ჭავჭავაძის სახ. 23-ე საშუალო სკოლაში მუშაობდნენ. ქ-ნი იამზე 35 წლის მანძილზე მუსიკას ასწავლიდა პატარებს, მშვენიერი ქრისტინე, იგივე „კიჩი“ – ფრანგულ ენასა და ლიტერატურას.



● იამზე ნაცვლიშვილი

## მწუხრი

ყვავილებს წყალი
ვაპკურე, ვუსხი.
ჩემი სიცოცხლე
გაზაფხულის ჰგავდა.
შორს იყო ჩემგან
სიცივის სუსხი.
ცრემლები თვალებს
რომ არ მიწვავდა.
ახლა მწუხრის ჩამოწოლილი...
საკუთარ ცის ქვეშ
გავხდი ლტოლვილი.
მცხუნვარე იყო ერთი ზაფხული
დამიწვა მკერდი.
მომკლას გული.

# იამზე ნაცვლიშვილი

## ქრისტე

ამკობდი თავს და
ჩვენც გვამაღლებდი,
დღითი-დღე, ქრისტე,
სინაზის ფიალი,
სიბრძნის ძერწავდი,
სიმშვიდის ჰქმნიდი,
პატარა გოგო
იყავი დიდი.
შენ უკვდავება
არჩიე სიკვდილს
და მოერიდე
აქაურ ჭიდილს,
ცილისმწამებელს
მოუტევებდი.
შენ შემოგევლე
დიდუკო... დიდი.
სისხლის წვეთიდან
გიშრის თმებამდე
ლამაზი ქცევის
ნაწნავებს წნიდი,
სიბრძნის ძერწავდი,
სიკეთის ჰქმნიდი,
პატარა გოგო
იყავი დიდი.

## ცრემლი

ცრემლი მეგობრობს ჩემთან
და მეც ვმეგობრობ ცრემლთან.
მე და ცრემლები ერთად
ხშირად ვსაუბრობთ ღმერთთან.
ზოგჯერ სიხარულს ახლავს,
ზოგჯერ სინანულს, სევდას.
ცრემლი ალმასის თვალს ჰგავს,
როდესაც ცვივა, ვხედავ,
უაზროდ იფანტება,
თოვლის ფიფქივით დნება,
უმალვე გამოჩნდება,
თუ გრძნობა იბადება.
ხეს რომ ფოთლები სცვივა,
ხელის მტევნები მტკივა,
თვალს ვერ ვაშორებ ტოტებს,
ცრემლები მცვივა, მცვივა.
მახსოვს ჩემს საიდუმლოს
ცრემლმა ახადა ფარდა,
აბა, ვინ გაბედავდა
ჩემი ცრემლების გარდა.

## მეგობარია მტკვარი

ბარათაშვილის ხიდთან
კლდე ცრემლებსა ღვრის, ცვრის,
პატარა ალმასით ნამავს
და გადაჭყურებს თბილისს.
რაც თავი მახსოვს, კვნესის,
ვერ უძლებს გულის ტკივილს,
თბილისის კარგად ესმის,
ტირის, უსაზღვროდ ტირის,
უსამართლობას ხედავს,
ამჩნევს ღალატს და მტრობას,
პატივს არ სცემენ დედას,
ძმა ძმას არ უწევს ძმობას.
კლდე შველი არის ბარის,
დედის გულისთქმა ესმის,
მეგობარია მტკვარი,
მტკვარში გავიდგამთ ფესვი.
ბარათაშვილის ხიდთან
კლდე ცრემლებსა ღვრის, ცვრის,
პატარა ალმასით ნამავს
და გადაჭყურებს თბილისს.

## ყოჩივარდები მათბობს

ის მამშვიდებს,
ვარდი მახარებს,
იასამანი მათრობს,
თეთრი გვირილა
წარსულს მაგონებს,
მოგონებები მათოვს,
ღიღილოს ხშირად
ხელით ვატარებ,
ყოჩივარდები მათბობს.
ენძელას ნიავს
არ მოვაკარებ,
კაკაჩები მართობს.
ზამბახის ფერი
ჩემი ფერია,
დედოფალის მინდვრის,
მე გული მწყდება,
როდესაც ქრება,
უჩინარდება, მიდის.
მიხაკი მომწონს
მე ქედმაღლობს,
მოხიბლული ვარ მისით.
ბუნებას ჩემგან
დიდი მადლობა
ამ ლურჯი იებისთვის.

## იგალობე, ჩიტუნია

უთენია სარკმლის ზღურბლზე
შემოსკუპდი
და ჩაიცვი ლილისფერი ფარაჯა,
იგალობე სიყვარულზე, ივივივი,
მომევლინე ჩემი სულის დარაჯად.
როცა ბინდი ჩამოწვება, შეგიფარებ,
გამაცანი ზეციური ცხოვრება,
ჩიტის რძესაც არ მოგაკლებ, შეგიყვარებ,
შემიბრალე, გამიახლე გონება,
წერილები ოქროს ნისკარტით
მომართვი.
ოცნებების, იმედების დედა ვარ,
შენ რომ ანი გაიცანი, რატომ არ სთქვი,
მე მიწაზე ვდგავარ გაუბედავად,
ძალიან გთხოვ, ჩემს ანგელოზს
გაუფრთხილდი,
გიშერი და ავგაროზი აჩუქე,
მარგალიტის მძივები აქვს, დაყვირილი,
თეთრად ბზინავს, არა-მარის აშუქებს,
იქნებ, აღარ გაიფრინო ზეცაში,
ნაირ-ნაირ ფერებშია ჩაფლული,
ჩიტუნია, ხომ არ გცივა, ხომ არ გშია,
იქნებ, ერთად გავატაროთ ბავშვული?



„ჯიბის", ანუ პატარა თეატრების არსებობის ისტორია მსოფლიოში ნახევარ საუკუნეზე მეტს ითვლის და მას თავის დროზე ეჟენ იონესკომ ჩაუყარა საფუძველი. იგი სპეციფიკურ, პატარა პიესებსა და სპეციფიკურ სცენას მოითხოვს. ასეთი თეატრი ჩვენთან, თბილისში მარჯანიშვილის ქუჩაზეც მდებარეობს, იგი 2000 წელს გაიხსნა და მისი დამფუძნებელი მხატვარი, მსახიობი და რეჟისორი ლელა ჭინჭარაული გახლავთ. ამჟამად თეატრი დროებით დახურულია, თუ რატომ, ამას თავად ლელასთან საუბრიდან შეიტყობთ.

# „ერთ „ჯიბის" თეატრს მთაშიც გავხსნი..."



ოჯახი – ლელა, პაატა და მარიამი

**– ლელა, რატომ შეწყდა „ჯიბის" თეატრში სპექტაკლების ჩვენება?**

– სხვა სპექტაკლების დადგმით ვარ დაკავებული /იცინის/, კერძოდ, დემოგრაფიულ პრობლემებზე ვმუშაობ და სამ წელიწადში ორი ბავშვი, მგონი, ურიგო შედეგი არ უნდა იყოს. თანაც, საზოგადოება პოლიტიკით იმდენად არის დაკავებული, რომ სპექტაკლებისთვის ვერ იცლის და მეც დრო ვიხელთე, საკუთარ დასს ვქმნი.

**– მიუხედავად იმისა, რომ საინტერესო მდგომარეობაში იმყოფებით, სად ან რაზე მუშაობთ?**

– ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის საბალეტო სკოლაში მსახიობის ოსტატობის პედაგოგი გახლავართ...

**– საბალეტო სკოლა თეატრისგან მაინც განსხვავებული სპეციფიკა მგონია...**

– დრამისგან, რასაკვირველია, განსხვავდება, მაგრამ ჩვენი ხელოვნება სინთეზურია და ამდენად, მხოლოდ მთლიანობაშია საინტერესო. აკი, გრიგოლ რობაქიძეც აღნიშნავს თავის ჩანაწერში „თეატრი, როგორც რიტმი": „... თეატრი უთუოდ დამოუკიდებელი ხელოვნებაა, მაგიური ხელოვნება. ყოველი ელემენტი მისთვის მასალაა მხოლოდ, ისევე, როგორც მხატვრობაში საღებავი არის მასალა..."

მეოცე საუკუნე ხელოვნებაში მაინც დაქუცმაცების, ძიების საუკუნედ მიმაჩნია – დრამა მოწყდა პლასტიკას, პლასტიკა – სიტყვას, მუსიკა – მხატვრობას და თითოეული ცალ-ცალკე განვითარდა. მხატვრობა აბსტრაქციამდე მივიდა, თეატრი – აბსურდამდე, პლასტიკა – სპორტამდე. თეატრის ახალი ფორმაციის მისაღებად ეს აუცილებელიც იყო, მაგრამ ახლა, ვფიქრობ, დაგვიდგა მთლიანობის აღდგენის დრო, რაც სრულიად ახალ სიტყვას იტყვის თეატრში და ხალხიც ჭეშმარიტ ხელოვნებას დაუბრუნდება.

**– რამდენად პერსპექტიულად მიგაჩნიათ საკუთარი მოღვაწეობა საბალეტო სკოლაში?**

– მთავარ ამოცანად სიტყვისა და პლასტიკის სინთეზი მაქვს დასახული, მოსწავლეებმაც ძალიან შემიწყვეს ხელი, არაჩვეულებრივად ნიჭიერი, გახსნილი და უშუალო ბავშვები არიან და მათი მეშვეობით ჩემი მომავალი სპექტაკლისათვის საინტერესო ექსპერიმენტების ჩატარების საშუალება მეძლევა.

**– ლელა, მაინც მინდა, „ჯიბის" თეატრზე ცოტა მეტი ვისაუბროთ...**

– „ჯიბის" თეატრი თავიდან სულაც არ იყო „ჯიბის" თეატრი. 20 კვ. მეტრის ერთი პაწაწინა სახელოსნო იყო, სადაც ხატვით ვიჯერებდი ხოლმე გულს. მერე საბავშვო თეატრ-სტუდიად გადაიქცა და ფერწერა, მეტყველება და მსახიობის ოსტატობა ისწავლებოდა. სწორედ ამ თეატრ-სტუდიაში, რომელსაც სახელად „ვარდისფერი დირიჟაბლი" ერქვა, დაიდგა სამი სპექტაკლი, რომელთაგან განსაკუთრებული წარმატებით მანანა დოიაშვილის „თავფარავნელი ჭაბუკი" სარგებლობდა. ყოველივე ამან თავდაჯერებულობა შეგვმატა, ახალი თეატრის დაარსების გარდაუვალობა დაგვანახა, რაც ჩემი სადიპლომო ნამუშევრით, ეჟენ იონესკოს „გაკვეთილით" განვახორციელეთ კიდეც. მას მოჰყვა სხვა სპექტაკლებიც, მათ შორის კობა ცხაკაიას პიესა „ცხოვრება საწვავის გარეშე".

**– მაინც რით განსხვავდება „ჯიბის" თეატრი დანარჩენი თეატრებისაგან?**

– დავიწყოთ იმით, რომ თეატრი შუაგულ ბაზარში მდებარეობს და მისკენ მიმავალმა მაყურებელმა უამრავ სავაჭრო ობიექტს უნდა ჩაუაროს, ფირნიშებს შორის: „სურსათი", „ხორცი", „ყველი", „პური", „თევზი" – წარწერა „თეატრი" რომ აღმოაჩინოს, მერე მეშწვანილე და ფოტოგრაფი ჩამოიტოვოს და, თუ ყოველივე ამის შემდეგ არ დაითრგუნება და სპექტაკლის ნახვის სურვილი არ დაეკარგება, ოცკაციან დარბაზში ამოჰყოფს თავს, სადაც ყველა ერთმანეთს მოკითხვით იცნობს. თუ ამასაც გაუძლებს, ყველაფერს სპექტაკლის შემადგენელ ნაწილად აღიქვამს და დარბაზში დარჩება, სინათლე ჩაქრება და დაიწყება სპექტაკლი, როგორი, ეს უკვე მაყურებლის განსასჯელია.

**– არა, მე უფრო სპეციფიკა მაინტერესებდა...**

– დღეს პატარა თეატრების არსებობა ჩვენში აღარავის უკვირს, მაგრამ „ჯიბის" თეატრში, რომ იტყვიან, პირდაპირ მიკროსკოპის ქვეშ იმყოფები, მაყურებლისა და მსახიობის ყოველი ჩასუნთქვა



„ჯიბის" თეატრი – სცენა სპექტაკლიდან „გაკვეთილი"

ეროვნული ბიბლიოთეკა



„ჯიბის“ თეატრი –
სცენა სპექტაკლიდან „ცხოვრება საწვავის გარეშე“

და ამოსუნთქვა გესმის, აქ მოტყუება და სიყალბე შეუძლებელია. აქაურობა საალმსარებლოს წააგავს, სადაც ყველაფრის მოწმე თითქოსდა უნებლიეთ ხდები.

**– „ჯიბის“ თეატრის გარდა, კიდევ რომელ თეატრებში დაგიდგამთ სპექტაკლები?**

– თავისუფალ თეატრში ბასა ჯანიკაშვილის, დათო ტურაშვილისა და ლაშა ბუღაძის პატარა ნოველების მიხედვით დადგმული „სამი პიესა“ თითქმის ორი წლის განმავლობაში არ ჩამოსულა სცენიდან, სარდაფის თეატრში სანდრო კაკულიას პიესა „ფანჯარა“ დავდგი, სამეფო უბნის თეატრში – ეჟენ იონესკოს „გაკვეთილის“ განახლებული ვარიანტი დიდი სცენისათვის.

**– ცნობილია, რომ თითქმის ყველა რეჟისორს „თავისი მსახიობი“ ჰყავს. თქვენ ძირითადად ვისთან მუშაობთ, მუდმივი დასი გყავთ?**

– მუდმივი დასი არა, მაგრამ სპექტაკლზე მუშაობის პროცესში იმდენად ვუახლოვდებით ერთმანეთს, რომ მერე ისევ მათკენ მიმიწევს გული. მინდა, დიდი სიყვარულითა და პატივისცემით წარმოგიდგინოთ ისინი: ლეო ანთაძე, ნინო ფილფანი, მაია ლომიძე, ლადო მექვაბიშვილი, კოტე თოლორდავა, ნათია ფარჯანაძე, მაია გელოვანი, ზალიკო ჩიქობავა, დათო იაშვილი, ნინო ლეჟავა, ბექა ჯუმუტია, მაკა პაპაშვილი, გიორგი ჩიქობავა, ზაზა ასანიშვილი.

**– ამჟამად გაქვთ რაიმე შემოთავაზება თუ იძულებით შვებულებაში იმყოფებით?**

– ფეხმძიმობის მიუხედავად, მიხარია, რომ მაინც მოქმედ რეჟისორად მთვლიან და დრამატურგები თავიანთ სპექტაკლებს მთავაზობენ. ახლა ერთ ძალიან საინტერესო პიესაზე ვმუშაობ. მინდა, შესვენების შემდეგ უკვე სერიოზული პროექტით წარვსდგე მაყურებლის წინაშე.

**– რატომღაც ძირითადად თანამედროვე ქართულ პიესებზე მუშაობთ. რაშია საქმე, კლასიკა არ მოგწონთ?**

– როგორ შეიძლება კლასიკა არ მოსწონდეს ადამიანს, მაგრამ იგი იმდენად სრულყოფილია, რომ ჯერ კიდევ ვსწავლობ მასთან შეხებას. ქართული დრამატურგიის გულშემატკივარი ვარ და მინდა, სწორედ ჩვენს თაობაში შეიქმნას და დაიდგას კარგი პიესები. ამაში აქტიური მონაწილეობა რეჟისორებმა და თეატრმცოდნეებმა უნდა მიიღონ, თორემ იმ დონეზე დავეცით, რომ შოუ და თეატრი ხალხს ერთმანეთში აერია.

**– როგორც ჩანს, მაინცდამაინც კარგი აზრის არ უნდა იყოთ ამ შოუებზე...**

– თავისთავად შოუს საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ ყველაფერში ზომიერება არის საჭირო. გადაჭარბებული შოუები დასცემს მაყურებლის გემოვნებას, რომელიც თეატრში უკვე ზომბირებული მოდის და ტრიუკს, ანუ სასაცილო მომენტს ელოდება. ამაში ძირითადად ტელევიზიას ვადანაშაულებ, რომელსაც ერთი ხეირიანი გადაცემაც კი არა აქვს ხელოვნებაზე, კულტურაზე, მაშინ, როცა რუსეთში მთელი არხია ასეთი. კულუარებში კი უამრავი საინტერესო მხატვარი, მუსიკოსი, მოცეკვავე, დრამატურგი იმალება, რომლებიც შეუფასებლობის გამო უხუმრად იკარგებიან.

**– დღე-დღეზე მეორე პატარასაც ელოდებით. ცოტა რამ თქვენს ოჯახზეც გვიამბეთ...**

– ჩემი მეუღლე პაატა გიგაური მოქანდაკე გახლავთ, ძირითადად ტაძრებში რელიეფებზე მუშაობს. სამხატვრო აკადემიაში თორმეტი წლის წინ გავიცანით ერთმანეთი, მაგრამ მაშინ დაქორწინება აზრადაც არ გაგვივლია.

**– ორი ხელოვანი, ისიც ორი ხევსური, ერთ ჭერქვეშ მეტისმეტი ხომ არ არის?**

– ორ ხელოვანს კიდევ არა უშავს, ორი ხევსური კი გამუდმებით სიფხიზლესა და ომს ნიშნავს, და ჩვენი სახლიდანაც ზოგჯერ რქების ჭახუნი ისმის /იცინის/. მაგრამ ასე ცხოვრება მომწონს, სხვაგვარად ვერ წარმომიდგენია. მალე ოთხნი ვიქნებით და...

**– უფრო დამთმობი რომელი ხართ?**

– რა თქმა უნდა, მე – როგორც ვერაზე დაბადებული და გაზრდილი, დედით მეგრელი, „ლაითი“ ხევსური. პაატა წმინდა სისხლის ხევსურია და ზოგჯერ მგონია, რომ ათი საუკუნის წინანდელი ადამიანი მელაპარაკება.

**– ხევსურეთში ხშირად დადიხართ?**

– რაც გავთხოვდი, აღარ ვყოფილვარ – ხან ფეხმძიმე ვარ და ხან – ჩვილბავშვიანი, პაატა კი ყველა დღესასწაულზე იქ არის. მეც მალე შევუერთდები. საერთოდაც, გადაწყვეტილი გვაქვს, სიბერე მთაში გავატაროთ.

**– როგორ?**

– ჩვეულებრივად. ბავშვებს წამოვზრდით და წავალთ მთებისკენ. ჩემი თავის ამბავი რომ ვიცი, ერთ „ჯიბის“ თეატრს იქაც გავხსნი...

მანანა იმესაშვილი
ფოტოები გიორგი ჩანადირისა

**P.S. ჟურნალი დასაბეჭდად მზად იყო, როცა ლელასა და პაატას ვაჟი, ლუკა შეეძინათ.
ვულოცავთ!**



სარდაფის თეატრი – სცენა სპექტაკლიდან „ფანჯარა“

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გამოფენა შარდენზე

შარდენის ქუჩაზე ფუნქციონირებს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, გობელენის უბადლო ოსტატის გივი ყანდარელის სახელობის გობელენის მუზეუმი, რომელიც რამდენიმე დღით დაეთმო თბილისის პოლიტექნიკური პროფესიული ლიცეუმის მოსწავლეთა სადიპლომო ნამუშევრების გამოფენას.



● ანა საკაძე

თანამედროვე ქართული გობელენის ფუძემდებელი გივი ყანდარელი 7 ივნისს გარდაიცვალა. დასანანია, რომ ამის შესახებ არსად თქმულა და დაწერილა. თუმცა, მის სახელსა და დამსახურებას ამით არაფერი დაჰკლებია. მისი აღიარება ახალგაზრდობიდანვე გასცდა რესპუბლიკის ფარგლებს და საპატიო ადგილი დაიმკვიდრა ქართველ სამოციანელ მხატვართა შორის. სამხატვრო აკადემიის პროფესორის, კათედრის გამგის ნამუშევრებმა იმთავითვე მიიქცია ხელოვნების მოყვარულთა ყურადღება, საყოველთაო აღიარება მოიპოვა. შესრულების დახვეწილი ტექნიკა, ორიგინალური, სრულიად განსხვავებული რთული კომპოზიციის თავისთავადობა, თბილ, მსუყე ფერთა გამა მიმზიდველობას მატებს მხატვრის ნამუშევრებს. პერსონალური გამოფენები არასოდეს დაჰკლებია სამშობლოსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში. განსაკუთრებული ღვაწლი დასდო ამ დარგის დანერგვა-აღორძინებას მეუღლის სამშობლოში ჩინეთში. საგანგებოდ აღნიშვნის ღირსია ჩინელი ხალხის თბილი, გულითადი დამოკიდებულება მხატვრისადმი, რაზეც უამრავი ჯილდო, გამოფენა, ჩინეთში დასტამბული მისი ნამუშევრების უძვირფასესი ალბომები მეტყველებს. სპეციალობით კერამიკოსი, საუცხოოდ მოერგო ეროვნულ ფესვებს, რამაც ასახვა ჰპოვა გობელენის ხელოვნებაში. ჩვენდა სავალალოდ, ბატონი გივი ჩინეთში მეტადაა აღიარებული და დაფასებული.

... მუზეუმის მეორე სართულზე გივი ყანდარელის მოწაფეების მუდმივი ექსპოზიციაა გამოფენილი, მესამე სართული, სადაც მისი სახელოსნო იყო განთავსებული, დაეთმო ლიცეუმის მოსწავლეთა ნამუშევრებს, რომელიც მის ხსოვნას მიეძღვნა.

შესასვლელშივე ყურადღებას იპყრობს ღვაწლმოსილი შემოქმედის შთამბეჭდავი ფოტო და საქსოვ დაზგაზე დაუმთავრებელი მისი ბოლო უმშვენიერესი გობელენი – „ადამი და ევა“.

ეს მოკლე ექსკურსი იმიტომ დაგვჭირდა, რომ მკითხველისთვის აგვეხსნა, თუ როგორ ნაყოფიერ ნიადაგზე მუშაობენ დამწყები გობელენისტები.

... გამოფენის ერთ-ერთი ინიციატორი და ორგანიზატორი გახლდათ ლიცეუმის პედაგოგი, თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებული, პედაგოგიური ალღოთი და ნიჭით დაჯილდოებული ქალბატონი ანა საკაძე.

ლიცეუმში სამ ფაკულტეტზე ორასზე მეტი მოსწავლე სწავლობს. ამჯერად, გარდა გობელენისა, გამოიფინა აქსესუარები, ეროვნული ტანსაცმლის სხვადასხვა ელემენტები. ჭარბობდა ფშავ-ხევსურთათვის დამახასიათებელი სამოსის დეტალები. სადიპლომოთა გვერდით იყო პირველკურსელთა გამორჩეული ნამუშევრებიც.

საუკეთესო ნამუშევრები წარმოადგინეს: თამარ პაპავამ, მაიკო ბოკერიამ, მილენა სარქისოვამ, იულია ცხვიტარიძემ, ნათია მამასახლისმა, ლაშა დარჩიამ, ხათუნა ხარხელმა, ნინო გიგაურმა, ანა უზანაშვილმა, მარი მაისურაძემ, ანა ნერსესოვამ მიშიკო ციშუკმა, თეონა ხაბელაშვილმა, თამარ დიდებაშვილმა, რაისა მაგასეევამ, მაიკო ჩულოევამ, ალისა საკიანმა, თეონა შაყულაშვილმა, მელანო მიგინეიშვილმა, სოფიკო რაზმაძემ, სალომე მახარაძემ, შუტუ დანელიამ, სოფო ლომაძემ...

გვესაუბრება **ანა საკაძე:**

– ვცდილობ, ჩემს მოსწავლეებს პირველ რიგში შევასწავლო ფერისა და კომპოზიციის საფუძვლები, შალისა და ბამბის ძაფის თვისებები, ღებვის ტექნიკა, საღებავად ძირითადად ბუნებრივ კომპონენტებს ვიყენებთ, როგორიცაა: ხახვის ფურცლები, ბროწეულის ქერქი, წითელი ღვინო, ენდრო, კოწახურის ფესვები, ატმის და ვაშლის ფოთლები და ა. შ. ჩვენი საქმიანობის თემატიკა ძირითადად მოიცავს ქართველ მხატვართა ნიმუშებს. ძალზე მომგებიანია – ნიკო ფიროსმანის ტილოების ასლის გადაღება, ასევე ელენე ახვლედიანის, გივი ყანდარელის, რუსი პეიზაჟისტების, იმპრესიონისტების ნამუშევრები.

ხელოვნების ეს დარგი ოდითგანვე არსებობდა საქართველოში. იქსოვებოდა ხალიჩები, ფარდაგები, ჯეჯიმები, ხურჯინები, ტანსაცმლის ათასგვარი მოსართავი ორნამენტი – სათავე დღევანდელი გობელენისა. თანამედროვე გობელენი განსხვავდება ხალხურისგან, მასში ჭარბობს რთული, დახვეწილი კომპოზიციის ნაირსახეობა, ფერთა გამაც განსხვავებულია. სამუშაო მძიმე და შრომატევადია, ერთი სემესტრი ეძლევა სტუდენტს ერთი ნამუშევრის შესაქმნელად. გობელენზე მუშაობა უფრო მამაკაცის საქმეა, თუმცა ჩვენთან ამ ფაკულტეტზე გოგონები ჭარბობენ.



მარტო ვერაფერს გავხდებოდი, ჩემი კოლეგების, უფროსი მეგობრების დიდი მხარდაჭერა და თანადგომა რომ არ მქონოდა. სასწავლებლისთვის პირდაპირ შეწირულები არიან: დირექტორი ბატონი ჰამლეტ ლაგვილავა, სასწავლო ნაწილის გამგე მერი ქავთარაძე, ორგანიზატორი ეთერ ჯამბაზიშვილი, უმცროსი კოლეგა,

საყვარელი პიროვნება მედეა შოგირაძე, კომპიუტერული მომსახურება გაგვიწია პედაგოგმა ხათუნა მარაულმა. დიდი პატივი დაგვდეს ბატონი გივის ყოფილმა მოსწავლეებმა, მუზეუმის დირექტორმა ნიკა ნუცუბიძემ და თანაშემწემ ხათუნა რაზმაძემ, რომლებმაც სრულიად უსასყიდლოდ დაგვითმეს სამუზეუმო დარბაზი.

საქართველოში გობელენის ხატები საუკუნეების წინ მზადდებოდა. უწმიდესსა და უნეტარესს ილია II რელიგიური თემატიკის გობელენების უნიკალური კოლექცია აქვს. ჩემს მოსწავლეებსაც აქვთ სურვილი, ამ თემაზე იმუშაონ. თუმცა თუ მორწმუნე არ არის და ეკლესიურად არ ცხოვრობს, ამის უფლებას ვერ ვაძლევთ. ვისაც უნდა ამ თემაზე იმუშაოს, ჯერ კურთხევა უნდა მიიღოს მოძღვრისაგან, აჩვენოს ესკიზი. შესანიშნავი წმიდა ნინოს ხატი შექმნა ლალი აღაპიშვილმა, წმიდა გიორგის – ქეთი ხაჩატურიანმა და მაია ბოკერიამ, რომელიც ეკლესიას გადაეცა საჩუქრად. ვინაიდან არ ვმარხულობ, ჩემს თავს ვერ ვაძლევ უფლებას, აქტიურად ჩავერიო შემოქმედებით პროცესში, მივუთითო. სხვა შემთხვევაში, ჩემთვის ყოვლად მიუღებელია პასიური დამოკიდებულება მოსწავლისადმი, საათობით ვზივარ მათ გვერდით დაზგასთან. ბევრი ჩემი ნამოწაფარი ხელოვნების სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობს. გობელენი ხომ ფერადი ძაფებით ნაქსოვი იგივე ფერწერაა, თუ ფერწერაში ვერ ერკვევი, ისე გობელენს ვერ შექმნი.

... პროფესიით არქიტექტორი გახლავართ. გობელენით ბავშვობიდან დავინტერესდი, როცა დედას და მამიდას კახეთში, ფშავ-ხევსურეთში დავყავდი. შემდეგ გობელენის განხრით ხელოვნების ფაკულტეტიც დავამთავრე.

ჩვენი სტუდენტებისთვის ასეთ პრესტიჟულ მუზეუმში მათი სადიპლომო ნამუშევრების გამოფენა დიდი პატივი იყო. გამოფენა დაათვალიერა უამრავმა პროფესიონალმა, მაღალი შეფასებებიც დავიმსახურეთ. ადრე მსგავსი გამოფენა გვქონდა ბავშვთა სურათების გალერეაში, ღვინის ფესტივალშიც მივიღეთ მონაწილეობა, დავიმსახურეთ ორიგინალური პრიზი – ვერცხლის დაფნის რტო.

დღეს ლიცეუმში სამი ფაკულტეტია: გობელენის, მკერავ-მოდელიერის და კომპიუტერის სპეციალისტის, მალე გვექნება თექისაც. სწავლა ორწლიანია. მსურველი ბევრი გვყავს. თუ ჩვენს ქვეყანაში ტურიზმი აღორძინდა, ჩვენს კადრებს ეშველებათ, იმუშავებენ სხვადასხვა სახელოსნოში, გაიყიდება ხელით ნაკეთები მათი შექმნილი ხელოვნების ორიგინალური ნამუშევრები, რაც ქვეყანას წაადგება და პოპულარობასაც მოუტანს ხელით რეწვას. გვაკლია ბაზარი, გასაღების პრობლემა ჯერჯერობით გადაუჭრელია.

... ახლახან მე და ჩემი მეგობარი საქმიანი ვიზიტით ესტონეთში გახლდით. განცვიფრებული დავრჩით, რომ მათთან ნაკლებადაა განვითარებული ეს დარგი, პირიქით კი გვეგონა. რამდენიმე ნამუშევარი ვუსახსოვრეთ, აღფრთოვანებას ვერ







ფარავდნენ... ესტონეთში, ჩრდილოეთის ქვეყანაში, მეგონა, უკეთ იქნებოდა განვითარებული შალის ნაკეთობანის, ლაბადის, ხალიჩის ხელოვნება. გობელენის ქსოვის კულტურა აღორძინების ხანიდანაა ცნობილი, კერძოდ, იტალიაში რაფაელი და მისი თანამედროვენი ქმნიდნენ მის ნიმუშებს. საუკეთესო მქსოველებად მაინც ბელგიელები ითვლებოდნენ.

* * *

ქალბატონ ანას მოსწავლეებს ნამდვილად გაუმართლათ, მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული, ღრმად განათლებული, პროფესიონალი პედაგოგი რომ არგუნათ ბედმა.

თუმცა თავად, როგორც ყველა ჭეშმარიტი ინტელიგენტი და თავმდაბალი ადამიანი, ბევრ რამეზე გულნატკენია, ფიქრობს, რომ უფრო მეტს მოელოდნენ მისგან, უკმარისობის გრძნობამ საყვედური საკუთარ თავზე მოზომილად მაინც ათქმევინა.

ჩემთვისაც დიდი პატივია, რომ ვარ მისი უფროსი მეგობარი და მაქვს უფლება, ამოუწურავად და მიუკერძოებლად, მის უამრავ დადებით თვისებებზე ვისაუბრო...

**ნანული ბუკია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ესენინის გატაცებები



მსმენელი გარინდებული უსმენდა პოეტს. ესენინი ლექსს არაჩვეულებრივი ოსტატობით კითხულობდა. ყოველი სიტყვა გულიდან მოდიოდა და დარბაზს იმორჩილებდა. იყო აპლოდისმენტები, ხმაური, შეძახილები „ბის". მსმენელები აღფრთოვანებისგან ტიროდნენ, როცა ესენინი გიტარას მოიშველიებდა, სკამზე გვერდულად დაჯდებოდა, თავს გადააქნევდა, გადაიყრიდა კულულებს და ჩამოჰკრავდა სიმებს...

26 წლის ესენინს ა. ლუნაჩარსკიმ მოსკოვში ჩამოსული ამერიკელი მოცეკვავე აისედორა დუნკანი გააცნო. მალე დაქორწინდნენ და 1922 წლის მაისში საზღვარგარეთ გაემგზავრნენ. ეს მართლაც უცნაური ქორწინება იყო. მათ წელიწადი და სამი თვე დაჰყვეს დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში. ესენინი ამერიკიდან იწერებოდა:

„ადამიანი ჯერ არ მინახავს და არ ვიცი, სად ვნახო იგი. მოდაშია მხოლოდ დოლარი".

ქორწინებამ და სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობამ მას სიხარული ვერ მოუტანა. ლექსებს იმ ხანებში თითქმის არ წერდა: რასაც წერდა, ისიც სევდიანი იყო.

მხოლოდ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მიეახლა სერგეი ესენინის მუზა, მაშინ, როცა სიცოცხლის ორნახევარი წელიღა რჩებოდა. თითქოს გრძნობდა სიკვდილის მოახლოებას, ჩქარობდა, ეთქვა სათქმელი, წერდა ლექსებს, ძირითადად — სიყვარულზე.

მაგრამ ისინი არ ეკუთვნოდა აისედორას, რომელიც სერგეი ესენინმა სამშობლოში დაბრუნებისთანავე მიატოვა, და არც გალინა ბელესლავსკაიას, ვისთანაც დუნკანთან განშორების შემდეგ ხშირად სტუმრობდა. გალინას უზარმაზარ სიყვარულს ესენინი ვერ პასუხობდა, რადგან მას მხოლოდ ერთგულ მეგობრად თვლიდა.

სასიყვარულო ლექსები პოეტს არც თავისი ბოლო ცოლისთვის, გრაფინია სოფიასათვის მიუძღვნია, რომელიც ლევ ტოლსტოის შვილიშვილი იყო. როცა სერგეი სიყვარულის ლექსებს წერდა, ის და სოფია არც იცნობდნენ ერთმანეთს.

ამ ლექსების პირველი კრებული მსახიობ ავგუსტა მიკლაშევსკაიას ეძღვნებოდა.

1923 წელს, ზაფხულის ბოლოს, ტვერის ბულვარზე ესენინი და ავგუსტა შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს...

ერთ საღამოს სერგეიმ ავგუსტა მოქანდაკე კონენკოვის სახელოსნოში წაიყვანა, რომელიც მის პორტრეტზე მუშაობდა. იქიდან ფეხით წამოვიდნენ. ესენინი ბედნიერი იყო, რომ დაბრუნდა შინ, რუსეთში; ყვებოდა, როგორ მობეზრდა უცხოეთში ყოფნა. ხელით ეხებოდა ხეების ტოტებს; ამტკიცებდა, რომ აქ, სამშობლოში, მთვარეც კი სხვანაირია.

პირველ ხანებში ყოველდღე ხვდებოდნენ ერთმანეთს. დადიოდნენ ქუჩებში, ქალაქგარეთაც, ტკბებოდნენ ოქროს შემოდგომის სილამაზით. მათ ხშირად ხედავდნენ პოეტთა კაფეშიც. ერთხელ ავგუსტას სერგეიმ დაფიქრებით უთხრა: „მე შენ მოგიძღვნი ლექსებს... უნაზესს".

პირველი სატრფიალო ლექსები ჟურნალში დაიბეჭდა და ეს ჟურნალი ავგუსტას საჩუქრად პირადად მიართვა.

მიკლაშევსკაია ხშირად ხედავდა ესენინს არაფხიზელ მდგომარეობაში. ცდილობდა, მასზე გავლენა მოეხდინა. იგი ოთხი წლით უფროსი გახლდათ პოეტზე. პირველ მეუღლესთან გაშორებული იყო. ერთ საღამოს სერგეი და მიკლაშევსკაია კაფეში, მსახიობთა ხმაურიან წრეში იმყოფებოდნენ. ესენინი ფხიზელი იყო. ამ დროს კაფეში ავგუსტას ყოფილი ქმარი შემოვიდა. მსახიობები მას იცნობდნენ და თავისთან მიიწვიეს. ესენინი მაშინვე ადგა და გავიდა, მაგრამ მალევე მობრუნდა ყვავილების დიდი თაიგულით, უსიტყვოდ დაუდო ქალს მუხლებზე, გამოემშვიდობა და წავიდა.

სიყვარული ლექსებში კვლავ იღვრებოდა. შეხვედრები კი თანდათან იშვიათი ხდებოდა.

ერთხელ ქუჩაში მიმავალი ავგუსტა სერგეიმ ეტლიდან დაინახა, ჩამოხტა და მიეჭრა, ლურჯი თვალებით მორცხვად მიაჩერდა და ახალი ლექსების კითხვა დაიწყო. იდგნენ ქუჩაში. გამვლელები აკვირდებოდნენ, ცნობდნენ პოეტს. ის ხელს უჭერდა ავგუსტას და უკითხავდა სიყვარულის ლექსებს...

ერთხელაც ავგუსტა და დუნკანი შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს. უფრო სწორად, დუნკანი სპეციალურად წავიდა მის სანახავად. ქალმა გააბა ნაცნობთან საუბარი და თვალს არ აშორებდა ავგუსტას, შემდეგ მიუახლოვდა და უთხრა: „მთელმა ევროპამ იცის, რომ სერგეი ჩემი ქმარი იყო და უცებ შენზე შეთხზა ლექსები? არა, ისინი მე მეკუთვნის".

ზოგჯერ სერგეი და ავგუსტა ისევ ხვდებოდნენ ერთმანეთს, სერგეი ხან კულისებში შეიხედავდა სპექტაკლის დროს, ხან წყნარად იჯდა რეპეტიციაზე,ხან უზარმაზარ თაიგულს მიართმევდა. უკანასკნელად 1925 წლის შემოდგომაზე, გვიან ღამით შინ მიაკითხა. ჩუმად იჯდა დივანზე. წასვლისას დაიბარა: „საავადმყოფოში ვწვები. მოდი, მინახულე". მაგრამ მას იმჟამად ცოლად ჰყავდა სოფია ტოლსტაია და მიკლაშევსკაიამ იუხერხულა მისი მონახულება.

მას მერე ერთმანეთი არ უნახავთ.

ორი თვის შემდეგ ესენინი გარდაიცვალა. თავი მოიკლა თუ მოკლეს? არ არის ცნობილი.

ტრაგიკულად მიდიოდნენ ამ ცხოვრებიდან ის ქალებიც, რომლებიც ახლოს იყვნენ ესენინთან. წლისთავზე მის საფლავზე თავი მოიკლა გალინა ბენისლავსკაიამ (ზოგიერთი ვერსიით, თითქოს მოკლეს). იგი პოეტის გვერდით დაკრძალეს.

მისი სიკვდილიდან ნახევარი წლის შემდეგ აისედორა დუნკანი ავტოკატასტროფაში დაიღუპა.

ტრაგიკულად დაასრულა სიცოცხლე ესენინის პირველმა ოფიციალურმა მეუღლემ მსახიობმა ზინაიდა რაიხმა. იგი გაუგებარ სიტუაციაში მოკლეს თავის ბინაში.

სხვანაირად აეწყო ცხოვრება ქალისა, რომელსაც ესენინმა სიყვარულზე პირველად უმღერა. ავგუსტა მიკლაშევსკაიას ბედმა ხანგრძლივი სიცოცხლე არგუნა. მან 86 წლამდე იცოცხლა და დიდხანს გამოდიოდა თეატრის სცენაზე.

მოამზადა **ლია კაკაბაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზაფხული ქორწინებისთვის საუკეთესო დროა



წელიწადის რომელ დროს სჯობს გათხოვება ან ცოლის მოყვანა? – ამ კითხვაზე პასუხის მისაღებად ფსიქოლოგებმა სერიოზული გამოკვლევა ჩაატარეს. აღმოჩნდა, რომ გაზაფხულზე ძირითადად ნაჩქარევი და, აქედან გამომდინარე, მარცხისთვის განწირული ქორწინებები ხდება. ხანგრძლივი ზამთრის შემდეგ ადამიანი ქვეცნობიერად მიისწრაფვის ცვლილებებისაკენ, მზის პირველი სხივების ზემოქმედებისთანავე ძარღვებში სისხლი ჩქროლვას იწყებს, ჰორმონები თავგზას გვიბნევს... და ამ დროს, უმჯობესია, „წუთშესვენება ავიღოთ“, ერთი-ორი თვე შევიცადოთ და მხოლოდ ამის შემდეგ მივიღოთ საბოლოო გადაწყვეტილება. ხშირად ეს დრო სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ უდიდესი შეცდომა. თუ სიტუაცია მაინცდამაინც ქორწინებისკენ გვიბიძგებს, ამისთვის საუკეთესო პერიოდი ივნისია. ზაფხული დადებითად მოქმედებს ახალგაზრდა ოჯახურ წყვილებზე. მზის ენერგია მარტო „საავგარაკო რომანების“ სტიმულირებას კი არ ახდენს, რომელთა დიდი ნაწილიც საკმაოდ ხანგრძლივ და სერიოზულ ურთიერთობებში გადაიზრდება ხოლმე, არამედ ადამიანთა ურთიერთშეგუებასა და შეთვისებასაც ამარტივებს, ამსუბუქებს და ამყარებს. ფსიქოლოგები მიიჩნევენ, რომ ზაფხული თაფლობის თვისთვის მართლაც იდეალური პერიოდია; მათი აზრით, მცხუნვარე ათინათებში გატარებული ეს პერიოდი გრძნობების განეიტრალებისა და გაციების, კონფლიქტების გახშირებისა და სულიერი კრიზისის იმ მომენტებს აუცილებლად შეამსუბუქებს, რომელიც გვიანი შემოდგომისას დგება ხოლმე.

ძალიან ხშირად ქალს ჰგონია, რომ ბოლოს და ბოლოს შეხვდა იმ მამაკაცს, რომელსაც ამდენ ხანს ელოდა, ეძებდა და რომელზედაც ოცნებობდა: სუსტი სქესის წარმომადგენლები ერთგვარი სულსწრაფობით გამოირჩევიან და მსგავს ფიქრებს კვალდაკვალ ოჯახის შექმნაზე ოცნებაც მოსდევს ხოლმე, მაგრამ... დიახ, სწორედ ამ „მაგრამის“ შემდეგ დგას უამრავი ნიუანსი, რომლის გათვალისწინებაც გასათხოვარ ქალბატონებს ნამდვილად არ აწყენდა. ფსიქოლოგები თვლიან, რომ:

– თუ წელიწადზე მეტია ხვდებით მამაკაცს, ის კი არ გთავაზობთ ქორწინებას, არ საუბრობს ერთად ცხოვრებასა და ურთიერთობების კიდევ უფრო გამყარებაზე, ერთადერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: იგი არ აპირებს თქვენზე დაქორწინებას, მისთვის მხოლოდ დროებითი ვარიანტი ბრძანდებით.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი საკმაოდ ხატოვნად გიხსნით საკუთარი პასიურობის მიზეზებს, გაითვალისწინეთ, შეყვარებული ადამიანისთვის არანაირი დაბრკოლება და მიზეზი არ არსებობს.

– თუ ძალზედ საქმიან მამაკაცს ხვდებით, რომელიც თვლის, რომ თქვენ არ შეიძლება გაგაჩნდეთ პირადი ინტერესები, რომ თქვენი მთავარი დანიშნულება მასზე ზრუნვა, მისი საქმეთა მმართველის მოვალეობის შესრულება და სექსუალური პარტნიორობაა, დაფიქრდით – ხომ არ აპირებს თავისი „ბუდისთვის“ ძვირადღირებული „ფისუნიას“ შეძენას? გაწყობთ კი მხოლოდ საქმიანი ადამიანის „ჩრდილის ქვეშ ყოფნა“?

– თუ ხვდებით ადამიანს, რომელიც მიუხედავად თავისი არცთუ ისე სახუმარო ასაკისა, მაინც ბერბიჭად დარჩა, ან განქორწინების შემდგომი პაუზა წლების მანძილზე გრძელდება, გულს ნუ დაიმშვიდებთ იმით, რომ მარტოხელა მამაკაცი ყოველთვის ადვილი „მოსარჯულებელია“, ასეთი მამაკაცები ძალიან ხშირად დამოუკიდებლობას ოჯახზე მაღლა აყენებენ და ყველანაირად ცდილობენ ამ „თავისუფლების“ შენარჩუნებას.

თუ თქვენ მზად ხართ ასეთი ცხოვრებისათვის, შეგიძლიათ მისი მეგობრობის იმედი იქონიოთ.

– თუ ხვდებით მამაკაცს, რომლის მიერ წარმოთქმული ფრაზებიც ძირითადად „ბდი“-ზე მთავრდება („გავაკეთებდი მაგრამ“... „მივიღებდი“... „ავაშენებდი“...), გაითვალისწინეთ, რომ იგი, როგორც ჩანს, მხოლოდ ოცნების კოშკებს აგიგებთ... არჩევანი თქვენზეა, რადგან ზოგიერთი ქალი ამგვარ ცხოვრებაზეც თანახმაა. მათი აზრით, სასახლე მაინც სასახლეა, რა მნიშვნელობა აქვს, ოცნებისაა იგი თუ რეალური...

მოკლედ, ფრთხილად, ძვირფასო ქალბატონებო, თუკი ჯერ კიდევ დაუოჯახებელი ბრძანდებით, დაუკვირდით მამაკაცთან თქვენს ურთიერთობას და, თუ დაქორწინებას გადაწყვეტთ, წელიწადის დროსაც მიაქციეთ ყურადღება. გახსოვდეთ, რომ ზაფხული ქორწინებისთვის საუკეთესო დროა.

თამარ ოთიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მხატვარ-დეკორატორის პროფესიული არჩევანი



სამების საკათედრო ტაძრის გზას რომ აუყვებით, ძველ იტალიურ ეზოში პატარა ბინაა, სადაც თავმოყრილია მხატვრულ-დეკორატიული ნამუშევრები, ქეთი ბურჯალიანის ხელით შექმნილი. მხატვრის ამ სამყაროში მხოლოდ მისი ახლო მეგობრები ხვდებიან. 23 წლის ხელოვანმა წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დეკორატიული ქსოვილების ფაკულტეტის ბაკალავრიატი წარჩინებით დაამთავრა, ამჟამად მაგისტრატურაში ჩასაბარებლად ემზადება და თავის დებიუტს პროფესიულ არენაზე პირველი პერსონალური გამოფენის მოწყობით აპირებს.

ქეთი ხატვამ ჯერ კიდევ ბავშვობაში, ცაგერის საშუალო სკოლაში სწავლისას გაიტაცა. რაიონულ ცენტრში დღემდე ფუნქციონირებს ის სამხატვრო გალერეა, სადაც პატარა გოგონა მშობლებს ხატვის წრეში მიუბარებიათ. მისი პირველი პედაგოგები, გია ლეთოდიანი და გია დავითულიანი ახლაც ზრუნავენ თავიანთ ნამოწაფარზე. ისე როგორც სხვაგან, დღეს ცაგერში კულტურული ცხოვრება ჩამკვდარია. ხელოვნებაზე მხოლოდ ხელოვანი ხალხი თუ ზრუნავს, ამიტომ ცაგერის გალერეის მესვეურებმა თავად შესთავაზეს ქეთი ბურჯალიანს პირველი პერსონალური გამოფენის მოწყობა. ამ ღონისძიების სპონსორობა კი იტალიაში თარჯიმან-რეფერენტის სპეციალობის შესასწავლად წასულმა და იქ დაოჯახებულმა დამ, ნათია ბურჯალიანმა-ამატომ იკისრა. რა თქმა უნდა, ასეთი მხარდაჭერა ახალგაზრდა მხატვრისთვის დიდი სტიმულია, ყველაზე მნიშვნელოვანი კი საკუთარ მხარეში აღიარებაა. მან ხომ სწორედ აქ გადადგა პირველი ნაბიჯები, – დახატა პირველი ნატურმორტი და პირველი პეიზაჟი. როგორც ქეთი იხსენებს, სკოლაში განსაკუთრებით არ უყვარდა მათემატიკა და გაკვეთილზე ხშირად თავს ხატვით იქცევდა, რისთვისაც მასწავლებელს არაერთხელ დაუტუქსავს. სამაგიეროდ, გამორჩეულად აინტერესებდა ბიოლოგია, ყოველთვის მაღალ შეფასებებს იღებდა. აქტიური მოსწავლე იყო. 1996 წელს ქუთაისში ორგანიზებულ რაიონულ კონკურსში მისი თემა ბიოლოგიაში პირველი ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდა. ხატვის პირველ კონკურსში მონაწილეობა კი მას ცაგერის გალერეაში მიუღია და პრიზის სახით თიხის აქსესუარებით ხელდამშვენებული დაბრუნებულა შინ.

შემდეგ ოჯახი საცხოვრებლად ქუთაისში გადადის. ქეთი სწავლას სამხატვრო ლიცეუმში აგრძელებს, მისი და, ნათია კი – უცხო ენების კოლეჯში. გორაზე ქირით მცხოვრებ ოჯახს ფინანსურად უჭირდა და დებს სასწავლებლად ცენტრში ჩასვლა ხშირად ფეხით უწევდათ. 1999 წელს ლიცეუმში ორგანიზებულ მოდელირების კონკურსში ქეთი ბურჯალიანს მონაწილეობისათვის მადლობის სიგელით აჯილდოებენ. სწავლის პერიოდში იგი არაერთ ჯგუფურ გამოფენაში მონაწილეობდა. განსაკუთრებით ემადლიერება ლიცეუმში თავის პედაგოგს ბესო ცნობილაძეს, რომელიც მოსწავლეს სახატავ ინვენტარს საკუთარი სახსრებით უძენდა. ლიცეუმში სწავლის პერიოდში, როგორც ფრიადოსანმა სტუდენტმა, ლიტერატურულ კონკურსშიც მიიღო მონაწილეობა და ლიცეუმის ხელმძღვანელის ბ-ნ რეზო რამიშვილის საავტორო წიგნი ავტოგრაფით მიიღო საჩუქრად.

2001 წელს სამხატვრო აკადემიაში შესასვლელად საბუთებს აგროვებდა, მაგრამ ოჯახის მეგობრის, კომპოზიტორ კახა ცაბაძის რჩევით, ქეთიმ აზრი შეიცვალა. ასე მოხვდა ნიჭიერი გოგონა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დეკორატიული ქსოვილების ფაკულტეტზე. თსუ-ში სწავლის ბოლო კურსზე ურთულესი ავადმყოფობა გადაიტანა, მაგრამ აქაც ლექტორები ედგნენ გვერდით და ეხმარებოდნენ. განსაკუთრებით ემადლიერება, ლექტორებს მსოფლიო ხელოვნების ისტორიაში ლადო ასათიანს და სახელოვნო პროექტების ორგანიზებაში თამაზ თუთაშვილს. თავის კურსზე დეკორატიულ ქსოვილებში ერთადერთი სტუდენტი აღმოჩნდა, საერთო ლექციები მოდელირების ფაკულტეტის





სტუდენტებთან ჰქონდა. სწყდებოდა გული, რომ ერთადერთი იყო, მაგრამ ეს მდგომარეობა უფრო მეტ სტიმულსაც მატებდა. დღესდღეობით მისი სპეციალობით სულ უფრო მეტი და მეტი ახალგაზრდა ინტერესდება. უნივერსიტეტში ორგანიზებულ ჯგუფურ გამოფენებშიც ყოველთვის იღებდა მონაწილეობას.

მხატვრობასთან ერთად ხელსაქმე იტაცებს. როგორც საუბარში აღნიშნა, ქარგვა ჯერ კიდევ ბავშვობაში ბებიამ ასწავლა. უკვე თბილისში ჩამოსულმა, უნივერსიტეტში სწავლის პარალელურად, სამრევლო სკოლაში გაიღრმავა ცოდნა. შეისწავლა ქართული ტრადიციული ნაქარგობა – ოქრომკედი, რომლის ტექნიკაც საეკლესიო აქსესუარების მოსაქარგად გამოიყენება, აითვისა ხევსურული ორნამენტი. ამჟამად GS-გალერეაში დიზაინერების ქეთი დარსაველიძისა და ელენე ფირცხელაურის ხელმძღვანელობით არტ-დეკორს და ბატიკას ეუფლება. ბატიკაში ადრეც მუშაობდა, მაგრამ ტექნიკის დახვეწა ამ სამთვიან კურსებზე მოახერხა.

ქეთი ბურჯალიანის ცხოვრებაში წლევანდელ შემოდგომას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. იგი თავისი შემოქმედებით ფართო საზოგადოების წინაშე პირველად წარსდგება, თუმცა მხატვრის საზომი ულევია, იგი თანამედროვეობის სარკეა. ასე რომ, ეს ერთი და სხვა მრავალი წარმატება ვუსურვოთ ნიჭიერ ახალგაზრდა მხატვარ-დეკორატორს პროფესიულ ასპარეზზე. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, დავტკბეთ მისი შემოქმედებით.

თამარ ნინიძე

# ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი ერთ წუთში ხდება

მომხიბლავი ქალბატონი მაკა გეგუჩაძე გახლავთ პროფესიით მსახიობი. ამჟამად მოსკოვში ცხოვრობს ოჯახთან ერთად. ჰყავს მეუღლე – დათო ჟღენტი, შვილები – მიშიკო და მარიამი, შვილიშვილი – დათუნა.

ცხოვრებამ მოიტანა და მსახიობის პროფესია მიავიწყა, თუმცა მაყურებელს დღესაც ახსოვს მისი როლები (ფილმები „სტერეოტესტი", „რაიკომის მდივანი", „უბრალო გასეირნება" და სხვ.). გამოირჩევა გარეგნული ხიბლით, რომელსაც ემატება სულიერი სიმშვენიერე. ყოველთვის გრძნობს ღვთის მფარველობას, უყვარს ადამიანი, გამოსდის ურთიერთობები, უყვარს ფიქრი, წერა, სითბოს გასცემს და სულ მცირე ჰყოფნის იმისთვის, რომ მოაწყოს დღესასწაული. თითქოს სცენაზე დგას და მაყურებელს არ ბეზრდება მისი ყურება და მოსმენა. არ იბნევა, მშვიდად ხვდება განსაცდელს, საინტერესო ცხოვრება აქვს, რადგან შეუძლია შეიგრძნოს ყოველი წამი, რომელიც ღმერთმა უბოძა და თან დიდი მადლი ჩააქსოვა.

მაკა მოსკოვის №1331-ე სკოლაში მუშაობს, ხელოვნების ისტორიას ასწავლის. ძალიან მოსწონს თავისი საქმე. ბავშვებს უყვართ და ემადლიერებიან. ხშირად ჩუქნიან ყვავილებს და წერენ ბავშვური გულუბრყვილობით და უშუალობით სავსე წერილებს.

მუდამ საზოგადოების ყურადღების ცენტრშია, თუმცა არ უყვარს მაკიაჟი, რადგან ბუნებრივ სილამაზეს ანიჭებს უპირატესობას. ახერხებს, იყოს ორიგინალური და სასურველი ადამიანი. შეუძლია, საათობით ესაუბროს მათხოვარს ქუჩაში, არ მოსწონს პომპეზურობა, გადაწყვეტილებას სწრაფად იღებს და არაფერს ნანობს. არასოდეს აძლევს უფლებას საკუთარ თავს, ვინმეზე გაბრაზდეს. პატარა საჩუქარი ყველასათვის მოეძებნება. ასხივებს შინაგან ძალას, კეთილგანწყობას და დადებით მუხტს. მისი საუბარი დამაჯერებელია, კარგი მოსაუბრე და მსმენელია.

„წვიმდა და უცებ მზე გამოვიდა და გავიშვირე მზისკენ ხელები, თითქოს სხვანაირ ცხოვრებას ვიწყებ და რალაცნაირად მედღესასწაულება, მიხარია, რომ დამტოვეს მარტო, ყველა ერთად რომ წავიდა სადღაც. შორს მიმაქანებს სულის სიჩქარე... მოცემულ სხეულს ვერ ვურიგდები, მაგრამ ჩემია და მენანება. არ არის დიდი დანაშაული, ჩემი ცხოვრება თუ ვერ მოვაწყვე. ისეთი არავინ ვიცი, ვინც მეტნაკლებად თავს მარტოსულად არ თვლიდეს. მე და სიჩუმე დავრჩით მხოლოდ... მეშინია, ნუ დამტოვებთ მარტო, მოფერება მინდა. 11 საათია, 12 ივნისია, 2006 წელია. აი, ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის ის, რაც ამ წუთში ვიცი, რასაც ამ წუთში ვგრძნობ, არ არიან სიტყვები გრძნობებისთვის... ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი ერთ წუთში ან დროის უფრო მცირე მონაკვეთში ვითარდება...“ – წერს მაკა.

**– გადაწყვეტილებას ყოველთვის სწრაფად იღებთ?**

– არასოდეს არაფერს ვგეგმავ, აზრები ყოველთვის მოულოდნელად იბადება. ამბობენ, ორმოცს რომ გადააბიჯებ, იმდენი კი უნდა გქონდეს ნანახი, რომ კარგი რამეები დაწერო. ალბათ ასეა, ყველაფრის უკან ღმერთი დგას.



ყველაფერს ღმერთი აკეთებს, მე მხოლოდ ფანქარი ვარ მის ხელში... თავისუფალი ნება, უფლის მიერ ჩვენთვის ნაბოძები, უდიდესი წყალობაა, მაგრამ ჩვენ ვერ ვიყენებთ, ჩვენ უნდა ავირჩიოთ ან სიკეთე, ან ბოროტება...

**– ყველას თავისი გზა აქვს, თქვენ რომელი აირჩიეთ?**

– არსებობენ ადამიანები, მოაზტებიან თეთრ რაშს და ისე დააგელვებენ, რომ მხოლოდ ამ ცხენის ჭიხვინი გაისმის. მე მათ რიცხვს არ ვეკუთვნი. რამდენადაც შემიძლია, ვცდილობ, ჩემთვის ვიცხოვრო, განაპირას. მოწოდება ერთი მაქვს – ბედნიერებას ვესწრაფვი. ვიღებ სიამოვნებას იმით, რაც მაბადია. გაზაფხული ცხოვრობს ჩემს გულში. მე სიცოცხლე მიყვარს!

**– რა არის სიხარული?**

– ნამდვილმა ღატაკებმა იციან, რა არის სიხარული. ისინი მცირედით არიან კმაყოფილნი, მათი სიხარული სუფთაა და ნათელი.

**– პოლიტიკა გაინტერესებთ?**

– პოლიტიკაზე მირჩევნია არაფერი ვთქვა. ჩვენ ვიმყოფებით უჩვეულო რევოლუციურ ვითარებაში, რომელსაც დასასრული არ უჩანს, ჩვენი საზოგადოებრივი და ნაციონალური ცხოვრება სამყაროს ფონზე, არის გაზეთებისა და ტელევიზიის მიერ მიწოდებული გრანდიოზული სპექტაკლი.

**– რუსეთში თავს როგორ გრძნობთ?**

– მენატრება ისეთი მხარე, სადაც სიმშვიდეა. წარმოვიდგენ ხოლმე და მერე ვიჯერებ, რომ აქ ჰაერი სიკეთით არის გამთბარი, რომ ეს ქალაქი, მოსკოვი, სადაც ვცხოვრობ, შეყვარებულია და თუ უყვარს, ბოროტებას ვერავის მიმართ ჩაიდენს, და მაშინ სავსებით ბუნებრივად ვგრძნობ თავს.

**– საქართველო გენატრებათ?**

– საქართველო დღეს არ არის ჩემი სახლი, მაგრამ ესაა ადგილი, სადაც ბევრი დღესასწაული მქონდა და სადაც სიმშვიდეს ვეძებ დღესაც. ესაა ადგილი, რომელზეც ხშირად ვფიქრობ და მენატრება. შეშლილივით მინდება ხეტიალი მის ქუჩებში, ძველ ნაკვალევზე გავლა, ბაბუის და ბებიის საფლავზე მისვლა... მაგრამ ის ქვეყანა, რომელიც 15 წლის დავტოვე, აღარ არსებობს. ამ ახალ ქვეყანაში ყველაფრის თავიდან დაწყება მომიწევს. უცხოელ ტურისტად ჩავიდე ქვეყანაში, სადაც გავიზარდე?

**– რა არის სიყვარული?**

– სიყვარული ყველაფერს ითმენს, ყველაფერს პატიობს, არ ეძებს თავისას, არ ღიზიანდება. მისთვის წარმოუდგენელია ბოროტება, ყველაფერს ფარავს, ყველაფრის სჯერა, ყველაფერს იტანს, სიყვარული არასდროს წყვეტს თავის არსებობას.

**– მოგწონთ სკოლაში მუშაობა?**

– ეს საოცარი სიყვარულია. ბავშვები ჩემგან სწავლობენ, მე – მათგან. ეს ისეთი ურთიერთდამოკიდებულებაა, რომელიც ფრთებს მასხამს. სკოლაში ქართული სექტორიც არის და რუსულიც, თუმცა სკოლა ქართული სულისკვეთებისაა. როცა მსახიობი ვიყავი, როცა ტელევიზიაში მიმყავდა გადაცემა ან ვწერდი, ვერ ვიფიქრებდი, რომ სკოლაში დავიწყებდი მუშაობას პედაგოგად. როგორც კი გავიგე, რომ მოსკოვში იყო ქართული კერა, მაშინვე იქით გამიწია გულმა. დირექტორი არაჩვეულებრივი ადამიანია – ანა კერესელიძე. ყოველთვის მიმართლებდა ადამიანებში, ბედნიერი ვარ ამით.

**– თბილისში დიდი ხნით ჩამოხვედით?**

– მამა იყო ავად, ოპერაცია გაუკეთეს, ისეთი არაფერი, მაგრამ იმდენად მინდოდა, უფრო სწორად, ჩემს სულს უნდოდა, რომ მასთან ერთად ვყოფილიყავი, უცებ, რამდენიმე საათში მოვაგვარე ყველაფერი და ჩამოვედი. მამიკოს გვერდით მინდოდა ყოფნა.

**– რას ელოდებით ხვალინდელი დღისგან?**

– ბედნიერი ვარ, რომ იქნება „ხვალ“ – კიდევ ერთი დღე შესაძლებლობებისა და სიყვარულისა...

მანანა ციცქიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



დაიბადა ქ. თბილისში 1955 წლის 17 ოქტომბერს, მეცნიერ-თანამშრომელთა ოჯახში. იგი პროფესიით ფიზიკოსია, დაამთავრა ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ფიზიკის ფაკულტეტი, ასპირანტურა სპეციალობით: „ტრადიციული დეფექტები მყარ ტანში". არის 26 ნაშრომის ავტორი და თანაავტორი, 5 საერთაშორისო კონფერენციის მომხსენებელი. მუშაობს ტექნიკური უნივერსიტეტის მყარი ტანის სტრუქტურის კვლევის რესპუბლიკურ ცენტრში, მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე. ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟი – ასეთია ზურაბ ბაშალეიშვილის შესახებ, თითქოსდა ამომწურავი ინფორმაცია. ამ მშრალ სიტყვებს მიღმა კიდევ ერთი ცოცხალი არსება დგას – პოეზია. რაფინირებული სულით დაწერილ ლექსებში იგრძნობა, რომ პოეტი მუდმივად ფიქრობს წარსულზე, სტკივა აწმყო და მომავალს თავის ლექსებს საგზალივით უნახავს...

მზია ხეთაგური

# ზურაბ ბაშალეიშვილი

## გია ცერცვაძეს

სახლში მაქვს პური,
მარილი და მზის ათინათი –
გამორჩეულად დაწურული წითელი ღვინო...
შემოირბინე, – იცი, მიყვარს შენთან კამათი,
აზრი გავცვალოთ, სიმართლე ვთქვათ, წავიღიღინოთ.
ლექსს წაგიკითხავ,
შენ იხუმრებ – მტერი გოდებდეს,
მწარესაც ვიტყვით,
გულმოსულნი სამშობლოს ბედით,
უნდა ვითმინოთ ქაჯთა დოლი – ვიტყვით... როდემდე?
სულით ლუმპენი
გახდება კი ოდესმე დენდი?!
ვერცხლის ჩხრიალი
გონს უბინდავს ჩვენში სანამ თემს,
არ გათეთრდების
ის ყორანი, თავს რომ გვაყვედრის,
შემოგჩივლებ და...
შევაგინებთ ჩვენს ბედს, თანამდევს –
რად მოგვისაჯა
ნამუსის ხალხს იობის ხვედრი?!.
მაგრამ ჩვენი სჯობს!
ვერცხლის მონა არ ვართ არც ერთი,
არც ფლიდისათვის
გვითხოვია ჩინ-მედალები,
კაცმა გაგვწირა?
არ გაგვწირავს უფალი, ღმერთი!
სოფელი ჩვენ ვერ შეგვაშინებს – არ ვართ მხდალები.
ჰოდა, მეწვიე,
გამისწორე დღეს ხასიათი,
ჭიქა ავწიოთ,
ვახალისოთ წუთისოფელი,
მომნატრებია,
როგორც ვატყობ, შენთან კამათი...
ტკბილ მოგონებად
კვლავ დაგვირჩეს წამი ყოველი.

* * *

დატვირთულ ვირზე ნუ მამატებთ კიდევ საპალნეს...
ველარ გავუძლებ – მე აქლემად არ გავჩენილვარ.

* * *

მერე მწარედ გამეცინა
ვინანიებ ცოდვებს ჩემსას,
განიწმინდა სულიც უფრო...
„ღვთის ვერ ასცდეს განაჩენსა,
ვინც ნაძარცვის ძალით უფლობს",
– ასე ვთქვი და ჩემს ნათქვამზე
მერე მწარედ გამეცინა...
კვლავაც მძარცველს უნათებს მზე,
ტაძარშიც დგას ჩემზე წინა.

## მუხათწყაროს ცა

მუხათწყაროს ცა ვარსკვლავების სასაკლაოა –
წამი არ გავა, რომ არ მოწყდეს ვარსკვლავი ციდან,
რა არ ჩავუთქვი, იმ იმედით, აღსრულდებოდა,
არც რა აღსრულდა, ერთიც კი არ, ამდენი ცდიდან...
ან, რაც ჩავუთქვი, დამიწუნა არსთა განმრიგემ...
ან... იქნებ ცრუობს თვით ლეგენდა? – ველარ გავიგე...

## მეუღლეს

ალუჩის ტოტზე აფეთქდა კვირტი,
სიცოცხლის ნოტით აივსო სივრცე,
მორჩა, დამთავრდა უაზრო ფლირტი
წუთისოფელთან, დღეს დავიფიცე.
თუმც ცა მღვრიეა, სველიც, ნოტიოც,
ახლა სხვა გზნებით ქრიან რაშები,
ის სიყმაწვილე, გთხოვ, მაპატიო,
აწ და მარადის შენთვის დავშვრები.

* * *

კაცი თუ გეთქმის, დრო გალიე ტრფობა – ალერსში,
სიმართლეს შენზე, წაიკითხავ ქალის თვალებში.
უსიყვარულოდ წამიც თუა შენს სიცოცხლეში...
გინდ გიცხოვრია სამოთხეში, გინდ – ჯოჯოხეთში.

* * *

საქართველოში ვინ ვერ ივარგა?
ვინც ვერ იკადრა, რაც სხვამ იკადრა...
ვინც კი იკადრა, ყველამ ივარგა –
ოღონდ, სინდისი მიჰქარ-მიჰკარგა!

# გურამ რჩეულიშვილი



## მეგობარი

– მართლა გიყვარს, ბიჭო, ის გოგო?

– როგორ არ მიყვარს, მთელი კვირა არ მძინებია.

– მე მგონი, სიზმარში ხედავ და გეჩვენება, რომ არა გძინავს.

– შეიძლება სიზმარიც იყო, მაგრამ რახან სიზმარში ვხედავ, ალბათ მიყვარს.

– მეც ასე მგონია, რომ უნდა გიყვარდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ასე ხშირად არ დაგესიზმრებოდა.

გურამმა პაპიროსი ჩააქრო და შეყვარებულ ძმაკაცს არაფრის გამომხატველი თვალებით შეხედა.

დათოს თავი ჩაექინდრა და ბუხარში გაღვივებულ ნაკვერჩხალს უყურებდა.

– ღმერთმა დასწყევლოს, მგონი, მართლა უყვარს, – გაიფიქრა გურამმა და ხმამაღლა განაგრძო:

– მოდი, ბიჭო, არაყი დაგალევინო. ჩვენებური კახური ჭაჭაა. თანხმობის ნიშნად დათომ თავი ასწია და გაიღიმა.

– ჩვენს სიყვარულს გაუმარჯოს!

– გაუმარჯოს!

– ლეილას გაუმარჯოს!

– გაუმარჯოს!

– შენ და ლეილას გაგიმარჯოთ ერთად!

– გმადლობთ!

დათო სულ უფრო მდუმარე ხდებოდა. გურამმა ცეცხლს შეშა მიუმატა და ერთხანს თვითონაც ფიქრში გაერთო.

– სად არის ლეილა ეხლა, – ისევ დაარღვია გურამმა აუტანელი სიჩუმე.

– ბაკურიანში, ეჰ, ნეტავ, მეც იქ ვიყო.

– იმას უყვარხარ?

– ალბათ.

– საიდან იცი?

– მე თვითონ ძალიან მიყვარს.

– მაშ, წავიდეთ ბაკურიანში.

– როდის?

– ეხლავე.

– რითი?

– თორმეტის ნახევარზე გადის მატარებელი.

– მერე, ფული რომ არა გვაქვს?

– მე მაქვს ჩემი შარვლის საყიდელი ფული და იმითი.

– არ შემიძლია, ვერ დაგახარჯვინებ.

გურამი წამოდგა, თხილამურები გადმოიღო, შემდეგ ორი წყვილი სათხილამურო ფეხსაცმელი, საგზალი შეახვია და გარეთ გავიდა. როცა დაბრუნდა, დათოს ცრემლები მოსდიოდა თვალებიდან.

– რა მოგივიდა, ბიჭო, – შეეკითხა გურამი.

– არაფერი, ბოლისაგან... – მიუგო დათომ.

გულში კი ფიქრობდა, როცა ადამიანს ასეთი მეგობარი ჰყავს, საყვარლის დაშორება ვერ შეაშფოთებს.

დილის ოთხ საათზე ახალციხის მატარებლიდან ბიჭები ბაკურიანის ვიწროლიანდაგიან მატარებელზე გადასხდნენ. არემარე თოვლით იყო დაფარული. დათო და გურამი მატარებლის კიბის საფეხურის გვერდებზე დარჩენილი თოვლიდან გუნდებს აკეთებდნენ და ხეებს ესროდნენ. ხეებიდან ყოველი გუნდის სროლისაგან თოვლის ფართე ფიფქები ცვიოდა.

საკოჭაოდან მატარებელმა სვლას უმატა. ბიჭები კიბეზე იდგნენ, როცა მატარებელი ბაკურიანში შევიდა, ლეილა დათოვლილი თმებითა და მომღიმარე სახით ბაქანზე იდგა.

– რათ დაიგვიანეთ? გამარჯობათ, როგორა ხართ. გურამ, რა ამბებია? – დათოსკენ განგებ არ იხედებოდა.

– ჩვენ ხომ ჩამოსვლას არც კი ვაპირებდით, – მიუგო გაოცებულმა გურამმა.

– მე კი დარწმუნებული ვიყავი თქვენს ჩამოსვლაში, – ცოტა წყენა დაეტყო ლეილას ხმაში.

სადგური დაცარიელდა.

დათო და ლეილა ხელიხელგადახვეულები მიჰყვებოდნენ თოვლით დაფენილ შარას, ხოლო გურამს სამი წყვილი თხილამური გაედო და ორივეზე უფრო კმაყოფილი მათ უკან მიბაკუნობდა.

1956

## სიყვარული მარტის თვეში

– კარგი, ბიჭო, რა მოგივიდა, მოეშვი მაგ გოგოს.

– მოშვებული არა ვარ?!

– კარგი ერთი. მითხარი მაინც, გიყვარს ძალიან?

– არა, – უპასუხა ნოდარმა.

– მაშ, რაღას დასდევ ამდენს? – შეეკითხა თემო.

– მე დავდევ?

– რა ვიცი, მთვრალი სულ მაგის სიყვარულზე ლაპარაკობ.

– მთვრალ კაცს რამე დაეჯერება?

– ხან ფხიზელზე მეტი, ხან არა.

– ჰო, შენც მართალი ხარ.

ნოდარმა თემოს ხელი გაუყარა და წიგნების ფარდულისაკენ წაიყვანა.

– ნახე, ბიჭო, იეთიმ გურჯის ლექსები გამოუშვეს!

– იეთიმ გურჯი ვინ არის?

– პოეტი, აშუღი, მღეროდა, წერდა, რასაც გრძნობდა, იმაზე.

– არ გამიგია...

თემომ გვერდზე გაიხედა. მერე თვალები ეშმაკურად აათამაშა.

– ახლა კი მივხვდი, რა იეთიმ გურჯი აგიტყდა.

ნოდარი ყურებამდე გაწითლდა, შემდეგ გამყიდველს წიგნი გამოართვა და მარტოკამ განაგრძო გზა. ცოტა ხნის შემდეგ თემო წამოეწია.

– ბიჭო, მართლა ღმერთივით გოგოა, მაგისი მარტო უიმედო სიყვარულიც ღირს, არა?

– რა ვიცი.

ნოდარი თავის ფიქრებში გაერთო. „ნეტავი იმან იცის, რომ მე მიყვარს? საიდან უნდა იცოდეს? თუმცა არა, ალბათ იცის, ვინმე ეტყოდა“.

– ნოდარ, გამარჯობა, – დაუძახა ვიღაცამ. ნოდარმა მოიხედა. მერე ქუდი მოუხადა, ზრდილობიანად მიესალმა. გამარჯობის თქმამ ფიქრი შეაწყვეტინა, შემდეგ ისევ ჩაფიქრდა. „ალბათ, დღეს მოვა თამაშზე, ათითორმეტი ბურთი მაინც უნდა ჩავაგდო, მერე ედი გამაცნობს, იქიდან ერთად წამოვალთ. ნეტავი რა უყვარს? რაზე ველაპარაკო? კალათბურთის თამაში? არა. ამას თავისი თვალითაც ხედავს; სჯობს, ისტორიაზე ვესაუბრო, ან ლიტერატურაზე, ჰო, მართლა, ჰემინგუეის რაიმე ნოველას მოვუყვები“.

ნოდარი ბაღში შევიდა და მექანიკურად დაჯდა სკამზე. ფიქრებს მიეცა. რა არ მოიგონა!.. „მაგას მოპასანი ეყვარება... ჰო, მეც მოპასანის რომელიმე მოთხრობას ვუამბობ, თუნდაც „ნავსაყუდარში“ ან „სამკაულს“. მან თავი ნერვულად გაიქნია: „რა სისულელეა მაგეების მოყოლა, ვითომ თვითონ არ წაუკითხავს, ალბათ ჩემზე ათჯერ მეტი იცის! თუმცა, რაც გიყვარს, იმაზე უნდა ესაუბრო. არა, არა, მაგას ჯობია, მოლას რომელიმე ოხუნჯობას მოვუყვე. აი, უარესი სისულელე! ჰო, მართლა, როგორმე სიტყვას ზღაპრებზე ჩამოვუგდებ. მოვუყვები არაბულ ზღაპარს „ღმერთისა და დერვიშის“ შესახებ. მაშ ასე, როცა გამაცნობენ, ალბათ გავწითლდები, თუმცა ნათამაშები მაინც გაწითლებული ვარ ხოლმე და ისე არ შემეტყობა... ასე – ჯერ ჩამოვართმევ ხელს, ვეტყვი სახელს... არა, არვარგა. ვეტყვი გვარს... არც ეს მომწონს, არაფერს არ ვეტყვი, თვითონ ეცოდინება. მერე, პირდაპირ ხომ არ მოვუყვები არაბულ ზღაპარს. არა, ჯერ შევეკითხები, გადიან თუ არა არაბეთის ისტორიას, ჰო, ჰო, კარგია. ვითომ რაიმე წიგნი მჭირდება. შემდეგ ვეტყვი, ეგ ისტორია მეც ძალიან მიყვარს-მეთქი, განსაკუთრებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათი ზღაპრები, სადაც მთელი ფილოსოფიური საკითხები არაჩვეულებრივი სისადავით არის-მეთქი წამოჭრილი. ის მიპასუხებს... ნეტა რას?“

ნოდარი კვლავ მიუბრუნდა ფიქრებს. ახლა ეს გეგმა აღარ მოსწონდა, ჩქარა ახლის შედგენა დაიწყო. მერე ადგა და ჩაფიქრებული ქუჩაში გამოვიდა.

– ხაბარდა, ხაბარდა! – იძახდა მეეზოვე, თან ქუჩას რწყავდა, – მოეცა მეთქი, ბიჭო, ვერა ხედავ, ამოგწუწე!

ნოდარი შუა ქუჩაში გადავიდა.

– ბრმა ხომ არა ხარ, ვერ გაიხედ-გამოიხედავ?! – მოესმა მანქანიდან შოფრის ხმა.

შემოტრიალდა. ქვევიდან ტრამვაი მოჭქროდა. ტანში სიმსუბუქე იგრძნო, თვალები გაუბრწყინდა. სწრაფად გაქანდა ვაგონისაკენ და ნაჩვევი მოძრაობით შეხტა კიბეზე, მაგრამ ხელი ვერაფერს მოჰკიდა – სახელური გამომძვრალი ყოფილიყო. წონასწორობა დაკარგა, ფეხებს ტანი ვერ ააყოლა და უკან გადმოვარდა, თავბრუ დაესხა. ლიანდაგზე დადებულ მარცხენა ფეხს ტრამვაის გორგოლაჭმა ჭრიალით გადაუარა. გაისმა კივილი, ქვაფენილზე მიმავალ ჭაღარათმიან ქალს ჩანთა ხელიდან გაუვარდა. რონოდის მგზავრებს სახე გვერდზე მოექცათ. წინა სკამზე მჯდარმა მოხუცმა ცოლქმარმა ფეხები იატაკიდან ასწიეს უნებლიეთ, თითქოს ტრამვაის სიმძიმის შესამსუბუქებლად, და აკანკალდნენ. ტუჩებშეღებილმა, მოკლეკაბიანმა რუსის გოგონამ ხმამაღლა შეჰკივლა, დაჭყეტილ თვალებზე ხელი აიფარა და ისე განაგრძო ყურება. ათიოდე მეტრის გავლის შემდეგ ტრამვაი მუხრუჭების ჭრიალით გაჩერდა. გაფითრებული მძღოლი ავტომატური ტელეფონისკენ გავარდა.

პირველი შეგრძნება ნოდარისა იყო ხალხი, რომელიც შემოხვეოდა. მას გარშემოხვეულებისა შერცხვა და თვალებზე აიფარა ორივე ხელი. მერე ტკივილი იგრძნო ფეხში და კვლავ დაკარგა გრძნობა. ცოტა ხნის შემდეგ თვალები გაახილა, უაზროდ მიაშტერდა ვიღაცას. „ნეტავი ის ხომ არ მიყურებს?! რა სირცხვილია“, – გაუელვა თავში. ტკივილის ახალმა შემოტევამ ფიქრი გააწყვეტინა. „ჰო“, ამოიგმინა ყრუდ, „მაგათი ყოფაც ვატირე, ყველასი“, – გაიფიქრა, შემდეგ სცადა ფეხზე აწევა და ადგილზე გაინაბა. მხოლოდ ახლაღა მიხვდა ბუნდოვნად, რომ ფეხი მოჭრილი ჰქონდა. ამ აღმოჩენამ თითქოს დაამშვიდა, აღარა რცხვენოდა. ტკივილიც გაუქრა. ახლა მას თვალებიდან ცრემლები მოსდიოდა. ნოდარი ბუნდოვნად გრძნობდა: ვიღაც თეთრებში ჩაცმულებმა ხელში აიყვანეს. ხალხი გაიყო. მერე საწოლზე დააწვინეს, საწოლი ოთახში შედეს, შემდეგ რაღაც შეშის ნაჭერივით გვერდზე დაუდეს. „ნეტავ, რა არის?“ – გაიფიქრა უნებურად. ჩქარა დაიღალა, გული ისევ შეწუხდა და გრძნობა დაკარგა.

დროდადრო უბრუნდებოდა შეგრძნება. ჩურჩული. ტირილი. სიჩუმე. ისევ კარგავდა გონებას. ახლა იგი უკვე კალათბურთის მოედანზე იყო. გოგონები მის ლამაზ ტანს მალულად ჭვრეტდნენ. მას სიამოვნებდა ქალთა ჭვრეტა, უნდოდა, რომ „იმასაც“ ეცქირნა მისთვის... გაწითლდა. მერე რიგში დაინახა, თავის ამხანაგებთან ერთად მჯდარი. თამაში დაიწყო. აი, გავარდა ნოდარი, გივიმ მიაწოდა ბურთი. ისროლა. არ ჩავარდა. ათი ბურთი ააცილა, ოფლმა დაასხა ტანზე, სახეზე. ათი ბურთი... ახლა თამაში წაგებულია.

„ვაიმე!“ – ამოიკვნესა ნოდარმა. საწოლზე ჩამომჯდარმა დედამ ნაზად დაადო ხელი მაჯაზე.

„ნოდარ ჯანდიერი“, – ძლივს წაილუღლუღა მან და სახე გაუბრწყინდა.

„ლეილა“, – მოესმა გოგონას სასიამოვნო ხმა. ნოდარს გული მიეცა.

ნოდარი: უკაცრავად, თქვენ კალათბურთის თამაში გიყვართ, არა?

ლეილა: მე? დიახ.

ნოდარი: ჰო, ვიცი, თქვენ თვითონ არ გითამაშნიათ არასოდეს?

ლეილა: არა, მაგრამ მაინტერესებს.

ნოდარმა სული განაბა. უნდოდა, დიდხანს ესმინა საყვარელი ქალის ხმა, მერე წამოწითლდა და პირდაპირ დაიწყო: „მე ერთ არაბულ ზღაპარს მოგიყვებით“...

„დიახ, დიდი სიამოვნებით მოვისმენ, მე ზღაპრები ძალიან მიყვარს“.

ნოდარი გაათამამა ასეთმა თანაგრძნობამ. შემდეგ თვალებში შეხედა მას, მაგრამ ფერი ვერ გაარჩია და დინჯად დაიწყო: „იყო არაბეთის ერთი მეფე, მეფე ბრძენი და მჭევრმეტყველი“. ნოდარმა სიამოვნებით გაიღიმა, ხმა თავისუფლად ემორჩილებოდა. „ერთხელ მეფემ იხმო თავისი მრჩეველი და ჰკითხა:

– ბრძენო! მითხარ, ჭეშმარიტება სად არის, ან თუ არის, რას ჰგავს?

– დიდო მეფეო, – მიუგო ბრძენმა, – ჭეშმარიტება სად არის, არავინ იცის, ხოლო მსგავსებით იგი კეფასა ჰგავს, რომელიც ვიცით, სად არის, მაგრამ ვერასოდეს დავინახავთ“.

ნოდარმა დინჯად დაამთავრა თხრობა. იგი ამ წუთში ხის კენწეროს უყურებდა. როცა მზერა ქვევით გადმოიტანა, ის უკვე წასულიყო.

„ლეილა, ლეილა!“ – დაიყვირა მან, მერე თვალი მოჰკრა ბაღის კარებში სწრაფი ნაბიჯით გამავალს და მის დასადევნებლად გაიწია.

– ცივი ტილო, თუ შეიძლება, – ცრემლნარევი ხმით სთხოვა დედამ ექთანს.

ექთანმა ტილო მოუტანა და ჩუმად ჰკითხა:

– აბოდებს?..

– ჰო.

დედას ცრემლები წამოუვიდა.

1956




**ცინარა ტერელაძე – მწერალ გურამ რჩეულიშვილის ექსლიბრისი**

# გოგონას ოცნება

მზია გვიან ადგა.

ახლა იდგა სარკესთან და თმებს ივარცხნიდა. ძალიან უხდებოდა შუბლზე ჩამოყრილი „ჩოლკად“. შუბლი ლამაზი ჰქონდა, არ უნდოდა მისი დაფარვა. ახლა უკან გადაივარცხნა. გამოიჩინა. ასეც უხდებოდა. მეორე სარკე აიღო, პროფილი არ მოეწონა. ოდნავ უკნიდან წამოიღო და მაღლა აიწია თმები.

მოეწონა.

იდგა სარკის წინ;

სარკე კამოდზე იდგა.

კამოდს დააყრდნო იდაყვები, ხელები ნიკაპს ქვეიდან ამოიდო, პირდაპირ უყურებდა თავის თავს, ხან მოწონდა, ხან არა.

„ასე არა, არ ვარგა, ლადოს წინ ჩამოყრილი მოეწონება, რა სულელი ვარ, არც ვიცნობ და ისე ვამბობ, თუმცა ისეთი ბიჭია, ნამდვილად მოეწონება. სამაგიეროდ, ნოდარს უკან გადავარცხნილი მოეწონება, დარწმუნებული ვარ. ნეტა გამაცნო ნოდარი. ო, რა კარგად უკრავს. მე მაინც უკნიდან მაღლა აწეული მირჩევნია. ასე უფრო მიხდება. უფრო ცივი და არისტოკრატიულია. გიამაც ეს მითხრა. რა კარგი ბიჭია გია, გია ყველას ჯობია. თუმცა, ლადოსთანა ვაჟკაცი ტყუილია. შარშან ზღვაზე როგორ გამოათრია წყლიდან პატარა ზაური. რა ტანი აქვს. თუმცა შესახედაობაზე ხომ არ არის. ნოდარს არც კარგი ტანი აქვს, არც ლამაზია, მაგრამ როგორ უკრავს, თუმცა თვალები აქვს კარგი. ლამაზს ვერ ეტყვი, მაგრამ ძალიან ძლიერია. რას ვსულელობ, – შერცხვა თავისი თავის გოგონას, – რას ვარჩევ. ნეტავ ჩემთვის სულ ერთი არ არის? არა, მაინც გიასთანა მხიარული და ხუმარა ტყუილია“. მზია გაწითლდა.

„ხო, გია კარგი ბიჭია, თუმცა მე რა, იყოს თავისთვის“.

ახლა წინ ჩამოიწია თმები, „იყოს ასე“. ისევ ლადო წამოვიდა სარკეში. „ლადოს უეჭველად ასე მოეწონება, „ჩოლკად“ დავარცხნილი. დიდი რამე, თუ მოეწონება! მე რა?“ ისევ გადაივარცხნა თმა უკან. „იყოს ასე, მაინც რა ღრმაა ნოდარი, რა თითები აქვს, თვალებშიაც ეტყობა სიღრმე. არა, არ მომწონს ასე უკან გადავარცხნილი თმა, როცა მთელი შუბლი ჩანს“. სარკეში ისევ ლადო უყურებდა შავი თვალებით და დაბერილი ნესტოებით. მზია გაწითლდა, ცოტა შეშინდასავით. მერე შუბლზე ჩამოივარცხნა თმა. „ჩოლკა“ დაიყო. აი ასე, – თქვა მან და გაუღიმა საკუთარ თავს. ლადოს სახე გაქრა სარკიდან.

თმები ისევ უკან გადაიწია.

– მზია, – მოესმა ლელას ხმა.

– ოჰო, – თქვა თავისთვის გოგომ.

– მზია.

– რა, ლელა?

– გეყო, გოგო, ამდენი პრანჭვა.

– ახლავე, ლელა, ეს წუთია მივედი სარკესთან.

– რა წუთი, ნახევარი საათია.

– მთელი დილა მანდა ხარ, ნეტა ვის ეპრანჭები, გოგო?!

– არავის, მამა, გაწითლდა მზია, ვის უნდა გავეპრანჭო.

– რა დროს მაგის ეგეებია, ჯერ თექვსმეტის არც გამხდარა.

– კარგით რა, – უფრო გაწითლდა მზია, მერე თმები წინ ჩამოივარცხნა და გაშლილ სუფრას მიუჯდა.

1956

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ნუ სტირ, დედაო!“



● მამა თევდორე შაოსან დედებთან ერთად

რაც უფრო დიდი გზა უნდა გაიარო სახლიდან ტაძრამდე, მით უფრო შეიგრძნობ, სად მიდიხარ, ვისთან მიდიხარ და რისთვის მიდიხარო, – უთქვამს საუკუნეების წინათ იოანე ოქროპირს.

შორი გზის გავლა უწევს ბათუმის სამების ეკლესიის მრევლსაც. ძველი სასაფლაოს ვიწრო გზას, დარსა თუ ავდარში მიუყვებიან მორწმუნენი, საფლავებიდან მომზირალ კარგად ნაცნობ სახეებს უკვე მერამდენედ შეავლებენ თვალს, დროდადრო შეჩერდებიან, ღმერთმა შეგინდოთო, იტყვიან, პირჯვარს გადაიწერენ და სასოებით ახედავენ მაღლიდან გადმომდგარ ტაძარს, რომელიც ერთგვარი საცალფეხო, ძნელად გასავლელი ბეწვის ხიდია, დამაკავშირებელი ამაო წუთისოფელსა და მარადიულობას შორის...

ადგილმდებარეობის გამო ეკლესიაში მრავლადაა შაოსანი მრევლი – უმეტესი შვილმკვდარი დედა!..

მათზე ვერ იტყვით, ცხოვრობენო, არც ცოცხლობენ. ისინი კელაპტრებად არიან დანთებულები და ნელ-ნელა, თანდათანობით ილვენთებიან. თავად იწვიან, მაგრამ ირგვლივ სითბოსა და უცნაურ ნათელს ასხივებენ. უფალმა მძიმე ჯვრის ტარება დააკისრა, ისინიც ქედმოდრეკილნი, ღირსეულად, მორჩილად მიუყვებიან გოლგოთის გზას, დროდადრო წაიბორძიკებენ, ჩაიჩოქებენ, მაგრამ ეს მხოლოდ წამით, მხოლოდ წუთით. უკანასკნელ ძალებს მოიკრებენ და გზას აგრძელებენ, რადგან კარგად იციან საითაც მიდიან: იქ უფალია, იქ მათი შვილები არიან...

ვიცოდი, მძიმე საუბარი მელოდა. წინასწარ ვემზადებოდი მათთან შესახვედრად, საჭირო სიტყვებს ვეძებდი.

მარიამობის წინა დღე იყო. საშინლად ცხელოდა. დედებს ეკლესიის ჩრდილში მოეყარათ თავი. ჩემი მისვლის მიზეზი რომ გაიგეს, სატრაპეზოში მიმიწვიეს, რომელიც მათი შემოწირულობითა და უშუალო მონაწილეობით არის გაკეთებული.

საუბრის დაწყება გაძნელდა, თუმცა მაინც შედგა...

**იამზე ჩიგოგიძე:** – ეკლესიაში ყველანი დიდმა ტკივილმა მოგვიყვანა, შვილო. ათი წლის წინათ ქალიშვილი, ნანა ბერძენიშვილი, ავარიაში დამეღუპა. მამამისმა ვერ გაუძლო და დარდს გადაჰყვა. რამდენიმე წელი მეც ვერაფრით ვეგუებოდი მომხდარს; შვილის საფლავს ვერ ვცილდებოდი, გვიან ღამით რომ გაწვიმდებოდა, გამოვრბოდი და საფლავზე დავემხობოდი, შვილი არ დამისველდეს-მეთქი. ახლა რა... სიცოცხლე მაინც გრძელდება, დღეს სულ სხვა თვალით ვუყურებ სამყაროს. რა წვრილმანი ყოფილა ამქვეყნიური პრობლემები. აქ ვისაც ხედავ, შვილო, ყველანი საოცრად კარგი ადამიანები არიან; ერთ მუშტად ვართ შეკრულები, ერთი გვაქვს ჭირიც და ლხინიც. ერთმანეთს თვალებში შევყურებთ, რომელიმეს აქ მოსვლა რომ დააგვიანდება, შეშფოთებულები გავრბივართ მისი ამბის გასაგებად.

მეტი რა გითხრა... ღმერთმა ყველას აშოროს ის ტკივილი, რაც ჩვენს გულშია.

**ნანული ჯაყელი:** – როცა ჩემი შვილი, რობიკო კარაპეტიანი გარდაიცვალა, ასე მეგონა, თავზე ცა ჩამომექცა. ისე ცუდად ვიყავი, აღარაფერი მაინტერესებდა. ჩემმა გოგონამ ისიც კი მითხრა, ნუთუ მარტო რობიკო გიყვარდა, ნუთუ მარტო მისი დედა იყავი? ჩვენც ხომ გვჭირდებიო... ამ სიტყვებმა გამომაფხიზლა. შემდეგ ეკლესიაში დავიწყე სიარული და ნელ-ნელა შემობრუნდი ამქვეყნისაკენ. ხან გავიცინებ, ხან ვიხუმრებ, მაგრამ რაც ჩემს გულში ტრიალებს, ეს მხოლოდ უფალმა იცის...

ცრემლები მეტის თქმის საშუალებას არ აძლევს. საუბარს **მარინა პატარაია,** ლაშა ბზეკალავას დედა აგრძელებს:

– ლაშა მეათე კლასში იყო, ავტოკატასტროფაში რომ დაიღუპა, უფრო სწორად, გარდაიცვალა. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი შვილები აღმსარებლები და მაზიარებლები იყვნენ, რაღაც მაფერხებდა და ვერ ვახერხებდი ეკლესიურად ცხოვრებას. და აი, ღვთის შეწევნით, ლაშამ მომიყვანა ტაძარში. იმ დღესვე დავიწყე ფსალმუნების კითხვა; უფრო მეტიც, სურვილი გამიჩნდა ხუცური მესწავლა. თავიდან ვერაფერი გავუგე და მამა გიორგის ვთხოვე კურთხევა. ერთბაშად ჩავეფალი ღვთისმსახურების წიგნებში, შევისწავლე ტიპიკონი, მედავითნეც გავხდი. გაგიკვირდებათ, ალბათ, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, ბედნიერი დედა ვარ. ადამიანს არ აქვს უფლება, თავი უბედურად იგრძნოს, თუკი მას უფალი უყვარს. როცა უფლის სიყვარულს შეიგრძნობ, მაშინ მიხვდები, ჭეშმარიტი ბედნიერების არსს... ჩემს შვილს არასოდეს დავუტოვებივარ, მუდამ ვგრძნობ მის სიახლოვეს. ლაშა ჩემთვის პირველი იყო. მისით იწყებოდა და მთავრდებოდა ყველაფერი. გვიან მივხვდი, რომ ყველაზე წინ უფალი დგას, შემდეგ სხვა დანარჩენი, უფლის წინ არ შეიძლება ვინმეს დაყენება, შვილისაც კი. დღეს ღვთის შეწევნით დავდივარ ეკლესიაში. ღმერთმა იმის ღირსი გამხადა, რომ ვადიდო მისი სახელი. ამაზე დიდი ბედნიერება არ შეიძლება იყოს, მიუხედავად იმ ტკივილისა, რასაც განვიცდი. უფალმაც კი დაიტირა ლაზარე. აბა, მე ვინღა ვარ? მღილი...

**ლიანა მანთიძე-შაინიძისა:** – ღმერთი ბავშვობიდანვე მწამდა, მაგრამ ეკლესიაში სიარულს ვერ ვახერხებდი. სხვისთვის კარგის მეტი არასოდეს გამიკეთებია და ასე მეგონა, ცუდი არ დამემართებოდა. იმას კი არ ვუკვირდებოდი, რამხელა საშინელებას ჩავდიოდი – მუცელი ბევრჯერ მოვიშალე... ერთხელ ღვთისმშობელი გამომეცხადა სიზმრად და მითხრა, ორსულად ხარ, ნაყოფს ხელი არ ახლო, თორემ ინანებო. გაფრთხილება არაფრად ჩავაგდე და აბორტი გავიკეთე. ისეთი სისხლისდენა დამეწყო, ძლივს გადამარჩინეს. ვიფიქრე, ალბათ, ამის გამო მაფრთხილებდა ღვთისმშობელი-მეთქი. მაგრამ უბედურება, თურმე, წინ მელოდებოდა. სამი შვილი მყავდა. შალვა ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ რუსეთში მუშაობდა და უბედური შემთხვევის შედეგად დაიღუპა. ეკლესიური არც მაშინ გავმხდარვარ. პირიქით, უფლის ხატთან მივვარდი და ვუყვიროდი, რას მერჩოდი, რა დაგიშავე-მეთქი. დღეს კი ეკლესიით მიდგას სული; მუდამ ვგრძნობ უფლის სიახლოვეს. ერთხელ ზიარებიდან სახლში დაბრუნებულმა კარზე კაკუნი გავიგონე; ზღურბლზე

გამვალტყავებული მოხუცი იდგა, დამეხმარეო, მთხოვა. ფული მივეცი, მშია, რამე მაჭამეო, მითხრა. სახლში შევიპატიჟე, მაგრამ არ შემოვიდა და საჭმელი გარეთ გამოვუტანე. მადლობა გადამიხადა და კიბეზე რის ვაი-ვაგლახით დაეშვა. ფანჯარაში გავიხედე, დიდხანს რომ არ გამოჩნდა, მეზობელს გადავძახე, მოხუცი ქალი ხომ არ გამოსულა-მეთქი. რას ამბობ, ლიანა, რამდენი ხანია არც არავინ შესულა სადარბაზოში და არც გამოსულაო, მიპასუხა. როგორც ჩანს, უფალმა გამომცადა, რამდენად ღირსი ვიყავი ზიარების...

**ზინა მამულაშვილი:** – 41 წლის იყო მერაბი, ავარიაში რომ დაიღუპა. გარდაცვალებამდე ხშირად ეზიარებოდა. საერთოდ, ოჯახში ყველანი მორწმუნენი ვიყავით, მაგრამ იმ უბედურების შემდეგ ღვთის რწმენა მაცოცხლებს მხოლოდ. ეკლესიის და აი, ამ დედების დახმარებით ვახერხებ არსებობას. ერთი გვაქვს ჭირიც და ლხინიც. დილა ლოცვით იწყება და ლოცვითვე ღამდება. მერაბის შვილს ვზრდი, რომელიც ნუგეშად დამიტოვა.





დიდება და მადლობა უფალს ყველაფრისთვის.

**ნანა გედევანიშვილი:** – როცა ლევანი გარდაიცვალა, სასოწარკვეთილი ვიყავი, რატომ, რა დავაშავე, მე ხომ ამის ღირსი არ ვიყავი-მეთქი. არაჩვეულებრივი პიროვნება იყო, ათი წელი გავიდა მას შემდეგ და დღესაც უდიდესი სითბოთი იხსენებენ. ჩვენ შაოსანი დედები ვართ, ერთმანეთისგან ძალიან განსხვავებული, მაგრამ ერთნაირი ტკივილის მატარებლები ვართ. ჩემს ქალიშვილს ორი შვილი ჰყავს, მათ გამოხედვაში ლევანის მზერას რომ დავიჭერ, უბედნიერესი ქალი მგონია თავი.

რატომ?.. გულს მიღრღნის ამაზე ფიქრი. ბედნიერია ის, ვინც მოახერხა ამ კითხვებზე პასუხის გაცემა. სამწუხაროდ, ძალიან მომრავლდნენ შაოსანი დედები. ეს იმდენად არაბუნებრივი მოვლენაა, რომ მხოლოდ ერთეულებს შეუძლიათ მისი გაგება და ახსნა. იმედი მაქვს, იმ ქვეყნად თავად ლევანი მიპასუხებს ამ კითხვაზე.

**ნანა დემეტრაძე-თალაკვაძისა:** – ჩემს შვილთან ერთად ოთახში ვიყავი. უცებ გელა სავარძლიდან შეშფოთებული წამოვარდა. დედა, დაინახე? ფანჯარას თეთრ ცხენზე ამხედრებული კაცი მოაწყდაო. ცუდად მენიშნა, მივხვდი, წმინდა გიორგი გამოეცხადა და ვთხოვე, ფრთხილად იყავი-მეთქი. გელა ორ დღეში დაიღუპა. ყველას გულით ეგონა გარდაცვლილი. მე კი მაშინვე ეჭვი გამიჩნდა. ცოტა ხანში სიზმარში ვნახე და მითხრა, ჩემს სიკვდილში სამი ადამიანი ურევია, მალე სამივეს დასჯის ღმერთიო. მართლაც მალე ასრულდა ჩემი შვილის სიტყვები. სიცოცხლე აღარ მინდოდა, დილიდან საღამომდე საფლავზე ვიყავი დამხობილი. ერთხელ მამა თევდორე მოვიდა და მითხრა, თქვენი ადგილი ეკლესიაშია, იქ მობრძანდითო. დავუჯერე და მას შემდეგ ყოველდღე აქ ვარ. სხვაგვარად ამხელა უბედურებას ვერ გადავიტანდი.

სამების ეკლესიაში უწინ რუსულ ენაზე აღესრულებოდა ღვთისმსახურება და ქართულად დალაპარაკების უფლებასაც არ იძლეოდნენ. ასე მგონია, ჩვენი შვილები მსხვერპლად შეეწირნენ, რათა ეკლესიაში ქართულ სიტყვას დაევანებინა.

...შაოსან დედებს დიდი ეკლიანი გზა აქვთ გასავლელი. ლოცვა არის მათი საგზალი. ისინი ყველასათვის ლოცულობენ; ღმერთს ცოცხლების კარგად ყოფნას და გარდაცვლილების საუკუნო ცხონებას შესთხოვენ. ჩვენ დიდმა ტკივილმა მოგვიყვანა ეკლესიაში. ღმერთმა ინებოს, ჩვენი უბედურება სხვათათვის ერთგვარი მინიშნება და გაფრთხილება იყოს და დროზე მოვიდნენ ტაძარში ღვთის რწმენით, რადგან არ შეიძლება ადამიანი ეკლესიის გარეთ ცხონდესო, ამბობენ.

როცა სამების ეკლესიაში ნათლობა ან ჯვრისწერა ტარდება, შაოსანი დედები ღმერთს ხელაპყრობილები ევედრებიან სრულიად უცნობი ადამიანების დღეგრძელობასა და ბედნიერებას. რამდენჯერ შავი მანდილი მოუხდიათ და ფერადი დაუხურავთ, რათა თავიანთი ტკივილით სხვისი სიხარული არ დაჩრდილონ.

უფლის ხატად გაჩენილები, მასთან მიახლოებას მთელი არსებით ცდილობენ. მათი შინაგანი სიმტკიცე ბევრისთვის ცოცხალ მაგალითად იქცა და სრულიად ურწმუნონი მოინათლენ.

არსად ისეთი რწმენით არ ინათლებიან, როგორც აქ, ჩვენთან, აჭარაშიო, უხარიათ დედებს, რომლებიც თავიანთი ცხოვრების ათვლას იმ დღიდან იწყებენ, როცა ისინი ეკლესიაში მიიყვანა უფალმა...

კომენტარი ბათუმის ყოვლადწმიდა სამების ეკლესიის წინამძღვარს, დეკანოზ **თევდორე ახალაძეს** ვთხოვე.

– წმიდა მამები ჯერ კიდევ მეოთხე საუკუნეში ამბობდნენ, რომ დადგება ჟამი, როდესაც თავად შვილები შეასწავლიან მშობლებს სარწმუნოებასო.

ჩვეულებრივ შვილები უნდა აცილებდნენ მშობლებს ბოლო გზაზე, მაგრამ, ამ ქალბატონებთან მიმართებაში, სამწუხაროდ, ეს კანონზომიერება დაირღვა და პირიქით მოხდა. ზოგი ერთს მისტირის, მაგრამ არიან დედები, რომლებმაც ორი და მეტი შვილი დაკარგეს. ანუ შვილებმა ერთგვარად გააპატიოსნეს და ღმერთთან დაახლოეს ისინი. ამდენად, შეიძლება ითქვას, ახდა წმიდა მამების სიტყვები.

იოანე ოქროპირი ამბობს: ადამიანს მუდამ უნდა ახსოვდეს სიკვდილი. დემონები სტაცებენ მახსოვრობას სიკვდილის შესახებ, ისიც მთლიანად ეხვევა წუთისოფლის ამაოებაში და ივიწყებს უმთავრეს, რომ უფალმა სიცოცხლე არა მარტო ცხოვრებისთვის, არამედ ცხონებისთვის მიანიჭა.

ახალგაზრდების გარდაცვალება ერთგვარ წყალობად უნდა მივიღოთ, რადგან რასაც ოჯახი გარდაცვლილის სულისთვის აკეთებს, ამას მაცხოვრისთვისაც აკეთებს. მუდამ უნდა გვახსოვდეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა



● ავტორის ფოტო

მოკიდება და ტანის შემაგრება ჭირს. ნაფთევს ნაფთევი ემატება. ნამხრევი მაღლა მიიწევს. ფერს კარგავენ მოცელილი ბაია და კაკბის მკერდა, კვლიავი და ციცისკუდა, გვირილა და ფაფანაგა, საგუგა და ირმის ენა...

გახელებული მზე მწარედ იკბინება. უტყეო, უბუჩქნარო ადგილას მტკავლისოდენი ჩეროც არსადაა სულისმოსათქმელად... ფრთადატვიფრული, ხანმოკლე დღისთვის გაჩენილი პეპლები დაფრინავენ სათიბში. ერთთავად მოზუზუნე ფუტკარი ნარის სოსნისფერი ყვავილების ნექტარს წუწნის. ობობას ქსელში გაბმულ, უსიცოცხლო ბუზებს აქეთ-იქით აქანავებს ნელი ნიავი...

კვირია მარტოა. ახლო-მახლოც არავინაა, რომ დაელაპარაკოს. „ცელცუდაო და ცოლ-ცუდაო, მთიბელო ველარაისაო“, – წაიღიღინებს თავისთვის. ცდილობს, თანაბარი მოძრაობის რიტმს შეუწყოს და შეუთანაბროს მთიბლურის სიტყვები...

სათიბის განაპირას, გაბურდული შამბნარით დაჩრდილულ წვრილხევში, ხავსმოკიდებული კლდის მუხლთან გრილი, გემრიელი წყარო მორაკრაკებს, ფსკერმოკენჭილ სადინარს მიუყვება და წყნარი ლივლივით იკარგება ბუერიანში.

კვირია ნაცნობ წყაროსთან ისვენებს. ხბოს ტყავის მოწითალო გუდას სახმუწს ხსნის და სადილობს... კალიების გაბმულ ჭრიჭინს მიაყურადებს, თითქოს პირველად ისმენდეს ამ ერთფეროვან, შეჭირვებულ მელოდიას... დანაყრებული დურბინდს ამოიღებს ტყავის ბუდიდან და სოფლისკენ იხედება.

ხეობის სიღრმეში ლოპრიანი კლდეების მუჭში დაწურული, დაჩანჩქერებული მდინარე ლაპლაპებს. მშვიდი, უქარო დღეა. ზოზინით გადის დრო. მზე საშუადღეოზე გაჩერებულა. სადავლოდ აშლილი მხარკვერიანი არწივები ლაღად ბოინობენ ლაჟვარდ სივრცეში....

ქვენამთის მხრიდან, ფაშარი ქვიშით მოპერანგებული მწვერვალების თავზე ვერტმფრენი გამოჩნდება, ღვთის თვალის სადარაჯო ბუნების შეურყვნელ მყუდროებას შეაჩქროლებს და გეზს არხოტისაკენ აიღებს. ცარგვალის დასალიერთან გაუჩინარდება „რკინის კალია“, ისევ დუმილი დაივანებს ირგვლივ...

გამომშრალ, გაფიცხებულ ნემსა ბალახს აგრერიგად ვეღარ ჭრის ცელი. აგვისტოს პაპანაქებაში ფოლადი ლბება, მკლავი იქანცება და ძაბუნდება, მუხლს ღონისწამრთმევი თენთი ედება...

ნასამხრევს აღმოსავლეთიდან წამოსული ღრუბლის ნაგრილი გადაივლის დასიცხულ ფერდობზე. გაღმა კლდიანებში წყურვილისაგან შეწუხებული ძერა აწივლდება.

სვრელის ბოლოში ჩამოჯდება კვირია. ფხაშეშლილ ცელს გამოკვერავს, ბალახწაფარებულ, წყაროს წყლით სავსე ყელყარყარა დოქს გადასწვდება და დაგემოვნებით სვამს ტინიანი კლდეების კამკამა ნაჟურს.

ცოტას შეისვენებს. დაშაშრულსა და დაკოჟრილ ხელიგულებს მოისრესს, მკლავებს გაშლის, გაწვართავს და მუხლისთავებზე ჩამოილაგებს. ზის ერთხანს ასე...

მზემიმდგარი, კუთხე-კუნჭულიანად განათებული, დიყის თეთრ ყვავილში ჩაფლული სოფლიდან ჩამი-ჩუმი არ ისმის. გატრუნულა და გაყუჩებულა ლადე-ლუდეზე ხეთქებით თავპირდალეწილი ფხის წყალი. დაბურული ტყის ზემოთ, დეკიან გალაუგებსა და ქაჩალ გორებზე ცხვარი მიმოფანტულა.

იწურება თიბათვის ეს ერთი მორიგი, ჩვეულებრივი დღეც.

დანავლებული მზის ყუა დასავლეთის მთებს მოეფარება. ჩრდილჩამდგარი ხევებიდან საამური, მაცოცხლებელი სიო წამოუბერავს. შვებას იგრძნობს დაგვალული, მოგუდული, სულშეხუთული მიდამო. ნედლი, ოდნავ შემჭკნარი ბალახის ველური სურნელი იმატებს სათიბში.

მუშაობის ფილფო დაუბრუნდება კვირიას. გადაავიწყდება წელანდელი დაღლა. მარჯვედ გამოლესავს შუაწელში გაწყვეტაზე მიმდგარ პაპისეულ ცელს. ერთ მუქარასაც აათავებს. შუბლზე მოდენილ ოფლს შეიმშრალებს. აუჩქარებლად შემოტრიალდება. დინჯი ნაბიჯით გადმოსერავს ფერდობს და სანიაოზე შედგება...

ცელის ტარს ჩამოყრდნობილი, მთელი დღის თიბვით მოღლილი და გულნაჯერები, რაღაცნაირად დამსუბუქებული და შინაგანად თავისუფალი დიდხანს გაჰყურებს შემოღამების მოლოდინში გარინდებული მშობლიური სოფლის სანახებს.

ამირან არაბული

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ალექსანდრ ბლოკი



Ты помнишь? В нашей бухте сонной
Спала зеленая вода,
Когда кильватерной колонной
Вошли военные суда.
Четыре – серых. И вопросы
Нас волновали битый час,
И загорелые матросы
Ходили важно мимо нас.
Мир стал заманчивей и шире,
И вдруг – суда уплыли прочь.
Нам было видно: все четыре
Зарылись в океан и в ночь.
И вновь обычным стало море,
Маяк уныло замигал,
Когда на низком семафоре
Последний отдали сигнал...
Как мало в этой жизни надо
Нам, детям, – и тебе и мне.
Ведь сердце радоваться радо
И самой малой новизне.
Случайно на ноже карманном
Найди пылинку дальних стран –
И мир опять предстанет странным,
Закутанным в цветной туман!

А. Блок
6 февраля 1914 год.

* * *

გახსოვს ის წუთი? ზღვის ყურე თვლემდა,
თვლემდა მომწვანო მთის ზედაპირი,
როცა კოლონა სამხედრო გემთა
შემოვიდა და შეკრთა ნაპირი.
ხომალდი იყო სულ ოთხიოდე
და გვაწვალებდა კითხვა ულევი
და მედიდურად მიმოდიოდნენ
მზით გარუჯული მეზღვაურები.
ქვეყანა გახდა უფრო წარმტაცი,
მაგრამ გემები უეცრად ისევ
ზღვაში შებრუნდნენ და შებარბაცდნენ
და თავი მისცეს ღამეს და ნისლებს.
ზღვა ისევ გახდა ჩვეულებრივი,
ხოლო შუქურის ცეცხლი მიმქრალი,
კვლავ აპარპალდა და დაღვრემილად
უკანასკნელად მისცა სიგნალი.
რა ცოტა კმარა, რა მცირე გვყოფნის,
რომ ბავშვებივით გული ვიჯეროთ
და გვიხაროდეს ამ წუთისოფლად
რამე ახალი თუნდ უმნიშვნელო.
ჯიბის დანაზე თუკი შემთხვევით
შორეულ ქვეყნის შენიშნე მტვერი,–
კვლავ გაიხსნება და გაეხვევა
ფერად ნისლებში სამყარო მთელი.

თარგმნა შოთა ნიშნიანიძე

* * *

თვლემამორეულ პორტს  თუ იხსენებ,
ნაპირთან მწვანე ზვირთების ტორტმანს,
მწკრივად დაწყობილ რუხ კრეისერებს
როდესაც კარი გაუღო პორტმა.
სულ ოთხნი იყვნენ. რას არ ვნატრობდით
და გვაღელვებდა, რომ ჩვენს მახლობლად
ვხედავდით მზეზე დამწვარ მატროსებს
და ვაფასებდით მათ ქედმაღლობას.
ქვეყანას სულ სხვა დაადგა შუქი,
მაგრამ მცირე ხნით და ჩვენ ვუყურებთ,
როგორ გვაქციეს გემებმა ზურგი
და შეუერთდნენ ზღვას და უკუნეთს.
მომაბეზრებელ პორტს დავუბრუნდით,
სადაც ბჟუტავდა მხოლოდ შუქურა
და სემაფორის მზერა უგნური
გულში ჩაიკრა ზღვამ და უკუნმა...
ჩვენ ვართ ბავშვები!... ბავშვებს ცხოვრებამ,
რა ცოტა კმარა, რაღაც სიახლით,
რომ დაურღვიოს ერთფეროვნება
და შეუმშვოთოს სულის წიაღი.
საკმარისია, ჯიბის დანაზე
ვიხილოთ უცხო ქვეყნების მტვერი,
რომ ყველაფერი იქცეს  ანაზდად
გაშლილი ატმის ბურუსის ფერი!

თარგმნა გივი გეგეჭკორმა

* * *

შენ გახსოვს ჩვენი ბუხტა მძინარე
და ალტაცება შენ გახსოვს ჩემი,
როდესაც ნაპირს, როგორც მდინარე,
მოადგა ოთხი სამხედრო გემი.
ველარ ვძლებოდით მათი ყურებით,
ათასი კითხვა აგვეკვიატა,
მზეზე დამწვარი მეზღვაურები
დააბიჯებენ ირგვლივ ზვიადად.
თითქოს განათდა მთელი პლანეტა...
და უცებ დავრჩი გულდაწყვეტილი:
უკან გაბრუნდნენ, ოკეანემ და
ღამემ ჩაყლაპა ოთხი წერტილი.
ისევ დაწყნარდა ზღვაც და ცხოვრებაც,
ძლივს ანათებდა შუქურა სივრცეს,
როცა დაბალმა სემაფორებმა
უკანასკნელი სიგნალი მისცეს...
მაინც რა ცოტა რამე გვახარებს
ჩვენ – ამ ცხოვრების პატარა ბავშვებს,
გულს ყველაფერი მოსწონს ახალი,
თვალი ყოველგვარ სიახლეს ამჩნევს.
და თუ უძველეს  გალავანზედაც
მტვერი შენიშნე ათასწლეულის,–
ქვეყანა ისევ გალამაზდება
ფერად ბურუსში გამოხვეული.

თარგმნა ვახტანგ ჯავახაძემ

მოგვაწოდა ბესიკ ქემოკლიძემ

## სილამაზის გაკვეთილები

### ზაფხულის ნიღბები

სახის კანისთვის ძალზე სასარგებლო და ეფექტურია კოსმეტიკური ნიღბები, რომელთა დიდი ნაწილის შინაურ პირობებში დამზადება ყველასათვის იოლი და ხელმისაწვდომია.

ნიღბის გაკეთების წინ სახე გაისუფთავეთ, გულაღმა დაწექით და წინასწარ გამზადებული მასა სახესა და ყელზე დაიდეთ, თვალების გარშემო კი რომელიმე მცენარეულ ზეთში დასველებული დოლბანდი დაიფინეთ. ნიღაბი 15-20 წუთს უნდა გაიჩეროთ, შემდეგ ნელთბილი წყლით მოიბანეთ და თქვენი კანის ტიპის (მშრალი, ცხიმიანი, ნორმალური) შესაფერისი მკვებავი კრემი წაისვით.

### კიტრის ნიღაბი ნებისმიერი კანისთვის

ახალი კიტრის კანი მთელ სახეზე დაიდეთ, ზემოდან დოლბანდი დაიფარეთ და ხელები მაგრად დააჭირეთ. 20-25 წთ-ის შემდეგ ნათალი მოიშორეთ, კიტრის წვენი კი სახეზე კიდევ 5 წთ-ით დაიტოვეთ. მერე სახე ბამბის სველი ტამპონით ფრთხილად მოიწმინდეთ, თბილი წყლით მოიბანეთ და ოდნავ გადაისვით მკვებავი კრემი.

### სტაფილოს ნიღაბი მშრალი და ნორმალური კანისთვის

2 ცალი ღია-ყვითელი ფერის სტაფილო გახეხეთ. დაუმატეთ ერთი კვერცხის გული და რამდენიმე წვეთი ზეთი (უმჯობესია, ნიგვზის). მიღებული მასა 20-25 წთ-ით სქლად დაიდეთ სახეზე, შემდეგ კი თბილ წყალში დასველებული ბამბის ტამპონით მოიშორეთ.

### მარწყვის ნიღაბი მშრალი კანისათვის

5-6 ცალი მწიფე მარწყვი დაჭყლიტეთ და მიღებული ფაფისებური მასა სახესა და ყელზე წაისვით. გაიჩერეთ 20 წთ. და ნელთბილი წყლით ჩამოიბანეთ. წაისვით მკვებავი კრემი.

### ზეთის ნიღაბი

(თვალებისა და ტუჩების გარშემო დანაოჭებული კანისთვის)

ნებისმიერი მცენარეული ზეთი (ზეითუნის, ატმის, ნუშის, მზესუმზირის, სიმინდის) ორთქლის აბაზანაზე შეათბეთ, დაასველეთ შიგ 1 სმ. სისქის ბამბის საფენი და მთელ სახეზე დაიდეთ. მეტი ეფექტისათვის ზემოდან ქსოვილის თბილი ნაჭერი დაიფარეთ. გაიჩერეთ 15 წთ. და შემდეგ ქაღალდის ხელსახოცით მოიწმინდეთ.



### ხაჭოს ნიღაბი მშრალი, მოდუნებული, ლაქებიანი კანისთვის

ერთ სუფრის კოვზ ხაჭოს დაუმატეთ ნახევარი ჩაის კოვზი ნატურალური თაფლი, კარგად აურიეთ და სახეზე დაიდეთ.

ან:

ერთ სუფრის კოვზ ხაჭოს დაუმატეთ ერთი ჩაის კოვზი არაყანი, კარგად ასრისეთ და სახეზე დაიდეთ.

### ხაჭოს ნიღაბი ცხიმიანი კანისთვის

ერთი სუფრის კოვზი ხაჭო და ერთი ჩაის კოვზი მაწონი ან კეფირი კარგად აურიეთ და სახეზე 10 წთ-ით დაიდეთ. შემდეგ ჩამოიბანეთ და მკვებავი კრემი წაისვით. ეს ნიღაბი კანს ახალისებს, კვებავს და ტონუსს წევს.

## ეს საინტერესოა

# რატომ კბენს ძაღლი ბავშვს?



ვითომ რატომ არ უნდა უკბინოს, თუკი ამას მის თვალწინ ოჯახის ყველა წევრი „აკეთებს"? აბა, გაიხსენეთ, ვის უყვირიან (ძაღლის ენაზე – უყეფენ) ყველაზე ხშირად, ვის ემუქრებიან ინტონაციით (უღრენენ), ვის უტყაპუნებენ, ზოგჯერ კი ცემენ (კბენენ)? რასაკვირველია, ბავშვს. თანაც ძაღლის თვალწინ, რომელსაც ყველაფერი კარგად ესმის და ასკვნის, რომ „ხროვის" ყველაზე უმცროს წევრთან ასე მოქცევა ყველასათვის დასაშვებია. ძაღლი იმიტომ კი არ კბენს ბავშვს, რომ რამე ატკინოს, არამედ, შეაგნებინოს, რომ მისი საქციელი არ მოსწონს.

ძაღლი ოჯახს ხროვის ანალოგად აღიქვამს, სადაც ყველა წინამძღოლს ემორჩილება. იერარქიის მოთხოვნილება მასში ბუნებრივადაა ჩადებული და, მოგვწონს თუ არა, ძალიან მალე ხვდება, ვინ ვინ არის ოჯახში. ამიტომაც ცდილობს, წინამძღოლთან ახლოს მოიკალათოს, ხოლო თუ მოახერხებს, ლიდერიც კი გახდეს, რომლის მთავარი მოვალეობაც სხვების მართვა და დაუმორჩილებლობის გამო დასჯაა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად პატარები ქვეშეცნეულად იწვევენ ძაღლის აგრესიას, როცა მისთვის უწმინდეს წესებს არღვევენ (მის საყვარელ ძვალს, ჯამს, დასასვენებელ ადგილს ზედმეტად უახლოვდებიან, თითს თვალში სჩრიან) ან ძალიან უთამამდებიან და საერთოდ არ ესმით მისი ენა.

ასე რომ, თუ ოჯახში ბავშვიც გყავთ და ლეკვიც, კეთილი ინებეთ და, ორივეს აღზრდაზე იზრუნეთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# კულინარია



## „ჰერკულესის" კატლეტები

1 კილოგრამ შვრიის ფანტელს („ჰერკულესს") დაასხით იმდენი წყალი, რომ კარგად ჩაბუჟბუჟდეს (ზედმეტი არ მოგივიდეთ) და თავდახურული 2 საათით ასაფუებლად დადგით. შემდეგ დაუმატეთ წვრილად დაჭრილი 4-5 თავი ხახვი, ერთი თავი ნიორი, ყველანაირი მწვანილი, პილპილი, თითო ჩაის კოვზი ხმელი ქინძი, უცხო სუნელი, მარილი გემოვნებით და კარგად აურიეთ. სველი ხელით კატლეტების ფორმა მიეცით და საშუალო სიმხურვალის ცეცხლზე ზეთში შეწვით. გვერწმუნეთ, ძალიან გემრიელია და თანაც იაფი!

## სანელებლებიანი შემწვარი ღორის ხორცი

ერთი კილოგრამი ღორის მჭლე ხორცი კარგად გარეცხეთ და გაამშრალეთ. ერთი ჩაის კოვზი მარილი, თითო მწიკვი მუსკატის კაკლისა და მიხაკის ფხვნილი, ნახევარი ჩაის კოვზი დარიჩინი და პილპილი ერთმანეთში კარგად აურიეთ და მიღებული ნაზავი ხორცს წაუსვით, შემდეგ მოათავსეთ თუნუქის ფურცელზე და 180 გრადუსამდე გახურებულ ღუმელში შედგით. ერთი საათის შემდეგ შემწვარი ხორცი ლანგარზე გადაიტანეთ, თუნუქის ფურცელზე კი 75 მლ. თეთრი მშრალი ღვინო დაასხით და წამოადუღეთ. დაუმატეთ 150 მლ. ქათმის ბულიონი („გალინა ბლანკა") და ისევ წამოადუღეთ. შემწვარი ხორცი სასურველი ზომის ნაჭრებად დაჭერით და ზემოდან ღვინის სოუსი მოასხით.

## ღორის ხორცის რულეტი

ერთი თითის სისქე ღორის ხორცის რბილი, დიდი ნაჭერი კარგად დაბეგვეთ, ზემოდან წაუსვით ერთად დანაყილი წიწაკა, ნიორი, ქინძის თესლი, ცოტა ქონდარი და მარილი. მრგვლად გადაახვიეთ და ძაფით ისე გაკოჭეთ, რომ ძეხვის ფორმა მიიღოს. შეწვით ცხელ ცხიმიან ტაფაზე ან ღუმელში. სუფრაზე მიტანის წინ ძაფი შემოაცალეთ, ნაჭრებად დაჭერით და ბროწეულის მარცვლები მოაყარეთ.

## მოშუშული ფარში კვერცხით

სამასი გრამი საქონლის რბილი ხორცი და ერთი თავი ხახვი საკეპ მანქანაში გაატარეთ. დაუმატეთ 3-4 სუფრის კოვზი ანადუღარი ცივი წყალი, მოათავსეთ ტაფაზე და მოშუშეთ, სანამ ფერს არ შეიცვლის. შემდეგ შეურიეთ 2-3 სუფრის კოვზი ცხიმი, 2-3 კბილი დაჭყლეტილი ნიორი, მარილი და პილპილი გემოვნებით, წვრილად დაჭრილი ოხრახუში და ტარხუნა. ზემოდან მოასხით კარგად ათქვეფილი 2-3 კვერცხი. როცა კვერცხი მზად იქნება, სუფრასთან ტაფითვე ცხელ-ცხელი მიიტანეთ.

## მსხლის „გონდოლები"

მოგრძო ფორმის მსხლები შუაზე გაჭერით და ფრთხილად ამოაცალეთ გული და რბილობი ისე, რომ ნავის ფორმა მიიღოს. ექვს სუფრის კოვზ ტკბილ ლიქიორს (მარწყვის, ალუბლის, პიტნის) ერთი ლიმონის წვენი და ცოტაოდენი მდუღარე წყალი დაუმატეთ. მიღებულ ნაზავში გათლილი ვაშლის ნაჭრები და მსხლის რბილობი მოათავსეთ, შიგ 20 წთ-ით „გამოიყვანეთ" და ამოალაგეთ. ერთი კანგაცლილი ბანანი კარგად დასრისეთ, ლიქიორის ნაზავი მოასხით და ბლენდერში კარგად ათქვიფეთ. ვაშლის ნაჭრები და მსხლის რბილობი „ნავებში" მოათავსეთ, დაჭრილი ფორთოხლის ნაჭრებით მორთეთ, ზემოდან ბანანისა და ლიქიორის ნაზავი მოასხით და გახეხილი თეთრი შოკოლადი ან ქოქოსის ბურბუშელა მოაყარეთ. შეგიძლიათ „გონდოლები" პიტნის მწვანე ფოთლებითაც მორთოთ.

## ჟოლოს ტორტი

ნახევარი კილოგრამი ჟოლოდან მთელ-მთელი და საღი მარცვლები ამოარჩიეთ. დანარჩენი მიქსერით კარგად ათქვიფეთ. მიღებულ პიურეს დაუმატეთ 250 გრამი შაქრის ფხვნილი და აურიეთ. კარგად გაციებულ ჭურჭელში ჩაასხით 200 გრამი ცივი არაჟანი, დაუმატეთ ორი ნატეხი ყინული და თქვიფეთ, ვიდრე ფუმფულა მასას არ მიიღებთ. შეურიეთ ჟოლოს პიურე და ათი ცალი დაფხვნილი ნამცხვარი (უმჯობესია, „საიუბილეო"). გადაიტანეთ შესაფერის ჭურჭელში და ოთხი საათით საყინულეში შედგით. სუფრაზე მიტანის წინ მორთეთ დაფხვნილი ნამცხვრითა და ჟოლოს მარცვლებით.

ამავე პრინციპით ნებისმიერი ხილის გამოყენება შეგიძლიათ.

# ქეთი ბურჯალიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა





მასალა იხ. 21-ე გვერდზე











# მოდის სამყაროში



ინდექსი 76178

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თეა დურმიშიძე

## ეკა ხაბურზანია



ს 32/34

მასალა იხ. მე-16-17 გვერდზე









# თეა დურმიშიძე

# მაკა ხაბურზანია









ეროვნული ბიბლიოთეკა

მასალა იხ. მე-16-17 გვერდზე







